www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | ოთხშაბათი, 9 ნოემბერი, 2005 წელი. №249 (1109) | ფასი 50 თეთრი


# „მოგზაურობა ყარაბაღში" - ქუთაისში სტუმრობის ფინალი


მაია მეცხვარიშვილი
*ქუთაისიდან*


საქართველოს რევოლუციურ პრეზიდენტთან შეხვედრას ქუთაისის მოსახლეობა დიდხანს ელოდა, მიუხედავად იმისა, რომ მის კარიერაში ქუთაისს ერთგვარი სიმბოლური დატვირთვაც აქვს: ზუსტად ორი წლის წინ მიხეილ სააკაშვილმა რევოლუციური მსვლელობა ამ ქალაქიდან დაიწყო და რამდენიმე თვის შემდეგ პრეზიდენტად კურთხევაც ქუთაისთან ახლოს, გელათის მონასტერში მიიღო. მისი მმართველობის პერიოდში იმერეთმა და ქუთაისმა ოთხი მთავრობა გამოიცვალა. საქმე იქამდეც მივიდა, რომ მოსახლეობამ ქუთაისში საპრეზიდენტო მმართველობის გამოცხადებაც კი მოითხოვა. ამის მიუხედავად, 8 ნოემბერს ქუთაისში ვიზიტად მყოფ სააკაშვილს ქუთაისში შექმნილ პოლიტიკურ და სახელისუფლებო პრობლემებზე არ უსაუბრია. იგი მხოლოდ იმ ობიექტების მონახულებით შემოიფარგლა, რომლებიც ამ ბოლო ორი წლის განმავლობაში აშენდა ქუთაისში.

გაგრძელება A3 გვერდზე


*"ჩემი ხატია სამშობლო" – ჰიმნი აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტში.*

# ეკონომიკური ინდიკატორები ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების პრევენციაში


ზურაბ გარაყანიძე
*ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი*


(წერილი II.)
დასაწყისი N 1108 (248)

სამწუხაროდ, კონტრაბანდის შემოდინების ე.წ. "ტრადიციულ" სტიმულებს, რომლებიც მეტ-ნაკლებად ყველა ქვეყანაში გვხვდება, ჩვენთან ტერიტორიული მთლიანობის პრობლემაც დაემატა. ენგურზე, აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვარზე არსებული 60-მდე გადასასვლელი და ცხინვალი-როკის ე.წ. "სიცოცხლის გზიდან" გამომავალი უამრავი ბილიკი, ცხინვალი-გორის შემოვლით გზებთან ერთად, კონტრაბანდის გაკონტროლებას თითქმის შეუძლებელს ხდის. ამას ისიც ემატება, რომ საკმაოდ დაბალია ამ სეპარატისტული რეგიონების დე ფაქტო მმართველების მიერ შემოღებული საგადასახადო განაკვეთები. მაგალითად, აფხაზეთში დღგ-ს განაკვეთი 10 პროცენტია, დღგ-სგან გათავისუფლებულია პურ-ფუნთუშეული, ფქვილი და რძის პროდუქტები. მოგების გადასახადი 18 პროცენტია, საშემოსავლო – 10 პროცენტი, ხოლო ქონების გადასახადის განაკვეთი მხოლოდ 0,2 პროცენტია. მიუხედავად ამისა, ბიუჯეტის 80 პროცენტი საბაჟოდან მიღებული შემოსავლებით ივსება. ამასთან, 2000 წლიდან საქართველოს პარლამენტმა დსთ-ს ქვეყნებთან "თავისუფალი ვაჭრობის" ხელშეკრულების რატიფიცირება მოახდინა, რომლის მიხედვითაც, საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის ვაჭრობა საბაჟო გადასახადის გარეშე მიმდინარეობს, ანუ აფხაზეთში და ე.წ. "სამხრეთ ოსეთში" რუსეთიდან იმპორტი უბაჟოდ ხორციელდება.

გაგრძელება A3 გვერდზე

# საგანგებო სიტუაცია საფრანგეთში

*საფრანგეთის ქალაქებში რამდენიმე დღეა, არ ცხრება არეულობები. უკვე დაიწვა დაახლოებით 6 ათასი ავტომობილი, დაჭრილია 110 პოლიციელი და მაშველი. არეულობებს მოჰყვა პირველი მსხვერპლიც - ორშაბათს საავადმყოფოში გარდაიცვალა ახალგაზრდების ჯგუფის მიერ სასტიკად ნაცემი 60 წლის ჟან-ჟაკ ლე შენადეკი. არეულობების დაწყებიდან დღემდე დაკავებულია 1500 ადამიანი, რომელთაგან 30 უკვე წარდგა სასამართლოს წინაშე. პარიზის შემოგარენში დაწყებული მღელვარება არა მარტო საფრანგეთის სხვა ქალაქებს, არამედ ევროპის ზოგიერთ ქვეყანასაც გადაედო. ავტომანქანების დაწვის შემთხვევები დაფიქსირდა ბელგიასა და გერმანიაში.*

გაგრძელება A4 გვერდზე


*რჩება შთაბეჭდილება, რომ საფრანგეთის ხელისუფლება გადამჭრელი ზომების მიღებას აგვიანებს.*

# უმრავლესობა ოპოზიციას ელოდება

### ოპოზიციას კი არ სჯერა, რომ უმრავლესობა უარს იტყვის "დრაკონულ მიდგომებზე"

*როგორც უმრავლესობა ირწმუნება, მისთვის მნიშვნელოვანია ოპოზიციის აზრი ქვეყნის რეგიონული მოწყობის, ადგილებზე თვითმმართველობის რეალურად ჩამოყალიბებისა და, საერთოდ, ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოების შექმნის შესახებ.*


თამარ მაისურაძე


კანონპროექტის ავტორი, საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი ვანო ხუხუნაიშვილი აცხადებს, რომ პარლამენტში, თვითმმართველობის ორგანულ კანონპროექტთან დაკავშირებით ყველა პროცედურა გავლილია. **"მისი განხილვა ახლაც შესაძლებელია, თუმცა კიდევ გადასახედია რამდენიმე კანონპროექტი, ვინაიდან ეს საკითხები ერთმანეთთანაა დაკავშირებული. გადავწყვიტეთ, მთავრობის სხდომაზე გავიტანოთ, როგორც ერთი, სრული პაკეტი,"** – აღნიშნა მან. ვანო ხუხუნაიშვილი კანონს "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" უმნიშვნელოვანესს უწოდებს და კანონპროექტის 1997 წელს მიღებულ წინამორბედს იხსენებს: **"მაშინ მიღებულ კანონის პროექტში ჩაიწერა, რომ მომდევნო 6 თვის განმავლობაში უნდა მომზადებულიყო სათანადო საკანონმდებლო ბაზა, რათა ამ კანონს რეალურად ემუშავა თვითმმართველობის სასარგებლოდ. თუმცა ფაქტია, რომ დღეს რეალურად თვითმმართველობა არ არსებობს. მკაფიოდ ვმიჯნავთ კომპეტენციებს, ვაყალიბებთ რეალურ ტერიტორიულ საფუძვლებს თვითმმართველობითი ერთეულებისთვის. "თვითმმართველობის ბიუჯეტის შესახებ" კანონის ამოქმედების შემდეგ შეიქმნება რეალური საფუძველი იმისა, რომ ადგილზე გამჭვირვალე საბიუჯეტო პროცესები წარიმართოს,"** – განაცხადა ვანო ხუხუნაიშვილმა, რომელიც ფიქრობს, რომ პარლამენტს წლის ბოლომდე სამი სასესიო კვირა აქვს. ამდენად, კანონპროექტის განხილვა სამომავლოდ არ გადაიდება.

ედვარდ სურმანიძის აზრით, კანონპროექტმა ყველა პროცედურა გაიარა და მისი სხდომაზე გატანა შესაძლებელია, მაგრამ ოპოზიციას საშუალება ეძლევა, მოამზადოს ალტერნატივა. **"ოპოზიციას მივეცით დრო.**

გაგრძელება A3 გვერდზე

# „როგორ ვამუშაოთ დემოკრატია" - ქართველებისთვის


ნანა ქადაგიშვილი


ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორის რობერ პატნემის წიგნის ("როგორც ვამუშაოთ დემოკრატია") ზურაბ ჭიაბერაშვილისეული თარგმანის გამოცემა ჩვენი ქვეყნისთვის მართლაც რომ დროული იყო. წიგნში, იტალიის რეგიონების მაგალითზე, სახელმწიფოს მოწყობისა და სამოქალაქო ცხოვრების ფუნდამენტურ საკითხებზეა მსჯელობა. გუშინ ამ წიგნის პრეზენტაციას მრავლად ესწრებოდნენ ის ადამიანებიც, ვისზეც ქვეყანაში დემოკრატიის განვითარება უშუალოდ არის დამოკიდებული და ვისაც "როგორ ვამუშაოთ დემოკრატია" დიდად წაადგება.

**"1970 წელს ცენტრალურ ხელისუფლებასა და ადგილობრივ თვითმმართველობებს შორის შუალედური რგოლი, რეგიონული მმართველობა, ჩამოყალიბდა. ამავე წელს რობერტ პატნემმა დაიწყო სისტემური კვლევა იმისა, თუ როგორ განვითარდებოდა რეგიონული მმართველობა ქვეყანაში და როგორ მოერგებოდნენ ახლად შექმნილი რეგიონული მთავრობები იტალიის სხვადასხვა რეგიონის აბსოლუტურად განსხვავებულ სოციალურ გარემოს. პატნემის კვლევიდან გამოტანილი გაკვეთილი ასეთია: ინსტიტუტის ეფექტურობას ძირეულად განსაზღვრავს სოციალური გარემო და ისტორია. როგორც პატნემი აღნიშნავს, სამხრეთ იტალიის გამოცდილება გაკვეთილი უნდა იყოს ყოფილი კომუნისტური ქვეყნებისათვის,"** – აღნიშნავს ჭიაბერაშვილი წიგნის "24 საათის" გუშინდელ ნომერში გამოქვეყნებულ "მოკლე შინაარსში".

გაგრძელება A3 გვერდზე

# გურჯაანში მომხდარი სერიული მკვლელობები გახსნილია

*ორწლიანი ძიების შემდეგ, კახეთის რეგიონის პროკურატურამ გურჯაანში მომხდარი გახმაურებული მკვლელობები გახსნა. პროკურატურის განცხადებით, ბანდის ლიდერს, კახეთის სამხარეო სამმართველოს კრიმინალური პოლიციის ყოფილ უფროსს გოჩა ნაზღაიძეს სამუდამო პატიმრობა ელის, ხოლო ბანდის სამ წევრს - გოჩა ვარაზაშვილს, ზურაბ გეთიაშვილს და კობა აბაზაშვილს, მეტსახელად "ღუზას" - თერთმეტ წლამდე პატიმრობა.*


ზვიად რუაძე
*კახეთიდან*


2003 წლის 3 დეკემბერი - შინაგან საქმეთა სამინისტროს გურჯაანის განყოფილებაში შედის ინფორმაცია, რომ ქალაქ გურჯაანში, კიკვიძის ქუჩაზე, ნიბლაძეების საცხოვრებელი ბინის ეზოში აღმოჩენილია ვენერა ნიბლაძის, ხოლო მისაღებ ოთახში მისი მეუღლის - ომარ ნიბლაძის გვამი.

2004 წლის 5 იანვარი – გურჯაანის პოლიციაში შედის კიდევ ერთი ინფორმაცია, რომ საკუთარ საცხოვრებელ ბინაში სადისტურად ჩაცხრილეს 32 წლის ნინო კალატოზიშვილი და მისი 12 წლის გოგონა - დარინა პაპუნაშვილი. შემთხვევის ადგილის დათვალიერების და ექსპერტიზის დასკვნის შედეგად გაირკვა, რომ ორივე მკვლელობა ერთი და იგივე იარაღით მოხდა. რაიონის პოლიციამ და პროკურატურამ საქმის გამოძიება დაიწყო და ორწლიანი ინტენსიური ძიების შედეგად, მკვლელობები გაიხსნა. **"მომხდარ მკვლელობებთან დაკავშირებით, სამხარეო პოლიცია და პროკურატურა ინტენსიურად აგრძელებდა მუშაობას, დაიკითხნენ მოწმეები და აღნიშნული დანაშაულები უკვე გახსნილია, ეჭვმიტანილებს, რომლებიც დაკავებული არიან, წარედგინებათ ბრალდება,"** - აცხადებს კახეთის პროკურორი თამაზ ცაბუტაშვილი.

გაგრძელება A5 გვერდზე

## ამბები

### წინანდლის რეზიდენციის იჯარით გადასაცემად გამოცხადებული კონკურსის გამარჯვებული დღეს გამოვლინდება

გავრცელებული ხმები იმასთან დაკავშირებით, რომ წინანდლის რეზიდენციის იჯარით გადასაცემად გამოცხადებული კონკურსი ერთი თვით გადაიდება, არ გამართლდა. დღეს ეკონომიკის სამინისტროში საკონკურსო პაკეტი გაიხსნება და გამარჯვებული გამოვლინდება.

A2

## ამბები

### დიდი და პატარა ლიახვის ხეობას ელექტროენერგია არ მიეწოდება

სამინისტროს ინფორმაციით, დიდი და პატარა ლიახვის ხეობებში მოსახლეობამ თანხის აკრეფა უკვე დაიწყო და როგორც კი დავალიანება გასტუმრებული იქნება, მათ ელექტროენერგიის მიწოდება აღუდგება.

A2

## ამბები

### აფრასიძეების საქმეს ევროსასამართლოსთვის ამზადებენ

გოჩა და შმაგი აფრასიძეების ადვოკატი მალხაზ ჯანგირაშვილი, დიდი ხანია, ირწმუნება და არაერთი მტკიცებულებაც მოჰყავს, რომ ძმები აფრასიძეები დღემდე უკანონო პატიმრობაში იმყოფებიან.

A5

## რევიუ

### კომპლექსებით სიბნელეში და წრეზე

შეხვედრა შედგა, დაიწყო გარკვეული ენთუზიაზმით, თუმცა ზოგიერთისთვის, დასასრულს პესიმიზმი შეეპარა. "24 საათი" გამოჩენილ ხელოვნებათმცოდნეებს შეხვდა და კითხვებზე მკაფიო და საინტერესო პასუხებიც მიიღო.

A7

## ამინდი

| | 9/11 | 10/11 |
|---|---|---|
| თბილისი | 15 | 13 |
| ტყიბული | 15 | 15 |
| სოხუმი | 16 | 14 |
| გორი | 9 | 9 |
| ონი | 7 | 7 |
| ზუგდიდი | 16 | 17 |
| ახმეტა | 15 | 13 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7981 |
| ევრო | 2.1225 |
| გირვანქა სტერლ. | 3.1425 |
| რუბლი | 0.0625 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| ამბები | A 3 |
| ამბები | A 4 |
| სამართალი | A 5 |
| სპორტი | A 6 |
| რევიუ | A 7 |
| პროექტი | A 8 |
| საზოგადოება | B 2 |
| მონიტორინგი | B 3 |
| სხვადასხვა | B 4 |

# ქართული დიპლომები უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში

*საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანება ჯერ კიდევ სამომავლო გეგმის დონეზე განიხილება, თუმცა ევროპაში ქართული დიპლომებით საქმიანობა არც ისე შორეული პერსპექტივა ყოფილა.*

ელზა ჯაფოშვილი

განათლების სამინისტროს ინფორმაციით, ბოლო წლებში საქართველოში გაცემული დიპლომების 23 პროცენტი ყალბია. ამას ემატება მოძველებული უმაღლესი განათლების სისტემა და ამ მიზეზების გამო ევროპელები "სიფრთხილეს" იჩენენ ქართულდიპლომიანი სპეციალისტების დასაქმების საკითხში. მიუხედავად ამისა, ევროპაში ქართულ დიპლომებს დღესაც "დიპლომატიურად" აღიარებენ.

განათლების სამინისტროს სპეციალისტთა მტკიცებით, ხუთ წელიწადში ქართული უმაღლესი სასწავლებლების მიერ გაცემული დიპლომები ისეთივე ქმედითუნარიანი უნდა გახდეს, როგორიც დღეს ნებისმიერი წამყვანი ევროპული უმაღლესი სასწავლებლის მიერ გაცემული დიპლომია. სწორედ ამ მიზნით, 2005 წლიდან საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემა "ბოლონიის პროცესს" შეუერთდა. ბოლონიის პროცესში 49 ქვეყანაა გაწევრიანებული და 2010 წლისთვის ევროპაში ერთიანი უმაღლეს განათლების სისტემის შემოღებას გულისხმობს.

**"რა შეიძლება მოუტანოს საქართველოს ბოლონიის პროცესში მონაწილეობამ? - პროცესის მიმზიდველობა, პოლიტიკური თვალსაზრისით, ეჭვს არ იწვევს. ბოლონიის პროცესი ევროპული პროცესია და, თავისთავად ცხადია, მასში ჩართვა ჩვენი ქვეყნის ევროინტეგრაციისთვის გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება. თუმცა, ასევე გასათვალისწინებელია იმ სამუშაოების სიძნელეები, რაც ჩვენ ევროპული განათლების სივრცეში გაწევრიანებისთვის უნდა გავწიოთ. ჩვენი მიზანია, 2010 წლისთვის საქართველოში განათლების მიღებით მსოფლიოს ყველა კუთხეში დაინტერესებულნი იყვნენ,"** - ამ სიტყვებით გახსნა გუშინ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ალექსანდრე ლომაიამ სასტუმრო "თორში" ბოლონიის პროცესისადმი მიძღვნილი კონფერენცია. ბოლონიის პროცესში ჩართული ქვეყნები ორ წელიწადში ერთხელ იკრიბებიან. უახლოესი შეკრება 2007 წლისთვის ლონდონშია დაგეგმილი. სწორედ ამ დროისთვის საქართველოს განათლების სამინისტროს უკვე შესრულებული უნდა ჰქონდეს კონკრეტული ვალდებულებები: პირველ რიგში, უმაღლესი განათლება უნდა გახდეს სამსაფეხურიანი (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტორანტურა); შემოღებულ უნდა იქნას კრედიტების სისტემა, რაც ასევე გულისხმობს შეფასების არსებული სისტემის ევროპული მოდელით ჩანაცვლებას; უნდა შეიცვალოს დიპლომების არსებული ფორმატი და შინაარსი (დიპლომში უნდა შევიდეს ყველანაირი ინფორმაცია სტუდენტის სწავლების შესახებ). კონფერენციაზე მოწვეული იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორობის მოვალეობის შემსრულებელი რუსუდან ლორთქიფანიძე. მისი განცხადებით, უნივერსიტეტში ასეთი ცვლილებები უკვე მიმდინარეობს.

დღეს, კონფერენციის ბოლო დღეს, განათლების ქართველი სპეციალისტები ევროსაბჭოს უმაღლესი განათლების ექსპერტების რეკომენდაციებით, ბოლონიის პროცესის მიზნებიდან გამომდინარე, უმაღლესი განათლების ეროვნულ, სამოქმედო გეგმას შეიმუშავებენ.

# რუსთავის მეტალურგიული კომბინატის რკინისა და დოლომიტის საამქროზე ხელახალი აუქციონი გამოცხადდება

შ.პ.ს. "თეოდილმა", რომელმაც 12 ოქტომბერს რკინისა და დოლომიტის საამქრო აუქციონზე 6 მლნ. დოლარად შეიძინა, საამქროს შეძენაზე უარი განაცხადა. ამიტომ, რუსთავის მეტალურგიული კომბინატის რკინისა და დოლომიტის საამქროზე რამდენიმე დღეში ხელახალი აუქციონი გამოცხადდება. ქარხნის რეაბილიტაციის მმართველის მალხაზ ალბორიშვილის განცხადებით, საამქროს საწყისი ფასი კვლავ 1 მლნ. დოლარი იქნება.

ალბორიშვილის ინფორმაციით, "თეოდილს" ოფიციალური წერილი უკვე გაეგზავნა, რომლითაც ეუწყა, რომ აუქციონის შედეგი გაუქმდა.

რუსთავის მეტალურგიული კომბინატის ძირითადი ქონების გაყიდვის შემდეგ, აუქციონის მეორე ლოტზე ცალკე იქნა გატანილი მეტალურგიული კომბინატის საწესდებო კაპიტალში შეტანილი, კირისა და დოლომიტის საამქრო.

აუქციონის პირველი ლოტისაგან განსხვავებით, აღნიშნულ საამქროზე სერიოზული ვაჭრობა გაიმართა - შ.პ.ს "ენერგია და ინდუსტრია კომპლექსსა" და შ.პ.ს ""თედოილის" წარმომადგენლებს შორის. კირისა და დოლომიტის საამქროს საწყისი ფასი 1 მილიონი აშშ დოლარი იყო. თუმცა, კონკურენტებს შორის გამართული 35-წუთიანი ვაჭრობის შემდეგ, აღნიშნული საამქრო 6 მილიონ აშშ დოლარად შ.პ.ს "თედოილმა" შეიძინა, რომელიც ნავთობპროდუქტების იმპორტითაა დაკავებული. **ინტერპრესნიუსი**

# "უცნობი თავისუფლება"

გადაცემის სტუმარია ისტორიკოსი და პუბლიცისტი ლაშა ბაქრაძე

**ალექსანდრე ელისაშვილი:** საზოგადოების ერთმა ჯგუფმა პარასკევს, 3 საათზე, ლიტერატურულ კაფეში უკმაყოფილება გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ თავისუფლების მოედანზე იდგმება ზურაბ წერეთლის უზარმაზარი ქანდაკება, და მოუწოდა ყველას, მეორე დღეს აქციაზე შეკრებილიყვნენ. თუმცა, აქციაზე ისევ მხოლოდ ინტელექტუალთა მცირე ჯგუფი შეიკრიბა. რა არის ამის მიზეზი?

**ლაშა ბაქრაძე:** როგორც ჩანს, საზოგადოება თვლის, რომ ან არ არის ეს იმდენად მნიშვნელოვანი საკითხი, ან თვლის, რომ რაც არ უნდა ვთქვათ, არაფერი გამოვა. მაინც დადგამენ ამ ძეგლს და რაღა აზრი აქვს იქ დგომას? პროტესტს, ჩემი ღრმა რწმენით, მაინც აქვს აზრი, რადგან საზოგადოება ამით აჩვენებს, რომ ჯერ კიდევ ცოცხალია და მას აინტერესებს, როგორი იქნება ჩვენი ქალაქის და ჩვენი ქვეყნის სახე. საზოგადოება ასეთ გადაწყვეტილებებში მონაწილეობას უნდა იღებდეს. თუ საზოგადოებას ამის საშუალება არ აქვს, მაშინ რჩება ერთადერთი გზა - პროტესტი.

**ა. ე.:** ლაშა ბაქრაძე ზურაბ წერეთლის ქანდაკებას აპროტესტებდა?

**ლ. ბ.:** ზურაბ წერეთლის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. მის შესახებ შესაძლებელია ვიქონიოთ სხვადასხვა აზრი. ზოგს, ალბათ - უმრავლესობას, არ მოსწონს, არა მარტო საქართველოსა და რუსეთში, არამედ უცხოეთშიც. ზურაბ წერეთლის ძეგლის დადგმა ყოველთვის რაღაც სკანდალებთან არის დაკავშირებული...

**ა. ე.:** ასე, გიგი უგულავას ხელდასმით, საქართველოს მთავარ მოედანზე დგამენ რაღაც ქანდაკებას, და არავინ არაფერი იცის. სასაცილო ისაა, რომ დავით აღმაშენებლის ძეგლთან დაკავშირებული ვნებათაღელვა ჩამცხრალი არ იყო...

**ლ. ბ.:** არაფერი კავშირი ამ ორ ძეგლს შორის არ არის. მაგრამ საინტერესო ისაა, რომ როდესაც ამბობენ, მაგალითად, რომ მერაბ ბერძენიშვილი კომუნისტების დროს დგამდა ძეგლებს, და ეს ცუდია, მერე არ ახსენდებათ, რომ ზურა წერეთელიც, ასევე, შეიძლება ითქვას, არის კომუნისტური ეპოქის გადმონაშთი. რატომღაც არავის აღარ ახსენდება, რომ თბილისის შემოსასვლელში, არც ისე შორს იმ ადგილიდან, სადაც აპირებენ გადაიტანონ დავით აღმაშენებლის ძეგლი, იდგა გეორგიევსკის ტრაქტატის ძეგლი, მონუმენტი, რომელიც, თუ არ ვცდები, გამსახურდიას დროს ააფეთქეს. მაგრამ მე არ მინდა, ყურადღება ზურაბ წერეთელზე გავამახვილო. თავისთავად, ეს ძეგლი ჩემთვის არის უგემოვნობის ნიმუში, და მეორე მხრივ, ისეთი მონუმენტალიზმის ნიმუშია, რომელიც ოცდამეერთე საუკუნეს აღარ შეესაბამება. ეს ძეგლი არ შეიძლება დაიდგას 21-ე საუკუნეში, როდესაც ჩვენ, ყოველ შემთხვევაში – სიტყვით, ვამბობთ, რომ მივდივართ დემოკრატიისაკენ. ეს ძეგლი არის ტოტალიტარული აზროვნების ნიმუში. ასეთი ძეგლები იდგმებოდა მე-19 საუკუნეში, დიდი იმპერიების დედაქალაქებში, როგორიცაა, ვთქვათ, პარიზი, სადაც ნაპოლეონის ასეთივე ძეგლია; ლონდონში, ტრაფალგარის სკვერზე; ბერლინში, 70-იან წლებში საფრანგეთზე გამარჯვების აღსანიშნავად დადგმული ძეგლი. ყველას ახსოვს, ვისაც აქტიური ურთიერთობა ჰქონდა რუსეთთან, ალექსანდრე პირველის სვეტი, 1832 წელს დადგმული პეტერბურგში. მაგრამ ყველას გვახსოვს, რამხელა მოედნებზე დგას ეს ძეგლები. ეს - ესთეტიკასთან დაკავშირებით. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს არის სწორედ ამ იმპერიალური აზროვნების გამოხატულება. ასეთ ძეგლს ომებში გამარჯვებებს და გმირებს უძღვნიან. მსგავსი ტიპის ძეგლი არანაირად არ შეესაბამება 21-ე საუკუნეს. ეს არის ჩამორჩენილი და ტოტალიტარული აზროვნების გადმონაშთი. რადგან ხელისუფლება ამ ძეგლს ანიჭებს გარკვეულ სიმბოლურ დატვირთვას, ამოფარებულს წმინდა გიორგის ზურგს უკან, რისი სიმბოლოა ეს? ჩემთვის ეს არის ავტორიტარული რეჟიმის სიმბოლო. ამიტომაც ვარ ამ ძეგლის წინააღმდეგი, და იქნებოდა მისი ავტორი ზურაბ წერეთელი თუ სხვა რომელიმე ასეთი მონუმენტალისტი, პირველ რიგში მნიშვნელოვანი არ იქნებოდა. ჩემთვის მნიშვნელოვანია, როგორ აზროვნებს ხელისუფლება, რომელიც ასეთ ძეგლებს დგამს... სახელისუფლებო უმრავლესობის წარმომადგენელმა ნიკა გვარამიამ ბრძანა, რომ ეს არის "აფხაზეთში ჩვენი მომავალი გამარჯვების მონუმენტი". არადროს მსმენია, რომ ადამიანები წინასწარ იდგამდნენ ძეგლს მომავალი გამარჯვებებისათვის. სხვათა შორის, ეს ბევრზე მეტყველებს.

# საპარლამენტო ქრონიკა

გიორგი ასანიშვილი

გუშინ პარლამენტში ცხარე დებატები გაიმართა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესატანი ცვლილებების გარშემო, რომელიც ითვალისწინებს შინაპატიმრობის გაუქმებას, არეგულირებს ანონიმური შეტყობინების საფუძველზე წარმართული საგამოძიებო ქმედებების პროცედურებს, აკონკრეტებს სასამართლო პროცესის აუდიო და ვიდეოგადაღების საკითხს და ა.შ.

კანონპროექტის ავტორის, იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის ლევან ბეჟაშვილის მიმართ პრეტენზიებს გამოთქვამენ არა მარტო ოპოზიციის, არამედ საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლებიც. **"როდესაც იურიდიულ კომიტეტს მიხეილ სააკაშვილი ხელმძღვანელობდა, მაშინ უფრო დემოკრატიულ კანონებს ვიღებდით,"** - უკვე მერამდენედ, ელენე თევდორაძე საჯაროდ აკრიტიკებს ლევან ბეჟაშვილს.

კიდევ უფრო შორს მიდის "რესპუბლიკელი" ივლიანე ხაინდრავა, რომლის თქმითაც, აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებებით ხდება **"ქვეყნის სუკიზაცია და 1937 წელში დაბრუნება."**

**"წარმოდგენილ პროექტში სერიოზული ხარვეზებია და ამ სახით მისი მიღება დაუშვებელია,"** - აცხადებს ფრაქცია "დამოუკიდებელი მაჟორიტარის" წევრი გია მეფარიშვილი, რომელსაც არც იმის ხაზგასმა ავიწყდება, რომ დღეს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თავის დროზე, 1997 წელს სწორედ მისი ხელმძღვანელობით შემუშავდა.

კოლეგების პრეტენზიები გიგა ბოკერიას ძალიან აოცებს. მისი ვარაუდით, დეპუტატები მხოლოდ იმიტომ ებმებიან პოლემიკაში, რომ ჟურნალისტებს თავი დაამახსოვრონ.

**"ამ ცვლილებებს არანაირი კავშირი არა აქვს საბჭოურ ინკვიზიციასთან. ვინც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესატან ცვლილებებს ეწინააღმდეგება, ან უცოდინარია ან უსინდისო. გეყოთ პატიოსნება და თქვით, რომ კანონპროექტის შინაარსი ზუსტად ვერ გაიგეთ და ბეჟუაშვილს, შეურაცხყოფის მიყენებისთვის, ბოდიში მოუხადეთ,"** - მონანიებისკენ ამაოდ მოუწოდებდა ოპონენტებს გიგა ბოკერია.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესატან ცვლილებებს პირველი მოსმენით, სავარაუდოდ, დღევანდელ პლენარულ სხდომაზე ეყრება კენჭი.



*გუშინ პარლამენტში სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესატან ცვლილებებზე მსჯელობდნენ.*

■ ■ ■

გუშინ პარლამენტში, ასევე პირველი მოსმენით, დაიწყო "ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ" კანონპროექტის განხილვა. მასში მოცემულია "ქურდული სამყაროსა" და მასთან დაკავშირებული ცნებების ("ქურდული სამყაროს წევრი", "ქურდული სამყარო", "კანონიერი ქურდი" და სხვა) დეფინიცია. აღნიშნული და მისგან გამომდინარე კანონპროექტებით გათვალისწინებულია, რომ უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევის სამართლებრივი პროცედურები "ქურდული სამყაროს" წევრებზეც გავრცელდეს.

**"ეს კანონი არის პოლიტიკური აქტი, რომელმაც "კანონიერი ქურდის" ინსტიტუტის დამარცხებას უნდა შეუწყოს ხელი,"** - ასე განმარტავს პრეზიდენტის მიერ ინიცირებული კანონპროექტის მიზანს ლევან ბეჟაშვილი.

■ ■ ■

გუშინ საქართველოს პარლამენტმა ფეხზე ადგომით და წუთიერი დუმილით პატივი მიაგო აფხაზი სეპარატისტების მიერ გატაცებული და სოხუმის ციხეში წამების შედეგად დაღუპული დანიელ წურწუმიას ხსოვნას.

**"წურწუმიას გატაცება რუსი სამშვიდობოების თვალწინ და მათი წაყრუებით მოხდა. კეთილი ინებონ და თავიანთი ფუნქცია შეასრულონ, ან თავი დაანებონ დემაგოგიას, თითქოს, ქართული მხარე კონფლიქტის ზონებში პროვოკაციებს აწყობს. როგორც ჩანს, ქართველები და აფხაზები, ისევე როგორც ქართველები და ოსები, რუსების შუამავლობის გარეშე უკეთესად მოახერხებენ ერთმანეთთან საერთო ენის გამონახვას,"** - აღნიშნავს პარლამენტის თავმჯდომარე.

მისივე თქმით, ახლო მომავალში იგეგმება საპარლამენტო განხილვის მოწყობა, რომელზეც კონფლიქტის ზონებში შექმნილ ვითარებაზე იქნება საუბარი.

■ ■ ■

პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე მიიჩნევს, რომ საზღვრის დაცვის დეპარტამენტი არასაკმარისად ფინანსდება. **"სახელფასო ფონდის გარდა, ამ უწყებას მხოლოდ სამი მილიონი ლარი ეძლევა, რითაც სახელმწიფო საზღვრის ნორმალურად დაცვა, პრაქტიკულად, შეუძლებელია,"** - აღნიშნავს სპიკერი.

■ ■ ■

გუშინ საქართველოს პარლამენტმა ცნო გიორგი იმნაძის სადეპუტატო უფლებამოსილება. იგი არის გიორგი არველაძის ადგილმონაცვლე, რომელიც, როგორც ცნობილია, სულ ცოტა ხნის წინათ პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელად დაინიშნა.

■ ■ ■

**"როდესაც მომხსენებელი დარბაზში არ არის და, ამ მიზეზით, კანონპროექტის განხილვა ვერ ხერხდება, მას ორჯერ მეტი ოდენობით უნდა ექვითებოდეს ხელფასი, ვიდრე ეს სხდომის გაცდენისთვის არის გათვალისწინებული,"** - ამ დასკვნამდე გუშინ მიხეილ მაჭავარიანი მას შემდეგ მივიდა, როდესაც ლალი ფაფიაშვილისა და ნიკა გვარამიას ძებნით დაიღალა, რომლებსაც პლენარულ სხდომაზე რამდენიმე კანონპროექტი უნდა გაეტანათ.

■ ■ ■

პარლამენტში ტექნიკური პროგრესი შეიმჩნევა: დამონტაჟდა ახალი მონიტორი, რომელიც დეპუტატებს საშუალებას აძლევს, საკუთარ გამოსვლებს "პირდაპირ ეთერში" ადევნონ თვალი. გაუმჯობესდა სმენადობაც. თუმცა, ზოგიერთი დეპუტატის გულის მოგება მაინც ვერ ხერხდება.

**"ეს რა დადგეს კაცო, "ვაბშე" არაფერი არ ისმის,"** - იტალიელი და გერმანელი სპეციალისტების ნამუშევარს იწუნებს ბესო ჯუღელი.

# ბიუჯეტიდან პოლიტიკური პარტიების დაფინანსების შესახებ კანონპროექტში ცვლილებებია

სახელმწიფო ბიუჯეტიდან პოლიტიკური პარტიების დაფინანსების შესახებ კანონპროექტის განხილვა, რომელიც მიმდინარე კვირას იყო დაგეგმილი, მომდევნო პლენარული კვირისთვის გადაიდო. გადადების მიზეზი „კონსერვატორებისა" და „რესპუბლიკელების" მიერ მომზადებული დამატებები გახდა.

როგორც პარლამენტის წევრი, „კონსერვატორი" კახა კუკავა განმარტავს, დამატებები ითვალისწინებს დაფინანსებას იმ პოლიტიკური პარტიებისა, რომლებიც საპარლამენტო არჩევნებში სხვა პარტიული სიით იყრიდნენ კენჭს. აღსანიშნავია, რომ ამ კატეგორიას მიეკუთვნებიან „კონსერვატორული" და „რესპუბლიკური" პარტიის წევრები, ვინაიდან მათი უმრავლესობა 2004 წლის 28 მარტის საპარლამენტო არჩევნებში "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" სიით გავიდა.

როგორც ცნობილია, პოლიტიკური პარტიების სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების შესახებ კანონპროექტი მოამზადა პოლიტიკურმა პარტიამ "ახალი მემარჯვენეები". ამ კანონპროექტის მიხედვით, 2006 წელს უნდა დაფინანსდეს ის პარტიები, რომლებმაც 2004 წლის საპარლამენტო არჩევნებში ოთხპროცენტიანი ბარიერი გადალახეს. დაფინანსება 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე უნდა გაგრძელდეს.

საკანონმდებლო ინიციატივა კონკრეტულ დაფინანსებას ითვალისწინებს. კერძოდ, პარტია, რომელმაც ორასი ათასი ამომრჩევლის ხმა მიიღო, თითოეულ ამომრჩეველზე ორ ლარს მიიღებს. პარტიას, რომელმაც 500 ათასამდე ხმა მიიღო, 1,5 ლარი უნდა გამოუყონ, ხოლო 500 ათასზე მეტი ხმის მიღების შემთხვევაში, პარტია თითოეულ ამომრჩეველზე 1 ლარს მიიღებს.

მომდევნო კვირაში ამ კანონპროექტს საპარლამენტო კომიტეტებში განიხილავენ, რომლის შემდეგ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე გაიტანენ. **ჯი-ეიჩ-ენი**

# წინანდლის რეზიდენციის იჯარით გადასაცემად გამოცხადებული კონკურსის გამარჯვებული დღეს გამოვლინდება

*გავრცელებული ხმები იმასთან დაკავშირებით, რომ წინანდლის რეზიდენციის იჯარით გადასაცემად გამოცხადებული კონკურსი ერთი თვით გადაიდება, არ გამართლდა. დღეს ეკონომიკის სამინისტროში საკონკურსო პაკეტი გაიხსნება და გამარჯვებული გამოვლინდება. პრეტენდენტი კი მხოლოდ ერთი კომპანიაა. გუშინ, დღის მეორე ნახევარში ეკონომიკური განვითარების სამინისტროში წინანდლის რეზიდენციის იჯარით გადაცემაზე ერთადერთი განაცხადი "სილქ როუდ გრუპის" შვილობილი კომპანია "ამბრელა კონსალტინგისგან" შევიდა.*

დიანა ჩაჩუა

გასული კვირის მთავარ თემად ქცეული, წინანდლის რეზიდენციის იჯარით გადაცემის ისტორია, შესაძლოა, დასრულდეს. რვა ნოემბერს ამოიწურა დაინტერესებულ პირთა განაცხადების მიღების ვადა. პირველი და ერთადერთი განაცხადი გუშინ სამინისტროში, ვადის ამოწურვამდე რამდენიმე საათით ადრე, "სილქ როუდ გრუპის" შვილობილი კომპანია "ამბრელა კონსალტინგისგან" შევიდა. სამინისტროს ინფორმაციით, კომპანიამ "ბე"-ს სახით 7000 აშშ დოლარი გადაიხადა.

თუმცა, გუშინდლამდე მოვლენები ისეთი სცენარით ვითარდებოდა, რომ წინანდლის რეზიდენციის იჯარით გადაცემა გარკვეული ვადით უნდა გადადებულიყო. რეზიდენციაზე განაცხადების შეტანის ვადის ამოწურვამდე ერთი დღით ადრე, "საქართველოს კონსერვატიულმა პარტიამ" თბილისის საქალაქო სასამართლოში სარჩელი შეიტანა. "კონსერვატიულმა პარტიამ" ეკონომიკის სამინისტროსა და კულტურის სამინისტროს იმ მოტივით უჩივლა, რომ მოქმედი კანონმდებლობით კულტურის ძეგლის პრივატიზაცია იკრძალება. წინანდლის სახლ-მუზეუმს კი, "კონსერვატიული პარტიის" წარმომადგენლების განცხადებით, ყველანაირი კრიტერიუმით კულტურული ძეგლის სტატუსი აქვს. იმავე დღეს, პარლამენტში კომიტეტების წარმომადგენელთა შეხვედრაზე გაიცა რეკომენდაცია, იჯარით გაცემის პროცესის ერთი თვით შეჩერებასთან დაკავშირებით. **"როგორც აღმოჩნდა, დოკუმენტში, რომელმაც ინვესტორისა და სახელმწიფოს ურთიერთობა უნდა დაარეგულიროს, სერიოზული ხარვეზებია. მაგალითად, იქ ნათქვამია, რომ ინვესტორი თავისი შეფასების საფუძველზე წყვეტს, რა უნდა გაკეთდეს მამულში. კონტროლს კი კულტურის სამინისტრო ახორციელებს. ჩემი აზრით, ეს დაუშვებელია. კულტურის სამინისტროს ექსპერტებმა უნდა გადაწყვიტონ, რა სამუშაოა ჩასატარებელი, ხოლო ინვესტორმა შეასრულოს. ამ ეტაპზე იჯარით გაცემის პროცესის ერთი თვით შეჩერების რეკომენდაცია გავეცით,"** - აცხადებდა შვიდ ნოემბერს განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარე ნოდარ გრიგალაშვილი.

თუმცა, ზემოთ ხსენებული მოვლენების მიუხედავად, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს კონკურსის მსვლელობა არ შეუჩერებია. როგორც ეკონომიკური განვითარების სამინისტროში აცხადებენ, ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის იჯარით გაცემასთან დაკავშირებული პროცედურები გამჭვირვალეა და კანონის სრული დაცვით მიმდინარეობს. რაც შეეხება "საქართველოს კონსერვატიული პარტიის" მიერ სასამართლოში შეტანილ სარჩელს, სამინისტროში აცხადებენ, რომ სასამართლოს განჩინება ამასთან დაკავშირებით ჯერ არ მიუღია, ამიტომ კონკურსის შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილება არ არსებობს.

შეგახსენებთ, რომ საიჯარო პირობების თანახმად, რეზიდენცია და მიმდებარე ტერიტორია, სადაც ჭავჭავაძეების სახლ-მუზეუმიც მდებარეობს, 49-წლიანი იჯარით გადაეცემა ინვესტორს, რომელიც ყოველწლიურად სახელმწიფო ბიუჯეტში 70 000 აშშ დოლარს შეიტანს, ხოლო 2 წლის განმავლობაში, მინიმუმ, 5 000 000 აშშ დოლარის ინვესტიციას განახორციელებს. საიჯარო პირობებში ჩადებულია სახლ-მუზეუმისა და არსებული ექსპონატების მოვლა-პატრონობის ვალდებულება, პერსონალის დასაქმება და თანამედროვე ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება.

წინანდლის მოსახლეობის, საზოგადოების წარმომადგენელთა და პარლამენტართა პროტესტის მიუხედავად, ეკონომიკური განვითარების სამინისტროში საკონკურსო პაკეტი დღეს გაიხსნება და გაირკვევა, გახდება თუ არა "ამბრელა კონსალტინგი" წინანდლის რეზიდენციის მოიჯარე.

# დიდი და პატარა ლიახვის ხეობას ელექტროენერგია არ მიეწოდება

დიდი და პატარა ლიახვის ხეობის მოსახლეობას ელექტროენერგია მისი საფასურის გადაუხდელობის გამო არ მიეწოდება. როგორც ენერგეტიკის სამინისტროში განაცხადეს, სამინისტრომ თავისი პირობა შეასრულა და დიდი და პატარა ლიახვის ხეობის მოსახლეობის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის ის ნაწილი, რომელიც ბიუჯეტიდან უნდა დაფარულიყო, გადაიხადა.

**"სახელმწიფო ბიუჯეტიდან ერთი მოსახლისათვის თვეში 11 ლარი გაიცემა. ეს თანხა, მართალია, გადახდილია, მაგრამ მოხმარებულია უფრო მეტი ღირებულების ელექტროენერგია, რაც ადგილობრივი მოსახლეობის მიერ უნდა ანაზღაურდეს,"** - განმარტავენ სამინისტროში.

სამინისტროს ინფორმაციით, დიდი და პატარა ლიახვის ხეობებში მოსახლეობამ თანხის აკრეფა უკვე დაიწყო და როგორც კი დავალიანება გასტუმრებული იქნება, მათ ელექტროენერგიის მიწოდება აღუდგება.

დიდი ლიახვის მაჟორიტარმა დეპუტატმა გურამ ვახტანგაშვილმა ენერგეტიკის მინისტრ ნიკა გილაურისგან ახსნა-განმარტებები მოითხოვა იმასთან დაკავშირებით, რომ დიდი და პატარა ლიახვის ხეობას ელექტროენერგია არ მიეწოდება. როგორც ვახტანგაშვილმა გუშინ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე აღნიშნა, მიუხედავად იმისა, რომ კონფლიქტის ზონაში საშინლად დაძაბული ვითარებაა, კონფლიქტის ზონის ქართულ სოფლებს ორი კვირის განმავლობაში ელექტროენერგია არ მიეწოდება. როგორც ვახტანგაშვილმა აღნიშნა, ენერგეტიკის სამინისტრო ლიახვის ხეობის მოსახლეობას დაჰპირდა, რომ სანამ გამრიცხველიანება მოხდებოდა, ელექტროენერგიის თანხას სამინისტრო გადაიხდიდა. **"დღეს კი ელექტროენერგია გათიშულია და მოსახლეობას დენი არ მიეწოდება,"** - განაცხადა ვახტანგაშვილმა. **ინტერპრესნიუსი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** ფრაქცია "დემოკრატიული ფრონტის" წევრი გია თორთლაძე ბორჯომში ხე-ტყის განუკითხავი ჭრის გამო შესაბამისი სტრუქტურების ყურადღების მიქცევას მოითხოვს.

მისი განცხადებით, ბორჯომის რაიონის სოფელ ვაკირეში ხე-ტყის განუკითხავი ჭრა მიდის. მისი თქმით, სოფელში ხის გადამამუშავებელი 12 მინიქარხანაა გახსნილი.

"მოვითხოვ, ეკოლოგიურმა ინსპექციამ ბორჯომის რაიონში მიმდინარე პროცესზე სწრაფი რეაგირება მოახდინოს," - განაცხადა თორთლაძემ. **ჯი-ეიჩ-ენი**

■ ■ ■

**თბილისი.** მოძრაობა "სალომე ზურაბიშვილის" მხარდამჭერებს საქართველოს საგარეო საქმეთა ექსმინისტრ სალომე ზურაბიშვილთან შეხვედრის საშუალება ყოველ სამშაბათს ექნებათ.

მოძრაობა პირველ თემატურ კონფერენციას საქართველოში ეკოლოგიისა და გარემოს დაცვის პრობლემებს მიუძღვნის, რომელიც 10 ნოემბერს თბილისში, გეოგრაფიის საზოგადოების შენობაში ჩატარდება.

მოძრაობის ოფისში მიღებული ინფორმაციით, სალომე ზურაბიშვილის მხარდასაჭერად აქტიურობენ საზოგადოების წარმომადგენლები აჭარაში, სამეგრელოში, იმერეთში, კახეთში, სვანეთში, შიდა ქართლში და ექსმინისტრს მისივე სახელობის მოძრაობის ოფისის გახსნას ბათუმში, ზუგდიდში, ქუთაისში, თელავში, მესტიაში და გორში სთავაზობენ. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სოფლის მეურნეობის სამინისტრო ქათმის გრიპის თავიდან ასაცილებლად მოსახლეობას რეკომენდაციებს სთავაზობს.

რეკომენდაციებს შორის მნიშვნელოვანია, რომ უმი ხორცი გამოცალკევებული იყოს ოჯახში მომზადებული თუ ქარხნულად გამოშვებული კერძებისაგან. ასევე საგულდაგულოდ გასუფთავდეს ხორცის საკეპი დაფა და დანა, რათა დასვრილმა ზედაპირმა სხვა საკვები ინგრედიენტებიც არ დააბინძუროს.

სოფლის მეურნეობის სამინისტრო მოსახლეობას აფრთხილებს, თავი აარიდოს თოხლო კვერცხის ან მისგან მომზადებული კერძების დაგემოვნებას. რეკომენდაციებს შორის ყველაზე მთავარია, რომ ხორციცა და კვერცხიც 70 გრადუს ცელსიუსზე თერმულად დამუშავდეს, რათა ქათმის ვირუსის გაუვნებელყოფა მოხდეს. **ჯი-ეიჩ-ენი**

■ ■ ■

**თბილისი.** თურქეთის ტერიტორიაზე არსებული ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების სათანადოდ დაცვის მოთხოვნით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები თურქეთის მთავრობას მიმართავენ.

მათ საქართველოში თურქეთის ელჩს ერთან თეზგორს გუშინ სათანადო მიმართვა გაუგზავნეს.

უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფის განცხადებით, იმის გამო, რომ თურქეთის ტერიტორიაზე არსებული უძველესი ქართული ისტორიული ძეგლები უპატრონოდ არის მიტოვებული, მათ განადგურების რეალური საფრთხე ემუქრება.

ამ კუთხით სტუდენტები ყურადღებას ოშკის ტაძარში აღმოჩენილ ორ ისტორიულ სტელაზე ამახვილებენ, რომელიც ამ დროისთვის ქალაქ უზუნდერეს ჟანდარმერიის ეზოში, ღია ცის ქვეშ არის მოთავსებული.

სტუდენტების განცხადებით, ოშკის ტაძარი, ოთხთა ეკლესია და ხანძთის ტაძარი უყურადღებობისა და თურქეთის ცალკეული მოქალაქის თვითნებური საქციელის შედეგად განადგურების პირას იმყოფება. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სოფლის მეურნეობის სამინისტრო მომავალი წლიდან გორისა და ქარელის სანერგე მეურნეობაში ვაშლის ახალი ჯიშების შემოტანა იგეგმება. როგორც სამინისტროში აცხადებენ, ვაშლის ახალი ჯიშების - "ფუჯის", "გალასა" და "გრონსმიტის" ნერგებს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დახმარებით კერძო კომპანიები აშშ-დან, რუსეთიდან და იტალიიდან შემოიტანენ. მათივე ინფორმაციით, სანერგე მეურნეობის განვითარება ხელს შეუწყობს ქვეყანაში ამ დარგის აღორძინებას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას.

აღსანიშნავია, რომ შიდა ქართლიდან მხოლოდ რუსეთში 30-40 ათასი ტონა ვაშლის საუკეთესო ჯიშების - გოლდენის, ბანანის, შამპანური რენეტისა და კეხურას ექსპორტი ხორციელდება. მიმდინარე წელს შიდა ქართლში 200 ათასი ტონა ვაშლის მოსავალს ელოდებიან, მაშინ, როცა გასულ წელს შიდა ქართლში 160 ათასი ტონა ვაშლის მოსავალი აიღეს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტი ეკატერინე გალდავა გუშინ სტამბულში გაემგზავრა, სადაც 9-10 ნოემბერს კასპიის რეგიონის, ცენტრალური აზიისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების ყოველწლიურ, რიგით მესამე საერთაშორისო საბანკო-საფინანსო კონფერენციაში მიიღებს მონაწილეობას. კონფერენციას დაესწრება 50 ქვეყნის 400 დელეგატი, მათ შორის, საქართველოს საბანკო ასოციაციისა და კომერციული ბანკების ხელმძღვანელებიც. კონფერენციის პროგრამით გათვალისწინებულია კასპიის რეგიონში, ცენტრალურ აზიასა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებში არსებული ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ მსჯელობა. **ჯი-ეიჩ-ენი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# „მოგზაურობა ყარაბაღში" - ქუთაისში სტუმრობის ფინალი

პირველი გვერდიდან

"პოსტკომუნისტურ წლებში მოხდა ქუთაისის დეურბანიზაცია. ქუთაისმა, როგორც ქალაქმა, პრაქტიკულად, ბევრი მიმართულებით შეწყვიტა არსებობა," - განაცხადა პრეზიდენტმა და ქუთაისის ურბანიზაციაში "ვარდების მთავრობის" წვლილის აღსანიშნავად დასძინა: "ქალაქში აუცილებლად უნდა იყოს გზები, განათება, კულტურული დაწესებულებები და ჩვენ დღეს აქ ვხსნით კინოთეატრს. ქალაქში უნდა იყოს ჯანდაცვის დაწესებულებები და, ასევე, დღეს ქუთაისში ვხსნით საქართველოში ყველაზე თანამედროვე საავადმყოფოს, რომელიც გახდება ჯანდაცვის ცენტრი დასავლეთ საქართველოში და აღმოსავლეთ საქართველოში. შემდეგ თბილისში ვვარაუდობთ ასეთივე საავადმყოფოს გაკეთებას და რაც მთავარია, ქალაქში უნდა იყოს ეკონომიკური პროგრესი, რაც ეფუძნება განათლებას, ენერგეტიკას, ინფრასტრუქტურასა და ჩვენი ქვეყნის კონკურენტუნარიანობის გაზრდას."

შესაბამისად, პირველ რიგში, პრეზიდენტმა ქუთაისის რამდენიმე ქუჩაზე შეღებილი ფასადები და გარემონტებული გზები დაათვალიერა. ამისთვის წელს ქუთაისში 11 მილიონი ლარი დაიხარჯა.

გზადაგზა ქვეყნის პირველმა პირმა მოსახლეობასთან შეხვედრებიც გამართა. ყველაზე მეტად აბაშიძის ქ. N2-ში მცხოვრებ გოგოლაშვილების ოჯახს გაუმართლა, რომელსაც პრეზიდენტი მოულოდნელად შინ ეწვია. ქუთაისში არსებულ ყველაზე მწვავე პრობლემებს - უშუქობასა და უმუშევრობას, პრეზიდენტი პირველად სწორედ აქ შეეხო. გოგოლაშვილების ოჯახში მიხეილ სააკაშვილმა პირობა დადო, რომ ელექტროენერგიის პრობლემა ამ ზამთარში საქართველოში და მათ შორის ქუთაისშიც აღარ იქნება.

"რაც შეეხება მთავარ პრობლემას საქართველოში - სამუშაო ადგილებს, ჩვენ უკვე დავიწყეთ და მომავალ წელსაც გავაგრძელებთ ხალხის გადამზადების ცენტრების შექმნას. უნდა ვასწავლოთ ხალხს ის პროფესიები, რაც ბაზარზე გადის: შემდუღებელი და უბრალო "კაფელჩიკიც" კი აღარა გვყავს. გვირაბსაც კი დღეს საქართველოში უცხოელები აშენებენ; გზას თურქები და ჰოლანდიელები აგებენ. ეს უნდა დამთავრდეს, ჩვენ უნდა ვისწავლოთ და ჩვენვე უნდა გავაკეთოთ, რადგან მომავალ წელს ქართულ ეკონომიკაში ჩვენ 2 მილიარდ ლარს დავხარჯავთ და ეს 2 მილიარდი ქართველებმა უნდა ამუშავონ," - აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა.



პრეზიდენტმა ქუთაისის ურბანიზაციაში "ვარდების მთავრობის" წვლილი აღნიშნა.

კუპრაძის ქუჩაზე საქართველოს პრეზიდენტს ქუთათურები სახელდახელოდ მომზადებული პურ-მარილით გაუმასპინძლდნენ.

"მარტო ქუთაისში შეიძლება მოხდეს ასეთი რამ - შემთხვევით შეიარო ქუჩაზე, ისე, რომ არ გქონდეს დაგეგმილი და იქ იყოს შემწვარი გოჭი და თაფლის არაყი," - კმაყოფილება გამოთქვა პრეზიდენტმა და ჭიქა არყით მასპინძლებს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ გარემონტებული გზები დაულოცა.

ამის შემდეგ პრეზიდენტმა, დაახლოებით ერთ საათში, ვიზიტის პროგრამით გათვალისწინებული ობიექტები "შემოირბინა":

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს მიხეილ სააკაშვილმა დაარსებიდან 75 წლის იუბილე მიულოცა და სპეციალურად ამ დღესთან დაკავშირებით შექმნილი აკაკი წერეთლის მონუმენტიც თავად გახსნა.

"ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია აკაკი წერეთლის ძეგლის გახსნა, რომლის სიტყვები ჩვენს ჰიმნშიც არის. ჩვენი მთავრობისთვის მთავარი პრიორიტეტი არის განათლება, რადგან განათლების გარეშე არ არსებობს სამუშაო ადგილები, შემოსავლები, წინსვლა; განათლების გარეშე არ იარსებებს ტერიტორიული მთლიანობა, რადგან ჩვენ ჭკუით უნდა ვაჯობოთ ჩვენზე ბევრად უფრო ძლიერ მტერს," - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

პრეზიდენტმა ქუთაისის უნივერსიტეტს "ყველაზე დიდი ტრადიციების მქონე უმაღლესი სასწავლებელი" უწოდა. როგორც ჩანს, მთლად ასე არ ფიქრობენ განათლების სამინისტროში, რომლის თავკაციც ქუთაისში პრეზიდენტს არ ჩამოჰყოლია და უფრო მეტიც, ამ ცოტა ხნის წინ ლომაიას უწყება აკრედიტაციაზეც კი უარს ეუბნებოდა ქუთაისის უნივერსიტეტს. ალბათ, პრეზიდენტი ქუთაისის უნივერსიტეტზე ინფორმაციას ძალიან მწირად ფლობს, რადგან სახელოვან ლექტორთა რიცხვში მხარის ამჟამინდელი რწმუნებული აკაკი ბობოხიძეც მოიხსენია, რომელსაც წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლექციები არასდროს წაუკითხავს და პედაგოგიურ მოღვაწეობას მხოლოდ ტექნიკურ უნივერსიტეტში ეწეოდა.

პრეზიდენტის სრული ინფორმირება ადგილზე, სამკურნალო-დიაგნოსტიკურ ცენტრში იკისრა ჯანდაცვის მინისტრმა ლადო ჭიპაშვილმა. ულტრათანამედროვე აპარატურით აღჭურვილი სამედიცინო ცენტრის გახსნა ქუთაისში 20 მილიონი ლარი დაჯდა. ამასთან, საზღვარგარეთ, კერძოდ, ავსტრიაში სტაჟირება გაიარა ცენტრში დასაქმებულმა სამედიცინო პერსონალმაც. ნანახით პრეზიდენტი იმდენად კმაყოფილი დარჩა, რომ ორიოდე დღის წინ მინისტრ ჭიპაშვილის მისამართით ნათქვამი საყვედურები უკან წაიღო: "ბოლო ერთი კვირაა ჟურნალისტები არკვევენ, იღებს თუ არა ჭიპაშვილი მობილურ ტელეფონს. სხვათა შორის, მე სულაც არ მიმაჩნია, რომ მობილური ტელეფონი, რომელიც პირადი მოხმარებისაა, ცოლის დარეკილის გარდა ვინმესი უნდა აიღო. ლადო ჭიპაშვილმა და მისმა გუნდმა შეძლეს საქართველოში უფასო სასწრაფოს ამოქმედება და მეორეც - თანამედროვე ჯანმრთელობის ცენტრების შექმნა. ჩვენ ხშირად გვაკრიტიკებენ, რომ ესენი შადრევნებს აკეთებენ და ხსნიანო. ეს არის შადრევანი? ეს არის მართლა სასწაული, რომელსაც ჩვენ ერთად ვახდენთ. ის აპარატურა, რომელიც მე აქ ვნახე, მხოლოდ ნიუ-იორკში მაქვს ნანახი".

კიდევ ერთი ობიექტის - ქუთაისში მშენებარე იზოლატორის თაობაზე პრეზიდენტის ინფორმირება იუსტიციის მინისტრმა კოტე კემულარიამ, ასევე, პირადად იტვირთა. საპყრობილის გახსნა თვის ბოლოსთვის გადაწყდა. თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი იზოლატორიდან მიხეილ სააკაშვილმა დამნაშავეთა სამყაროს მიმართა: "თუ რომელიმე კრიმინალი საფრთხეს შეუქმნის მოქალაქეებს ან თუნდაც რომელიმე პოლიციელს, პოლიციას აქვს გადაწყვეტილება მიღებული, რომ თუ სხვა გამოსავალი არ არის, ყველა კრიმინალი განადგურდეს ადგილზე, ამიტომ ყველას მოვუწოდებ, რომ დავემორჩილოთ კანონებს".

რამდენიმესაათიანი ვიზიტი პრეზიდენტმა ქუთაისში კინოთეატრის გახსნით დაასრულა, სადაც საათნახევარი ბავშვებთან ერთად ქართული მხატვრული ფილმის - "მოგზაურობა ყარაბაღში" - ნახვას მიუძღვნა. ამით ქუთაისში პრეზიდენტის "მოგზაურობა" დასრულდა, კინოთეატრის წინ კი მოსახლეობისთვის კონცერტი ჩატარდა, რომელიც ფეიერვერკმა დააგვირგვინა.

განწბილებული მოსახლეობის სატკივარის მოსმენა პრეზიდენტის ნაცვლად ჟურნალისტებს მოგვიხდა: "მხოლოდ კომფორტულ ბინებში შეიყვანეს პრეზიდენტი და ჩვენი დანგრეული სახლებისკენ არც გამოახედეს, ჩვენი პატრონი არავინაა", - აღნიშნა ბალანჩივაძის ქუჩის მცხოვრებმა ნაზი ჩარკვიანმა "24 საათთან" საუბარში. "ერთი თვეა დენი არ განათებულა დეპოს ქუჩაზე და მეზობლები ერთმანეთს ვხოცავთ," - გვითხრა პელაგია ჭიჭინაძემ.

გამგზავრების წინ პრეზიდენტმა ქუთაისელებს დაპირება დაუტოვა: "მომავალ წელს ჩვენ ფასადებთან და გზებთან ერთად კორპუსების სახურავების შეკეთებას დავასრულებთ. 2007 წლიდან კი ქუთაისში წყალსადენის გაკეთებას ვიწყებთ, რისი გაკეთებაც კომუნისტებს დაავიწყდათ და მერე ამისთვის აღარავის მოუცლია".

## უმრავლესობა ოპოზიციას ელოდება

პირველი გვერდიდან

"დემოკრატიის ერთ-ერთი უმთავრესი ინსტიტუტი უნდა იყოს სრულფასოვანი," – ამბობს ედვარდ სურმანიძე. ამასთან, იგი უარყოფითად ეკიდება ოპოზიციის მთავარ მოთხოვნას – ადგილობრივი თვითმმართველობის პირდაპირ არჩევნებს: "ავირჩიეთ მსოფლიოში დამკვიდრებული ორი დემოკრატიული მოდელიდან ერთი, რომელიც პირველი ხელმძღვანელი პირების არჩევას საკრებულოს გავლით გულისხმობს. რაც შეეხება მეორე ვარიანტს – პირდაპირი წესით არჩევნებს - ამის პრაქტიკა ქუთაისში, ფოთსა და ბათუმში გავიარეთ და ვნახეთ, რომ უამრავი მოუგვარებელი პრობლემა დარჩა," – აცხადებს ედვარდ სურმანიძე.

პარლამენტის ვიცე-სპიკერი მიშა მაჭავარიანიც ოპოზიციის მიერ კანონპროექტის ალტერნატიული ვარიანტის წარდგენას ელოდება და ამბობს, რომ "კრიტიკა ადვილია, კანონპროექტის დაწერა კი რთული. "იმ შემთხვევაში, თუ ოპოზიცია უმრავლესობას თავის "ვარიანტს" წარუდგენს და კანონპროექტი უმრავლესობისთვის მოსაწონი იქნება, შესაძლოა კანონპროქტის საფუძვლადაც ავიღოთ," – ასეთი პოზიცია აქვს მაჭავარიანს.

"ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" თავმჯდომარე ანა დოლიძე, რომელიც კანონპროექტის განხილვაში მონაწილეობდა, მიიჩნევს, რომ "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" კანონპროექტში დეცენტრალიზაციის ინიციატივა რეალურად არ ჩანს, რადგან კანონპროექტის თანახმად, თვითმმართველობა ხალხს შორდება და გადაწყვეტილების მიღებაში მოსახლეობის როლი იკარგება. "კანონპროექტის თავკაცები კი ირწმუნებიან, რომ მოქალაქეთა მონაწილეობის გზები გაუმჯობესებულია, ეს კი მართალი არ არის. მოქალაქეების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღებაში უკვე კარგადაა მოწესრიგებული ზოგადადმინისტრაციული კოდექსით. როდესაც ერთ მოქალაქეს შეაქვს განცხადება ადმინისტრაციულ ორგანოში, იგი ვალდებულია დაიწყოს საქმის წარმოება და გადაწყვეტილება ერთ თვეში გამოიტანოს. ახალი ინიციატივით ამას 100 ხელმოწერა სჭირდება. დღეს კანონი რომ არ მუშაობს, ამის მიზეზი ხალხისა და ჩვენ მიერ არჩეული პირების უცოდინარობაა," – ამბობს ანა დოლიძე.

მეორე საკითხი, რასაც "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" ხელმძღვანელი კანონპროექტში იწუნებს, უფლებამოსილების გამიჯვნაა. "საკრებულოს თავმჯდომარე და მერი ერთ ადამიანში იქნება თავმოყრილი. საკრებულო ამტკიცებს ბიუჯეტს, მერი აღასრულებს. საინტერესოა, მერმა ანგარიში თავის თავს უნდა ჩააბაროს? და კიდევ ერთი: ადმინისტრაციულმა ორგანომ ერთადერთი მიზანშეწონილობის ფარგლებში შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება. მაგალითად, თუ ანტინარკოტიკულ პროგრამას დააფინანსებენ ახმეტაში, ზედამხედველობა კი ჯანდაცვის სამინისტროს დაევალება, მაშინ სადაა მიზანშეწონილობა? თვითმმართველობის განხორციელების ფარგლები? – კითხვას სვამს ანა დოლიძე და დასძენს, - მწვავე საუბარი მქონდა იმ ავტორებთან, რომლებიც სამთავრობო კომისიის სახელით საუბრობენ და სამწუხაროა, რომ კომისია ამდენ ხანს ფუნქციონირებდა და მაინც ასეთი უხარისხო დოკუმენტი შექმნა."

კანონპროექტს "ადგილობრივი თვითმმართველობის" შესახებ მკვეთრად უარყოფითად აფასებს ფრაქცია "დემოკრატიული ფრონტის" წევრი დავით ბერძენიშვილი, რომელიც მიიჩნევს, რომ კანონპროექტს დადებითი მხარე საერთოდ არ გააჩნია. "იმის ნაცვლად, რომ ქვეყანაში პირველი და მეორე დონის თვითმმართველობა შექმნილიყო, პრაქტიკულად, ისპობა სოფელი, რომელიც მხოლოდ დასახლებულ პუნქტად რჩება. რაიონის საკრებულო ირჩევს აღმასრულებელ ხელისუფალს, პარალელურად არ იქმნება რეგიონული წარმომადგენლობითი ორგანო. პრაქტიკულად, ესაა ცენტრალიზაციისკენ გადადგმული ნაბიჯი - ისეთივე მოდელია, როგორიც თბილისში. ოპოზიციას გვეუბნებიან: თქვენ ხართ ძალიან განსხვავებულები და ვერ გაერთიანდებით. როცა ალტერნატივის წინაშე გვაყენებენ – ან ყველაფერი, ან არაფერი - ჩვენ ავირჩევთ ყველაფერს. სხვადასხვა ოპოზიციური ტიპის ჯგუფები გამოვალთ ერთად, რის შემდეგაც ხელისუფლებას კიდევ უფრო მეტი პრობლემა შეექმნება. თუმცა, ეს კარგი როდია, ეს ქვეყანაში პოლიტიკური პლურალიზმის ჩამოყალიბებას ხელს არ უწყობს," – ამბობს დავით ბერძენიშვილი.

როგორც მისგან შევიტყვეთ, ოპოზიციას უმრავლესობის მიერ მოთხოვნილი კანონპროექტის ალტერნატიული ვარიანტი ხელთ აქვს. "ოპოზიცია დაეყრდნობა არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიციის მიერ მომზადებულ პაკეტს, სადაც პირველი და მეორე დონის თვითმმართველობაცაა ჩადებული და არჩევის წესშიც არის განსხვავება. თუმცა არ ველოდები, რომ ხელისუფლება საკუთარ დრაკონულ მიდგომებზე იტყვის უარს," – აცხადებს "რესპუბლიკური პარტიის" ერთ-ერთი ლიდერი.

# „როგორ ვამუშაოთ დემოკრატია" - ქართველებისთვის

პირველი გვერდიდან

ეს შემოკლებული ვერსია ავტორმა იმ ადამიანებისთვის გააკეთა, ვისაც ვრცელი წიგნების კითხვა ეზარება. "ეს წიგნი ჩვენი ქვეყნისთვის უაღრესად აქტუალურია. საქართველოს კონსტიტუცია უკვე 10 წლისაა, მაგრამ ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხი კვლავ მოუგვარებელია. ჩვენი ხელისუფლება ახლა იწყებს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული და ადგილობრივი თვითმმართველობის კანონმდებლობის დახვეწას. ვფიქრობ, რომ რობერტ პატნემის წიგნი მას ბევრ რამეს ასწავლის," – განაცხადა ჭიაბერაშვილმა პრეზენტაციაზე.

სხვათა შორის, ქალაქის ტერიტორიული მოწყობისა და მართვის საკითხში თბილისის ყოფილი მერის ხედვას აღნიშნული წიგნის გავლენა აშკარად ემჩნეოდა (ჭიაბერაშვილმა რობერტ პატნემის წიგნის თარგმნა მერობამდე დაიწყო). "ქალაქში თვითმმართველობის ორი დონე უნდა იყოს - მუნიციპალიტეტები და ქალაქის საკრებულო. პირველ დონეზე პარტიული არჩევნები ჩემთვის მიუღებელია. უბანმა მისთვის მისაღები ადამიანები უნდა აირჩიოს. რაც შეეხება მეორე დონეს. ყოველი მუნიციპალიტეტიდან შესაძლოა აირჩეს თითო მაჟორიტარი დეპუტატი საკრებულოში, ანდა შესაძლებელია განვსაზღვროთ ხუთ-ხუთი მუნიციპალიტეტი და ეს იყოს პროპორციული ოლქი, სადაც ჩატარდება არჩევნები საკრებულოში," – მიაჩნდა თბილისის ყოფილ მერს.



კახა ლომაია და ზურაბ ჭიაბერაშვილი წიგნის პრეზენტაციაზე.

თვალსაზრისი

# ეკონომიკური ინდიკატორები ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების პრევენციაში

პირველი გვერდიდან

ბუნებრივია, ასეთი დაბალი საგადასახადო განაკვეთები უკონტროლო ტერიტორიების გავლით დანარჩენ საქართველოში პროდუქციის კონტრაბანდულად შეტანას ასტიმულირებს.

საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსით (ძალაშია 2005 წლის 1 იანვრიდან) აქციზის განაკვეთები სწორედ კონტრაბანდისთვის ყველაზე "ხელსაყრელ" საქონელზე იზრდება (იხ. ცხრილი). ეს კი იმის საშიშროებას შეიცავს, რომ მათი კონტრაბანდული, "შავი" ბრუნვა შეიძლება გაიზარდოს.

| დასახელება (კოდი) | ძველი განაკვეთი იმპორტზე | ახალი განაკვეთი იმპორტზე |
| --- | --- | --- |
| სიგარეტი | -ფილტრიანი 20ც 0,40ლ<br>-უფილტრო 20ც 0,20ლ<br>ადგილობრივი<br>-ფილტრიანი 20ც 0,20ლ<br>-უფილტრო 20ც 0,07ლ | -ფილტრიანი 20ც 0,80ლ<br>-უფილტრო 20ც 0,25ლ<br>ადგილობრივი<br>-ფილტრიანი 20ც 0,70ლ<br>-უფილტრო 20ც 0,20ლ |
| ბენზინი (2710 00 110...) | 1 ტონა 200 ლარი | 1 ტონა 250 ლარი |
| ნავთი (2710 00 410...) | 1 ტონა 200 ლარი | 1 ტონა 220 ლარი |
| დიზელი (2710 00 610...) | 1 ტონა 100 ლარი | 1 ტონა 150 ლარი |

დღევანდელ პირობებში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, კონტრაბანდის მაქსიმალურად აღკვეთისათვის აუცილებელია ეკონომიკური მეთოდების გამოყენება. ერთ-ერთ ასეთ უმთავრეს ღონისძიებად მიგვაჩნია ნავთობპროდუქტების იმპორტზე აქციზის 50 ლარამდე შემცირება (ყველა სახის ნავთობპროდუქტზე) და შიდა საცალო ბაზარზე დასაბეგრი ტარიფების შესაბამისად გაზრდა მავნე ნივთიერებებით გარემოზე ზემოქმედების გადასახადის საშუალებით, როგორც ეს უმრავლეს ცივილიზებულ ქვეყანაშია მიღებული. ანალოგიურად, თამბაქოს ნაწარმზე აღდგეს ჯანმრთელობისადმი მავნე ნივთიერებებით ზემოქმედების გადასახადი. მათი გადახდა საცალო ვაჭრობის ქსელში უნდა მოხდეს, როგორც ეს ადრე ხდებოდა. მით უმეტეს, რომ ამჟამად ამ გადასახადების ადმინისტრირება ქვეყნის შიდა სივრცეში (დროებით დარღვეული ტერიტორიული მთლიანობის პირობებში) უფრო გაადვილდება, ვინაიდან უკვე ფუნქციონირებს აქციზური საქონლის მონიტორინგის სამსახური.

ამ ღონისძიების გატარებით, ფაქტობრივად, აზრს დაკარგავს და შეწყდება კონტრაბანდული საწვავის და სიგარეტის შემოტანა, ვინაიდან კონტრაბანდისტის მიერ გაწეული რისკი არაეკვივალენტური იქნება ეკონომიკური ინტერესისა. ასევე ეს, გარკვეულწილად, ხელს შეუწყობს კორუფციის ზოგიერთი ფორმის აღმოფხვრას და, რაც მთავარია, საბიუჯეტო შემოსავლების მნიშვნელოვნად ზრდას.

შემცირებული გადასახადის შემოღების შემთხვევაში 2004 წელს, თუ საბაზისოდ ავიღებთ 1998 წლის აღრიცხულ რაოდენობას, სამი ძირითადი სახეობის ნავთობპროდუქტზე საბაჟო შემოსავლების სახით სახელმწიფო, სავარაუდოდ, მიიღებდა 165 მლნ. აშშ დოლარს, ანუ 44 პროცენტით მეტს, ვიდრე ფაქტობრივად მიიღო 2004 წელს. ერთი ლიტრი იმპორტული საწვავის ფასი კი 25 პროცენტით შემცირდებოდა.

საგადასახადო განაკვეთების შემცირება აუცილებელია დღეისათვის ჩვენს ქვეყანაში შექმნილი არაორდინალური მდგომარეობის გათვალისწინებით. კერძოდ, სახელმწიფო სასაზღვრო და საბაჟო უწყებები ვერ აკონტროლებენ ქვეყნის საზღვრის საკმაოდ დიდი სიგრძის მონაკვეთებს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ტერიტორიებზე. მწირი ფინანსური შესაძლებლობების გამო სუსტია კონტროლი რუსეთთან, აზერბაიჯანთან და სომხეთთან არსებულ სასაზღვრო ზონებში, რის გამოც უამრავი კონტრაბანდული საწვავი შემოდის დაუცველი გზების საშუალებით.

საბაჟოზე გადასახადების შემცირების შესახებ ზემოაღნიშნული წინადადებების დასაბუთებისათვის განვიხილოთ 2000 წლის მაისის თვიდან საბაჟო ღირებულების 80-პროცენტიანი აქციზის ნაცვლად ერთ ტონა იმპორტირებულ ნავთობპროდუქტებზე 200-ლარიანი ფიქსირებული აქციზის (რაც ჯამში შეადგენს გადასახადის 74-პროცენტიან განაკვეთს), ხოლო 2001 წლის 1 აპრილიდან დიზელზე 100-ლარიანი აქციზის (რაც ჯამში შეადგენს გადასახადის 48-პროცენტიან განაკვეთს) დაწესების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების შემდგომ პერიოდში შექმნილი მდგომარეობის, იმპორტის ლეგალიზაციისა და საბაჟო შემოსავლების ზრდის თვალსაზრისით დამკვიდრებული ტენდენციები.

2000 წლის მეორე ნახევარში, პირველ ნახევართან შედარებით, საბაჟო დეპარტამენტის მიერ აღრიცხული იმპორტირებული საავტომობილო ბენზინის რაოდენობა 59000 ტონიდან გაიზარდა 123700 ტონამდე, ანუ 109,7 პროცენტით, საბაჟო შემოსავლების კი 23504,5 ათასი ლარიდან - 42200,5 ათას ლარამდე, ანუ 79,5 პროცენტით. დიზელის საწვავის მაჩვენებლები აღნიშნულ პერიოდში არ გაუმჯობესებულა და დარჩა იგივე დონეზე როგორც რაოდენობრივად, ასევე საბაჟო შემოსავლების კუთხით.

მდგომარეობა კიდევ უფრო გაუმჯობესდა 2001 წლის იანვარ-სექტემბრის თვეებში, როდესაც დიზელზე აქციზი 100 ლარამდე შემცირდა. საბაჟო დეპარტამენტის მიერ აღრიცხული იმპორტირებული საავტომობილო ბენზინის რაოდენობა 2000 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაიზარდა 54918 ტონით, ანუ 67,8 პროცენტით, ხოლო საბაჟო შემოსავლები - 15924,0 ათასი ლარით, ანუ 73,2 პროცენტით.

2001 წლის ცხრა თვეში იმპორტირებული დიზელის საწვავის რაოდენობა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაიზარდა 8739 ტონით, ანუ 1,2-ჯერ. საბაჟო შემოსავლები გაიზარდა 2811,1 ათასი ლარით, ანუ 63,8 პროცენტით (დიზელზე აქციზის განაკვეთი ტონაზე 200 ლარიდან 2001 წლის 1 აპრილიდან 100 ლარამდე შემცირდა).

ამრიგად, ახალი საგადასახადო კოდექსის მიხედვით გათვალისწინებულია სწორედ იმ აქციზური განაკვეთების გაზრდა, რომლებსაც კონტრაბანდულ იმპორტში მნიშვნელოვანი ხვედრითი წილი უკავია (თამბაქოს ნაწარმი, ნავთობპროდუქტები). ჩვენ შევეცადეთ დაგვესაბუთებინა, რომ ეს განაკვეთები კი არ უნდა გაიზარდოს, არამედ პირიქით, შემცირდეს და შესაბამისი საგადასახადო ტვირთი პროპორციულად დაეკისროს ამ საქონლით საცალო ქსელში მოვაჭრეებს შიდა ეკონომიკურ სივრცეში მავნე ნივთიერებებით გარემოზე ზემოქმედებისა და ჯანმრთელობისადმი მავნე ნივთიერებებით ზემოქმედების გადასახადების სახით. ეს, ერთი მხრივ, გააუმჯობესებს ამ გადასახადების ადმინისტრირებას, მეორე მხრივ კი, მნიშვნელოვან უკანონო შემოსავლებს დააკარგვინებს კონტრაბანდისტებს და მათ სეპარატისტ მფარველებს, რაც, თავის მხრივ, ტერორიზმის დაფინანსებას სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის.

(გაგრძელება იქნება)

მოკლედ

## საქართველოში ლიტვის პრეზიდენტი ჩამოდის

დღეს საქართველოში, ორდღიანი ოფიციალური ვიზიტით, ლიტვის პრეზიდენტი ვალდას ადამკუსი ჩამოდის. ადამკუსი შეხვედება პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს, პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს, პრემიერ-მინისტრს ზურაბ ნოღაიდელს. განსახილველ საკითხთა შორის არის ორმხრივი თანამშრომლობის პერსპექტივები, საუბარი იქნება, აგრეთვე, იმ დახმარებაზე, რომელსაც ლიტვა საქართველოს ევროსტრუქტურებთან ინტეგრაციის მიზნით გაუწევს. ჯი-ეიჩ-ენი

## რუსი სამშვიდობოების ვერსია დანიელ წურწუმიას დაღუპვასთან დაკავშირებით

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში განლაგებული, დსთ-ს კოლექტიური სამშვიდობო ძალების ხელმძღვანელობამ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საპასუხოდ განცხადება გაავრცელა, რომელიც გალის რაიონის მცხოვრების დანიელ წურწუმიას მკვლელობას ეხება. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობით, 2 ნოემბერს დანიელ წურწუმია აფხაზებმა სოხუმში ძალით გადაიყვანეს და მისგან ე.წ. შეიარაღებულ ძალებში ფიცის მიღება მოითხოვეს. უარის შემდეგ აფხაზებმა წურწუმიას სასტიკად სცემეს, რასაც მისი დაღუპვა მოჰყვა. საგარეო საქმეთა სამინისტრო ამ ინციდენტს დსთ-ს სამშვიდობო ძალების უმოქმედობას აბრალებს.

თავად სამშვიდობო ძალების ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ ეს ინციდენტი დეტალურად გამოიძია და დაადგინა, რომ აფხაზეთის ჯარში გაწვევის შესახებ კანონით, დანიელ წურწუმია, რომელიც 39 წლის იყო, შეიარაღებულ ძალებში გაწვევას არ ექვემდებარებოდა. "გარდა ამისა, აღნიშნული ინციდენტი 2 ნოემბერს მოხდა. აფხაზეთის თავდაცვის მინისტრის ბრძანებით კი, სამხედრო გაწვევა 4 ნოემბრიდან დაიწყო. აფხაზეთის თავდაცვის სამინისტრომ მართლაც მიიღო გადაწყვეტილება სამხედრო სამსახურში გალის მოსახლეობის, მათ შორის, ეთნიკური ქართველების გაწვევის შესახებ, მაგრამ ჯარში მხოლოდ მოხალისეები იმსახურებენ. ამჟამად აფხაზეთის ჯარში 100-ზე მეტი სხვადასხვა ეროვნების მოსამსახურეა, მათ შორის - 50 ქართველი," - ნათქვამია სამშვიდობო ძალების განცხადებაში. რუსი სამშვიდობოები მიიჩნევენ, რომ მანდატით დაკისრებულ მოვალეობას სრულყოფილად ასრულებენ და რომ მათ ამოცანებში პოლიციური ფუნქციები არ შედის. აქ რუსი სამშვიდობოები გულისხმობენ აფხაზი სეპარატისტების შინაგან საქმეთა მინისტრის ოთარ ხეციას განცხადებას, რომ წურწუმიას საქმე ტერორისტული აქტის განხორციელების დროს ეჭვმიტანილის მიერ სამართალდამცავებისთვის წინააღმდეგობის გაწევას ეხება. მედიანიუსი

## ზურაბ სამუშია აფხაზეთში პარტიზანული მოძრაობის განახლებას აპირებს

საქართველოს ხელისუფლების მოთხოვნით, ერთი წლის წინ დაშლილი "თეთრი ლეგიონის" ლიდერი ზურაბ სამუშია აფხაზეთში პარტიზანული მოძრაობის განახლებას აპირებს. ამის შესახებ სამუშიამ ინტერნეტგამოცემა gazeta.ru-სთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა. მისი თქმით, ამ მიზნით ის უახლოეს დღეებში თავს მოუყრის თავის ყოფილ თანამებრძოლებს. "ბოლო დროს განვითარებულ მოვლენათა ანალიზი აფხაზეთში პარტიზანული მოძრაობის დაწყების საფუძველს იძლევა," - აღნიშნა მან.

სამუშიას განცხადებით, გალის რაიონის ქართული მოსახლეობა აბსოლუტურად დაუცველია და მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რეალურად, მხოლოდ პარტიზანებს შეუძლიათ. პრაიმ-ნიუსი

## რუსეთის პრეზიდენტმა საქართველოს ელჩთან ორ ქვეყანას შორის კეთილმეზობლურ ურთიერთობებზე ისაუბრა

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა ახალი ელჩების რწმუნებათა სიგელების გადაცემის ღონისძიებაზე საქართველოსა და რუსეთს შორის კეთილმეზობლურ ურთიერთობებზე გაამახვილა ყურადღება. საქართველოს ელჩმა რუსეთის ფედერაციაში ირაკლი ჩუბინიშვილმა სხვა ათი სახელმწიფოს ელჩებთან ერთად ვლადიმირ პუტინს სამშაბათს კრემლში რწმუნებათა სიგელები გადასცა.

ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას პუტინმა აღნიშნა, რომ რუსეთი საქართველოსთან კეთილმეზობლური ურთიერთობით და ქვეყნის შიგნით არსებული კონფლიქტების მოგვარებითაა დაინტერესებული. "რუსეთი ყოველთვის მზადაა, ითანამშრომლოს საქართველოსთან მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებისათვის," - თქვა პუტინმა. პრაიმ-ნიუსი

## 10 უმსხვილესი ბანკის სუფთა მოგებამ ერთად 45 573 000 ლარი შეადგინა

საქართველოს კომერციული ბანკების კაპიტალის მოცულობის მიხედვით 10 უმსხვილესი ბანკის სუფთა მოგების ერთობლივმა მოცულობამ 9 თვეში 45 573 000 ლარი შეადგინა. დღეისათვის საქართველოში 19 კომერციული ბანკი ფუნქციონირებს, აქედან 2 - უცხოური ბანკის ფილიალია. საქართველოს ეროვნული ბანკის ინფორმაციით, კომერციული ბანკების რეიტინგი, მათი მიმდინარე სუფთა მოგების მოცულობის მიხედვით, ასეთია: ბანკი "თი ბი სი" - 15 187 000 ლარი, "ბანკი საქართველო" - 8 840 000 ლარი, ბანკი "ქართუ" - 8 563 000 ლარი, "ბანკი რესპუბლიკა" 5 457 000 ლარი, "სახალხო ბანკი" - 3 484 000 ლარი, "ბაზისბანკი" - 2 063 000 ლარი, "გაერთიანებული ქართული ბანკი" - 1 645 000 ლარი, "პროკრედიტბანკი" - 1120 000 ლარი, "პირველი კომერციული ბანკი" - 690 000 ლარი, "ინტელექტბანკი" 524 000 ლარი. ეროვნული ბანკის ინფორმაციით, 10 უმსხვილესი ბანკის სუფთა მოგების მაჩვენებელმა, ბანკების მოგების მოცულობის მიხედვით, საქართველოს მთელი საბანკო სექტორის 9 თვის სუფთა მოგების ერთობლივი მოცულობის - 48 მლნ 912 ათასი ლარის - 98,3 პროცენტი შეადგინა. მედიანიუსი

## ერაყი და იორდანია უსაფრთხოების პრინციპებზე თანხმდება

ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე, ერაყსა და იორდანიას შორის "უსაფრთხოების სფეროში ძირითად პრინციპებზე" შეთანხმება ძალაში 8 ნოემბრიდან შევიდა.

იორდანიის შინაგან საქმეთა მინისტრის უნი იურფასის განცხადებით, შეთანხმებას ხელი მხარეებმა ჯერ კიდევ ოქტომბრის დასაწყისში მოაწერეს. აღნიშნული შეთანხმება ტერორიზმთან, ორგანიზებულ დანაშაულსა და არალეგალურ მიგრაციასთან ბრძოლის კომიტეტის შექმნას ითვალისწინებს. ეფექტური მუშაობისათვის კი, როგორც მინისტრმა აღნიშნა, ოფიციალურ ბაღდადსა და ამანს შორის ინფორმაციის დროული გაცვლაა საჭირო.

უნი იურფასის ერაყელი კოლეგის თქმით კი, ასეთი ტიპის შეთანხმება არაბულ სახელმწიფოსთან პირველი შემთხვევაა.

**"იმედს ვიტოვებ, რომ მალე ანალოგიურ შეთანხმებებს სხვა არაბულ თუ ზოგადად ისლამურ სახელმწიფოებთანაც გავაფორმებთ. ტერორიზმი ჩვენს ქვეყანაში მსოფლიოსთვის უკვე რეალურ საფრთხედ იქცა და ორგანიზებულ დანაშაულთან ერთად ნარკოტიკებისა და იარაღის გავრცელების ხელშემწყობია,"** - განაცხადა ერაყის შინაგან საქმეთა მინისტრმა ბაიან ჯაბერმა.

## ექვსმხრივი მოლაპარაკებების მეხუთე რაუნდი

პეკინში ჩრდილოეთ კორეის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით მოლაპარაკებები კიდევ ერთხელ განახლდა. ამჯერად ოფიციალური ფხენიანი პირობას დებს, რომ მაქსიმალურად შეეცდება, მოლაპარაკებაში ჩართულ მხარეებთან კონსენსუსს მიაღწიოს. მოლაპარაკებებში კვლავინდებურად ჩინეთი, ჩრდილოეთ კორეა, აშშ, რუსეთი, იაპონია და სამხრეთი კორეა მონაწილეობს.

ჩრდილოეთ კორეის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის კიმ ლე გვანის განცხადებით, ოპტიმიზმის საფუძველს სექტემბრის მოლაპარაკებების შედეგად გაკეთებული ერთობლივი განცხადება იძლევა, თანაც ამას ოფიციალური ფხენიანის მხრიდან თუ "გულწრფელი ძალისხმევაც" დაემატება, პრობლემის მოგვარებისკენ გზებიც უნდა გამოინახოს. თუ რას გულისხმობდა კონკრეტულად ოფიციალური ფხენიანის წარმომადგენელი, დღეს გაირკვევა.

"მართალია, ახლა ჩვენგან შუქურა ძალიან შორს მოჩანს, მაგრამ ასეთი რამ ხდება ხოლმე, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მეზღვაურს მის დანახვაში ნისლი უშლის ხელს. თან იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ აშშ-ს ზოგიერთი ქმედება კიდევ უფრო დაბურულს ხდის ამ ნისლს, შეუძლებელია მიხვდე, თუ საით მიგყავს ხომალდი," - ასე ხატოვნად შეაფასა სააგენტო "სინჰუა"-სთან ინტერვიუში კორეელმა დიპლომატმა ბირთვული პრობლემის გადაწყვეტის პერიპეტიები.

ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამა საერთაშორისო საზოგადოებას თავსატეხად კი 2003 წელს ექცა, როდესაც ოფიციალურმა ფხენიანმა აღნიშნულ პროგრამაზე მუშაობა განაახლა. მიმდინარე წლის დასაწყისში კი ჩრდილოეთ კორეამ ოფიციალურად განაცხადა ბირთვული იარაღის შექმნის საჭიროების შესახებ. ამ ტიპის იარაღი ჩვენ ამერიკელთა მხრიდან მომავალი საფრთხისაგან თავის დასაცავად გვჭირდება, - აღნიშნეს ჩრდილოეთ კორეის ოფიციალურმა პირებმა. **რია-ნოვოსტი**

## აშშ აზერბაიჯანს მასობრივ დემონსტრაციებს არ ურჩევს

აზერბაიჯანის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ოპოზიციურმა ძალებმა მოსახლეობას პროტესტის გამოხატვის მიზნით მასობრივი დემონსტრაციებისკენ მოუწოდეს. თუმცა, აზერბაიჯანელ ხალხს ქუჩაში გამოსვლას არ ურჩევს ამერიკის შეერთებული შტატები. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა აზერბაიჯანის მოქალაქეებს მოუწოდა, 6 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების დროს დაფიქსირებული დარღვევების გაპროტესტებისას, ძალადობისგან თავი შეიკავონ და საჩივრები "იურიდიული და მშვიდობიანი არხებით" განიხილონ.

თავის მხრივ კი, აზერბაიჯანის მთავრობას აშშ მოუწოდებს, "უზრუნველყოს მშვიდობიანი შეკრებების უფლება" და პროტესტებზე თავშეკავებული რეაგირება მოახდინოს. სახელმწიფო დეპარტამენტი აღნიშნავს, რომ წინა არჩევნებთან შედარებით, 6 ნოემბერს ჩატარებულ არჩევნებში "ზოგიერთ სფეროში" გაუმჯობესება შეინიშნებოდა, თუმცა, ამასთან ერთად, იყო ნაკლოვანებები, რომლებიც "აზერბაიჯანის მთავრობამ უნდა გამოასწოროს".

აშშ იზიარებს დამკვირვებელთა მისიის წინასწარ შეფასებას იმის თაობაზე, რომ "გაუმჯობესების მიუხედავად, არჩევნები საერთაშორისო სტანდარტებს ბოლომდე არ პასუხობდა".

ამავე დროს, სახელმწიფო დეპარტამენტი გამოთქვამს შეშფოთებას აზერბაიჯანის ცალკეული ოლქებიდან მიღებულ სარწმუნო ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც, კენჭისყრის დროს ადგილი ჰქონდა სერიოზულ დარღვევებს და მაქინაციებს, რამაც არჩევნების შედეგებზე გავლენა იქონია.

*ინტერპრესნიუსი*

# საგანგებო სიტუაცია საფრანგეთში

პირველი გვერდიდან

თორმეტდღიანი ქაოსის შემდეგ საფრანგეთის მუნიციპალიტეტებს კომენდანტის საათის შემოღების ნება დართეს. სამშაბათს საფრანგეთის მთავრობის საგანგებო სხდომაზე, რომელსაც თავად პრეზიდენტი ჟაკ შირაკი თავმჯდომარეობდა, მიიღეს დეკრეტი საგანგებო მდგომარეობის შესახებ კანონის ამოქმედების თაობაზე. 50 წლის წინ მიღებული კანონი საშუალებას მისცემს ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს, შინაგან საქმეთა მინისტრთან შეთანხმების საფუძველზე კომენდანტის საათი დააწესონ.

ჟაკ შირაკის თქმით, კომენდანტის საათის შემოღება "აუცილებელია, რათა დაჩქარდეს წესრიგის აღდგენის პროცესი".

აღსანიშნავია, რომ საგანგებო მდგომარეობის შესახებ კანონის თანახმად, სამართალდამცავ ორგანოებს წესრიგის აღდგენის ღონისძიებების გასატარებლად დამატებითი უფლებები მიენიჭებათ.

საგანგებო მდგომარეობის შესახებ კანონი წუხელ შუაღამისას შევიდა ძალაში.

"ესოშიეიტედ პრესის" ცნობით, სამშაბათ დილის მდგომარეობით, უწესრიგობებმა საფრანგეთის დაახლოებით 300 ქალაქი მოიცვა. ოფიციალური მონაცემებით, არეულობების მონაწილეებმა სამშაბათს ღამეს ტულუზაში, ლილში და სტრასბურგში ასეულობით ავტომანქანა დაწვეს.

საფრანგეთის დედაქალაქის გარეუბანში - ვიტრი-სიურსენში ხულიგნებმა ადგილობრივი საავადმყოფოს შენობას ცეცხლგამჩენი ბომბები ესროლეს.

პოლიციამ უწესრიგობებისას 143 მონაწილე დააპატიმრა, დაჭრილია სამართალდამცველი ორგანოების ოთხი თანამშრომელი.

საფრანგეთში უწესრიგობების ტალღა 27 ოქტომბერს მას შემდეგ აგორდა, რაც ორ არაბ მოზარდს, რომლებიც პოლიციას მაღალი ძაბვის ტრანსფორმატორში ემალებოდნენ, დენმა დაარტყა. პარიზის შემოგარენში დაწყებული მღელვარება არა მარტო საფრანგეთის სხვა ქალაქებს, არამედ ევროპის ზოგიერთ ქვეყანასაც გადაედო. კერძოდ, ავტომანქანების დაწვის შემთხვევები დაფიქსირდა ბელგიასა და გერმანიაში.



პარიზის მახლობლად მდებარე ქალაქ რენსის მერი კანონის ძალაში შესვლას არ დაელოდა და საგანგებო მდგომარეობა სამშაბათს დილითვე გამოაცხადა. მისი თქმით, ამ ზომას იმისთვის მიმართა, რომ თავიდან აეცილებინა ტრაგედია.

საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა დომინიკ დე ვილპენმა ორშაბათ საღამოს განაცხადა, რომ ქვეყნის იმ რაიონებში, სადაც უწესრიგობები გრძელდება, ხელისუფლება პოლიციელთა დამატებით ძალებს შეიყვანს. ამ მიზნით მობილიზებული იქნება 1500 რეზერვისტი. თუმცა, საეჭვოა, ამან სიტუაცია დიდად შეცვალოს. დღემდე პოლიციის ქმედებებს წარმატებულს ნამდვილად ვერ დაარქმევდი. აშკარაა, საფრანგეთის მთავრობის წევრები გადამჭრელი ზომების მიღებას გაურბიან. ყოველ შემთხვევაში, მათი განცხადებების "სიხისტე" არანაირად მჟღავნდება გადამჭრელ ღონისძიებებში. მაგალითად, საფრანგეთის მთავრობა კატეგორიულ უარს აცხადებს, არეულობების აღსაკვეთად ჯარი გამოიყენოს, მიუხედავად იმისა, რომ ფრანგ პოლიციელთა პროფკავშირები ხელისუფლებას უწესრიგობებით მოცულ რაიონებში არმიის ქვედანაყოფების გამოყვანისკენ უკვე რამდენიმე დღეა, მოუწოდებს.



შესაძლოა, შექმნილი მდგომარეობა იმითაც იყოს გამოწვეული, რომ ამჟამინდელი პრემიერ-მინისტრი დომინიკ დე ვილპენი, ისევე როგორც მოქმედი შინაგან საქმეთა მინისტრი ნიკოლა სარკოზი (ანუ მთავარი გადაწყვეტილების მიმღები პოლიტიკოსები), 2007 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღებას აპირებენ. მკაცრი ნაბიჯების გადადგმა (რომელიც შესაძლოა, ვინმეს სასტიკადაც მოეჩვენოს) კი სულაც არ წაადგება მათ იმიჯს. არეულობებში მონაწილე იმიგრანტების წინააღმდეგ ნათქვამი ერთი მკაცრი ფრაზა - "ქუჩები ნაგვისგან უნდა გავწმინდოთ," – ნიკოლა სარკოზის უკვე ძვირად დაუჯდა. იგი ლამის რასიზმში დაადანაშაულეს.

ასე რომ, სიტუაციის ნორმალიზებაზე პასუხისმგებლობა ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს ეკისრებათ. სხვათა შორის, საკუთარი მთავრობის უუნარობის შემყურე ფრანგებმაც დაიწყეს "სახალხო რაზმების" ჩამოყალიბება, რათა როგორმე დაიცვან საკუთარი ოჯახები ხულიგნებისგან.

საფრანგეთში შექმნილი დღევანდელი ვითარება კი გარეგნულად სულ უფრო ემსგავსება 1968 წლის სიტუაციას. შეგახსენებთ, მაშინ სტუდენტურმა გამოსვლებმა, რომელსაც მასობრივი არეულობები და პოლიციასთან შეტაკებები ახლდა თან, შარლ დე გოლის ხელისუფლება შეიწირა.

*24 საათი*

# არშემდგარი ტერაქტი ავსტრალიაში

*ავსტრალიაში გუშინ დილით ჩატარებული სპეციალური რეიდის შედეგად ქვეყნის სამართალდამცავებმა და ფედერალური სამსახურის თანამშრომლებმა მზადების ბოლო სტადიაში მყოფი ტერაქტის ლიკვიდაცია შეძლეს. პოლიციის თანამშრომელთა თქმით, მსგავსი მასშტაბების ანტიტერორისტული ოპერაცია ავსტრალიის ტერიტორიაზე არასდროს ჩატარებულა. რეიდის შედეგად, დაკავებულია ტერორიზმში ეჭვმიტანილი 17 ადამიანი, ამოღებულია დიდი რაოდენობით ცეცხლსასროლი იარაღი და ქიმიკატები. საგულისხმოა, რომ ოპერაციას ორიოდე დღით ადრე წინ უძღოდა ავსტრალიის ხელისუფლების მიერ ანტიტერორისტულ კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანა და ტერორიზმთან ბრძოლის საკითხებში სამართალდამცავთათვის ფართო უფლებების მინიჭება.*

ნანა ნასყიდაშვილი

სამშაბათს დილით ავსტრალიის ორ უდიდეს ქალაქში, სიდნეისა და მელბურნში ფართომასშტაბიანი ანტიტერორისტული ოპერაცია ჩატარდა. სამართალდამცველთა თქმით, აღნიშნული რეიდი წარმატებით განხორციელდა და მომზადების ბოლო სტადიაზე მყოფი ტერორისტული აქტი აღკვეთა. გუშინ ჩატარებული ოპერაციის შედეგად, დაკავებულია ჩვიდმეტი ადამიანი, მათ შორის ცნობილი ისლამისტი, ტერორისტ უსამა ბინ ლადენის პოლიტიკის მიმართ სიმპათიით განწყობილი, წარმოშობით ალჟირელი აბუ ბაკრი (რეიდის მიმდინარეობისას ერთ-ერთი ეჭვმიტანილი დაიჭრა). ქვეყნის ფედერალური პოლიციის უფროსის თქმით, დაკავებულებს ტერორიზმთან კავშირის მოტივით ბრალდება უკვე წაუყენეს. ავსტრალიის სამართალდამცველთა და ფედერალური პოლიციის თანამშრომელთა მიერ ერთობლივად ჩატარებული რეიდის შედეგად, ამოღებულია დიდი რაოდენობით იარაღი და ქიმიკატები.

საგულისხმოა, რომ მსგავსი მასშტაბის ანტიტერორისტული ოპერაცია ავსტრალიაში, რომელიც თავს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში აშშ-ს ერთ-ერთ მთავარ მოკავშირედ თვლის, აქამდე არასდროს განხორციელებულა. ავსტრალიის შტატ ახალი ჩრდილოეთ უელსის პოლიციის უფროსის კენ მორონის თქმით, ტერორისტთა გამოსავლენად სიდნეიში ჩატარებულ ოპერაციაში 500-მდე სამართალდამცველი მონაწილეობდა. ქვეყნის ფედერალური სამსახური და პოლიცია აღნიშნული რეიდისთვის 16 თვის განმავლობაში ემზადებოდა. **"მსგავსი ანტიტერორისტული ოპერაცია ავსტრალიის ისტორიაში არასდროს ჩატარებულა და მის მომზადებას დიდი დრო დასჭირდა,"** – აღნიშნა შტატ ვიქტორიას პოლიციის სამმართველოს უფროსმა კრისტინა ნიქსონმა. გაჩნდა მოსაზრება, რომ ტერორისტთა სამიზნედ, შესაძლოა, "ბრიტანეთის თანამეგობრობის თამაშები" გამხდარიყო, რომელთა ჩატარებაც ავსტრალიაში 2006 წელსაა დაგეგმილი. გავრცელებულ ინფორმაციას ნიქსონი უარყოფს და რაიმე დამატებითი განმარტებებისგან ჯერჯერობით თავს იკავებს.

ნიშანდობლივია, რომ სამშაბათს დილით განხორციელებულ ანტიტერორისტულ ოპერაციას ორიოდე დღით ადრე წინ უსწრებდა ავსტრალიის ხელისუფლების მიერ ანტიტერორისტულ კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანა და ტერორიზმთან ბრძოლის საკითხებში სამართალდამცავთათვის ფართო უფლებების მინიჭება. ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ჯონ ჰოვარდი აღნიშნულ სიახლეს დადებითად შეხვდა, თუმცა, ოპოზიციური პარტიები პრემიერ-მინისტრს ვითარების გაზვიადებაში სდებენ ბრალს. შესაძლოა, ეს იმითაა განპირობებული, რომ დღემდე ავსტრალიის ტერიტორიაზე არც ერთი ტერაქტი არ განხორციელებულა, თუმცა, ტერორიზმის მსხვერპლად ავსტრალიელები არაერთხელ ქცეულან. ინდონეზიის კუნძულ ბალიზე მომხდარი ტერაქტის შედეგად, ავსტრალიის 88 მოქალაქე დაიღუპა, ხოლო 2004 წელს ამავე ქვეყანაში ექსტრემისტებმა ავსტრალიის საელჩოზე თავდასხმა განახორციელეს.

## სემინარი ჟურნალისტებისთვის "ადგილობრივი დემოკრატია საქართველოში"

საერთაშორისო ასოციაცია "კივიტას გეორგიკა" იწვევს დაინტერესებულ ჟურნალისტებს სემინარზე "ადგილობრივი დემოკრატია საქართველოში." სემინარის მიზანია, გააცნოს მასმედიის წარმომადგენლებს ახლანდელი სიტუაცია თვითმმართველობის სფეროში, განიხილოს მიმდინარე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული რეფორმა. სემინარს გაუძღვებიან "კივიტას გეორგიკას" ექსპერტები. სემინარის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობების ასოციაციის წარმომადგენლები, მერები, საკრებულოს წევრები.

მონაწილეობა უფასოა. ფინანსურ მხარდაჭერას ახორციელებს ეუთოს მისია საქართველოში.

სემინარი ჩატარდება ამა წლის 16-17 ნოემბერს, "კივიტას გეორგიკას" ოფისში, წინამღვრიშვილის ქ. 97 მე-2 სართული.

**მონაწილეობის მსურველებს გთხოვთ, დაუკავშირდეთ ქ-ნ ეკა გიორგაძეს ტელეფონის ნომრებზე 951991 ან 911948, ამა წლის 14 ნოემბრამდე.**

## კ ო ნ კ უ რ ს ი

საერთაშორისო ასოციაცია "კივიტას გეორგიკა" ეუთოს საქართველოს მისიის ფინანსური მხარდაჭერით აცხადებს კონკურსს, რომლის მიზანია საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევრის გამოვლენა თვითმმართველობის აქტუალურ საკითხებზე.

**- პირველი პრიზი 1000 ლარი,**
**- მეორე პრიზი 600 - 600 ლარი**
**- მესამე პრიზი 400 - 400 ლარი.**

კონკურსის პირობები:

1. ნამუშევარი უნდა იყოს გამოქვეყნებული ან გასული ეთერში 2005 წლის 1 ნოემბრიდან - 5 დეკემბრამდე.
2. ნამუშევარი უნდა იყოს გამოქვეყნებული ან გასული ეთერში ქართულენოვან ცენტრალურ ან რეგიონალურ მედიაში.
3. კონკურსზე მიიღება როგორც ინდივიდუალური, ასევე ჯგუფური ნამუშევრები.
4. კონკურსის მონაწილეებმა უნდა წარმოადგინონ ნამუშევრები "კივიტას გეორგიკას" ოფისში (წინამძღვრიშვილის ქ. N97 მე-2 სართ.), 2005 წლის 5 დეკემბრის 18:00 სთ-მდე.

კონკურსზე დაიშვება ყველა ფორმატის ნამუშევარი (სტატია ბეჭდვით ან ელექტრონულ მედიაში, ტელე/რადიო სიუჟეტი, ინტერვიუ და ა.შ.) გარდა ფოტოსურათისა. კონკურსის ნამუშევრებს შეაფასებს სპეციალური კომისია. გამარჯვებულთა გამოვლენა მოხდება 2005 წლის 15 დეკემბრამდე.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით ქ-ნ ეკა გიორგაძეს ტელ: 951991 ან 911948.



# გურჯაანში მომხდარი სერიული მკვლელობები გახსნილია

პირველი გვერდიდან

მიმდინარე წლის აპრილის თვეში, კახეთის სამხარეო პოლიციამ სოფელ ჩალაუბანთან სპეცოპერაცია ჩაატარა. სამართალდამცველთა ოპერატიული ინფორმაციით, გოჩა ვარაზაშვილი (იგი კახეთის სამხარეო პოლიციის უფროსის ყოფილი მოადგილის მძღოლი იყო) და აკაკი კორკოტაშვილი, მეტსახელად "ბომბორა", რომელიც შემთხვევის ადგილზე იქნა ლიკვიდირებული, თბილისელი ტაქსის მძღოლის, 33 წლის გური შევარდნაძის დაყაჩაღებასა და მანქანის გატაცებას ცდილობდნენ, ამ მიზნით მათ მძღოლი მოკლეს. კახეთის საოლქო პროკურორი თამაზ ცაბუტაშვილი ამბობს, რომ დაკავებისას გოჩა ვარაზაშვილისთვის ჩამორთმეული იარაღი იმ იარაღის იდენტური იყო, რომლითაც დედაშვილი და ცოლ-ქმარი დახოცეს და სწორედ ამ ფაქტით გაიხსნა ჩადენილი დანაშაულებები. თუმცა, თავდაპირველად გავრცელდა ინფორმაცია, რომ სამხარეო პოლიციის მიერ აპრილში ჩატარებული სპეცოპერაცია წინასწარ დაგეგმილი იყო, გური შევარდნაძე კი - უნებლიე და გაუთვალისწინებელი მსხვერპლი. იმ ფაქტს, რომ სერიულ მკვლელობებში გოჩა ვარაზაშვილის ხელიც ერია, კახეთის სამხარეო პოლიციის უფროსი თეიმურაზ ანჯაფარიძე, ჟურნალისტებთან საუბრისას ადასტურებდა. მისი კომენტარი მას შემდეგ გამყარდა, რაც სამართალდამცველებმა განაცხადეს, რომ გოჩა ვარაზაშვილმა გამოძიებას ჩვენება მისცა და ბანდის ლიდერი დაასახელაო. თუმცა მოგვიანებით ვარაზაშვილმა განაცხადა, რომ მას გამოძიებისთვის ჩვენება არ მიუცია, ვიდეოჩანაწერში კი, რომელიც პროკურატურას მოეპოვება, მართალია იგია გადაღებული, მაგრამ ხმა სხვისია. როგორც ვარაზაშვილი და მისი ადვოკატი აცხადებენ, ჩანაწერი პროკურატურამ დაამონტაჟა. საქმეში დევს ჩანაწერის გაშიფრული ტექსტი და ოქმი, რასაც შენიშვნის სახით მინაწერი აქვს გაკეთებული, რომელსაც ხელს აწერს, როგორც ბრალდებული, ასევე მისი ადვოკატი და აცხადებენ, რომ ჩანაწერი მონტაჟია და მსგავსი შინაარსის ჩვენება ვარაზაშვილს არ მიუცია. გარდა ვიდეოჩანაწერის ოქმისა, ვარაზაშვილის მიერ გამოძიებისთვის ტრადიციული, წერილობითი სახით მიცემული ჩვენება საქმეში არ არსებობს.

არადა, როგორც კახეთის საოლქო პროკურატურის გამომძიებელი დავით ხიზანაიძე ამბობს, გოჩა ვარაზაშვილის დაკავებამ ბურუსით მოცულ საქმეებს ფარდა ახადა. საბრალდებო დასკვნის მიხედვით, ვარაზაშვილის მიერ გამოძიებისთვის მიცემული ჩვენებიდან ირკვევა, რომ გურჯაანში მომხდარ მკვლელობებს კახეთის სამხარეო პოლიციის უფროსის ყოფილი მოადგილე გოჩა ნაზღაიძე ხელმძღვანელობდა. **"მინდა გითხრათ, რომ გოჩა ვარაზაშვილმა თავის ჩვენებაში თანამზრახველები ამხილა. მანვე დეტალურად განმარტა, თუ ვინ სად მოქმედებდა. აღნიშნული ჯგუფის ორგანიზება გოჩა ნაზღაიძემ მოახდინა,"** - ამბობს თამაზ ცაბუტაშვილი. გამოძიების მიერ მოკვლეული მასალებიდან ირკვევა, რომ კრიმინალურმა დაჯგუფებამ 2003 წლის ბოლოს მყარად მოიკიდა ფეხი. ისინი იარაღს იძენდნენ და რესტორნებში, სკვერებში და მანქანებში განსახორციელებელი თავდასხმის გეგმებს აწყობდნენ. პროკურატურის მტკიცებით, დანაშაულში მხილებული პირების - ზურაბ გეთიაშვილის, კობა აბაზაშვილის და გოჩა ვარაზაშვილის პირველი სამიზნე ნიბლაძეების ოჯახი გახდა. ბოროტმოქმედებს ჰქონდათ ინფორმაცია, რომ ოჯახის დიასახლისი ისრაელიდან ახალი ჩამოსული იყო და საკმაოდ დიდი რაოდენობის თანხა ჰქონდა ჩამოტანილი.

**"ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის თანახმად და საქმეში არსებული მტკიცებულებით, ვარაზაშვილს, გეთიაშვილს და აბაზაშვილს ჰქონდათ ინფორმაცია, რომ ქალბატონ ვენერას, რომელიც ისრაელში სამუშაოდ იმყოფებოდა, 100 ათასი დოლარი ჰქონდა ჩამოტანილი. ამის გამო შევიდნენ მათ ბინაში და "მაკაროვის" სისტემის მაყუჩიანი იარაღიდან გასროლით მოკლეს ცოლ-ქმარი - ომარ და ვენერა ნიბლაძეები,"** - "24 საათთან" საუბრისას განაცხადეს ოლქის პროკურორმა და გამომძიებელმა. თუ როგორ შეაღწიეს ნიბლაძეების საცხოვრებელ ბინაში ბოროტმოქმედებმა, დეტალურად უკვე საბრალდებო დასკვნაშია მოთხრობილი: **"ვარაზაშვილი, გეთიაშვილი და აბაზაშვილი ვენერა ნიბლაძეს იმ დროს დაესხნენ თავს, როცა ეზოში იყო გამოსული. იგი საკონტროლო გასროლით მოკლეს, ამის შემდეგ სახლში შევიდნენ და იმ ოთახში, სადაც ოჯახის წევრებს ყოფნა ყოველდღიურად უწევდათ, ვენერა ნიბლაძის მეუღლეს - ომარ ნიბლაძესაც დაესხნენ თავს და ისიც საკონტროლო გასროლით მოკლეს,"** – წერია საბრალდებო დასკვნაში. გამოძიების მასალებიდან ისიც ირკვევა, რომ მკვლელობაში ბრალდებულებმა, კარგა ხნის ძებნის მიუხედავად, ფულს ვერ მიაგნეს.

სამართალდამცველებმა გოჩა ნაზღაიძე ივლისის თვეში თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტების ბრალდებით დააკავეს. ამის ოფიციალურ მიზეზად, რამდენიმე წლის წინ, ახმეტაში ერთ-ერთ ოჯახზე განხორციელებული თავდასხმის დაფარვა სახელდებოდა. მას პროკურატურამ მომხდარ მკვლელობებში ბრალი მიმდინარე წლის ოქტომბრის თვეში წაუყენა.

საგულისხმოა, რომ გოჩა ნაზღაიძის დაკავების სპეცოპერაცია ჯერ კიდევ გასული წლის ზაფხულში იგეგმებოდა. უშიშროების სამსახურის ერთ-ერთი დეპარტამენტი მის დაპატიმრებას ნარკოტიკებისა და იარაღის ჩადების ბრალდებით აპირებდა, მაგრამ სპეცოპერაციის დეტალებმა გაჟონა. გავრცელებული ინფორმაციით, გოჩა ნაზღაიძე ახმეტის პოლიციის უფროსობის დროს ნარკოტიკებით ვაჭრობაში და ადამიანების გატაცებებში იყო შემჩნეული - ახმეტაში და პანკისის ხეობაში ამაზე დღესაც საუბრობენ.

ნაზღაიძე 32 წლის ნინო კალატოზიშვილისა და მისი შვილის, 12 წლის დარინა პაპუნაშვილის მკვლელობაშიცაა ბრალდებული. **"რაც შეეხება ახალგაზრდა ქალის და მისი შვილის მკვლელობას, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, გოჩა ნაზღაიძეს ეჭვი ჰქონდა, რომ ნინოს ქმარმა ნუგზარ პაპუნაშვილმა, თავის დროზე, ნაზღაიძის ძმა მოკლა. მას ეს ამბავი გულში ჰქონდა ჩარჩენილი. ამის გამო, იგი ნასვამ მდგომარეობაში ვარაზაშვილთან ერთად პაპუნაშვილების ბინაში შევიდა,"** – აცხადებს ოლქის პროკურორი.

მკვლელობაში ბრალდებულები - გოჩა ნაზღაიძე, ზურაბ გეთიაშვილი, კობა აბაზაშვილი და გოჩა ვარაზაშვილი დუმილის უფლებას იყენებენ. **"გოჩა ნაზღაიძე და მისი ბანდის წევრები ამ დროისთვის დუმილის უფლებას იყენებენ. მას შემდეგ, რაც ვარაზაშვილმა პირველი ჩვენება მოგვცა, იგი დააშინეს და ახლა ისიც დუმილის უფლებას იყენებს. ჩვენებებს არ იძლევა და გამოძიებასთან არ თანამშრომლობს არც ნაზღაიძე. ჩვენ კი, საკმარისი მტკიცებულებები გვაქვს, რომ საქმე რაიონულ სასამართლოში გადავაგზავნოთ,"** - აცხადებს თამაზ ცაბუტაშვილი და კახეთის სამხარეო პოლიციის უფროსს თეიმურაზ ანჯაფარიძეს და გურჯაანის რაიონულ პროკურორს ლექსო ფერიაშვილს მადლობას უხდის დახმარებისთვის.

მართალია, დანაშაულში ეჭვმიტანილებს ბრალდება უკვე წარედგინათ, მაგრამ თამაზ ცაბუტაშვილი და საქმის გამომძიებელი დავით ხიზანიშვილი არ გამორიცხავენ, რომ ამ ადამიანების მიერ სხვა მძიმე დანაშაულებიც იყოს ჩადენილი.

გოჩა ნაზღაიძეს ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 224-ე, 236-ე და 109-ე მუხლებით წარედგინა. მისთვის წაყენებული მუხლები სასჯელის უმაღლეს ზომას - უვადო პატიმრობას ითვალისწინებს. ანალოგიური ბრალდებები წაუყენეს გოჩა ვარაზაშვილსაც. კობა აბაზაშვილის და ზურაბ გეთიაშვილის მიმართ კი, სისხლის სამართლის საქმე 109-ე მუხლით აღიძრა.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, აღნიშნული ბანდის კიდევ ორი წევრი იძებნება. საქმის სხვა დეტალების გახმაურებისგან გამოძიება თავს იკავებს.

# აფრასიძეების საქმეს ევროსასამართლოსთვის ამზადებენ

*გოჩა და შმაგი აფრასიძეების ადვოკატი მალხაზ ჯანგირაშვილი, დიდი ხანია, ირწმუნება და არაერთი მტკიცებულებაც მოჰყავს, რომ ძმები აფრასიძეები დღემდე უკანონო პატიმრობაში იმყოფებიან.*

თამარ კაციტაძე

როგორც მოგეხსენებათ, ძმები აფრასიძეები მიმდინარე წლის 24 მარტს, მესტიის რაიონ სოფელ ეცერში, სპეცოპერაციის დროს დააკავეს. ოპერაციისას აფრასიძეების მამა ევგენი და ძმა ომეხი გაურკვეველ ვითარებაში დაიღუპნენ.

სამართალდამცველებისათვის წინააღმდეგობის გაწევაში, განზრახ მკვლელობის მცდელობასა და იარაღის უკანონო შეძენა-შენახვაში დადანაშაულებული განსასჯელების გოჩა და შმაგი აფრასიძეების ადვოკატებმა გუშინ საგანგებო პრესკონფერენცია გამართეს. დაცვის მხარე ჟურნალისტებთან შეხვედრის აუცილებლობას იმ უსამართლობით ხსნის, რაც აფრასიძეების მიმართ თავის დროზე წინასწარი გამოძიების დროს დაიწყო და მართლმსაჯულებაშიც გრძელდება.

მართალია, გუშინდელ შეხვედრაზე მალხაზ ჯანგირაშვილმა კიდევ ერთხელ დაასახელა ის კანონდარღვევები, რაც აფრასიძეების საქმეში მრავლად მოიპოვება, მაგრამ ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ამჯერად უკვე გოჩა აფრასიძის ჯანმრთელობა გახლდათ.

როგორც გაირკვა, გოჩა აფრასიძის დაპატიმრებისთანავე ადვოკატები გამოძიების წინაშე შუამდგომლობებს აყენებდნენ და მოითხოვდნენ პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესწავლას და შესაბამისი მკურნალობის ჩატარებას. საქმე ისაა, რომ გოჩა აფრასიძეს დაზიანებული ჰქონდა თვალის ბადურა და არსებობდა მხედველობის სრულად დაკარგვის საშიშროება. სხვათა შორის, თავის დროზე ამ ფაქტს ადასტურებდნენ სასჯელაღსრულების დაწესებულების ექიმები და იუსტიციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის კომისიის წევრებიც და ოფიციალურ დასკვნაში მიუთითებდნენ, რომ გოჩა აფრასიძეს აუცილებლად ესაჭიროებოდა ოპერაცია.

**"აღნიშნული დასკვნის შემდეგ გოჩა აფრასიძე, რომელიც ზუგდიდის საპყრობილეში იყო, თბილისში "რეზბალნიცაზე" გადმოიყვანეს. იგი ორი კვირის განმავლობაში, ფაქტობრივად, "კარცერში" ჰყავდათ, შემდეგ კიდევ ერთხელ ჩაუტარეს შემოწმება და დააფიქსირეს, რომ ოპერაცია საჭირო არ იყო. ამის შემდეგ აფრასიძის მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა. ჩვენ შუამდგომლობით მივმართავდით როგორც ქუთაისის საოლქო სასამართლოს, ასევე, განცხადებებს ვწერდით სასჯელაღსრულების დეპარტამენტში. მართალია, შოთა კოპაძისგან მივიღეთ წერილი, რომლის მიხედვითაც, ოპერაციის ჩატარების პრობლემა არ არის, მაგრამ ამისთვის აუცილებელია იუსტიციის მინისტრის ბრძანება და სასამართლოს გადაწყვეტილება",** - განაცხადა მალხაზ ჯანგირაშვილმა. მისივე განცხადებით, მართლმსაჯულებამ პატიმრის ჯანმრთელობა მეორეხარისხოვნად მიიჩნია და სამედიცინო შემოწმების დანიშვნაზე უარი განაცხადა.

**"საქართველოს და საერთაშორისო კანონმდებლობაც სახელმწიფოს ავალდებულებს, რომ იზრუნოს პატიმრის ჯანმრთელობაზე, რაც აფრასიძეებზე რატომღაც არ ვრცელდება. არადა, მოგეხსენებათ, რომ მათი ოჯახი მარჩენალის გარეშეა დარჩენილი და ოთხი მცირეწლოვანი ბავშვი, მოხუცი დედა და შმაგი აფრასიძის მეუღლე, რომელიც სპეცოპერციის დროს ფსიქიურად დაავადდა, უკიდურეს გაჭირვებაში იმყოფებიან",** - ამბობს ადვოკატი.

მიუხედავად ამისა, დაცვის მხარემ მაინც შეძლო ალტერნატიული ექსპერტიზის დანიშვნა. თვალის კლინიკა "ოფთალმიჯის" ქუთაისის ფილიალის სპეციალისტების დასკვნით, გოჩა აფრასიძეს მარჯვენა თვალში ჩაშლილი აქვს ბადურა და მხედველობა 100 პროცენტით აქვს დაკარგული. ამჟამად არსებობს იმის საშიშროება, რომ იგი დაკარგავს თვალს, როგორც ორგანოს, რის გამოც, აუცილებელია სასწრაფო ოპერაცია. რაც შეეხება მარცხენა თვალს, მხედველობა აქაც საგრძნობლად დაქვეითებულია.

**"ერთი სიტყვით, გოჩა აფრასიძეს სრული დაბრმავება ემუქრება. სასამართლოს მივმართეთ შუამდგომლობით და გადაწყდა, რომ 10 ნოემბრამდე მოხდებოდა პატიმრის ეტაპირება თბილისში, სპეციალურ კლინიკაში, მაგრამ დღემდე იგი არ გადმოუყვანიათ და არავინ იცის, როდის გადაიყვანენ. არადა, მდგომარეობა ყოველდღე მძიმდება",** - განაცხადა მალხაზ ჯანგირაშვილმა, რომელსაც იმედი აქვს, რომ პრობლემის საზოგადოების სამსჯავროზე გამოტანის შემდეგ ავადმყოფი პატიმრის გადარჩენას შეძლებენ.

გუშინვე აფრასიძეების ადვოკატებმა ისაუბრეს სასამართლოს მხრიდან დაშვებულ კიდევ ერთ უკანონობაზე. მალხაზ ჯანგირაშვილის განცხადებით, ვინაიდან აფრასიძეების საქმეს დაცვის მხარე სტრასბურგის სასამართლოსთვის ამზადებს, რაც ძალიან შრომატევადია, ამიტომ მათ საქმეში დამატებით კიდევ ერთი ადვოკატის ჩართვა მოითხოვეს.

**"შუამდგომლობაში მივუთითეთ, რომ ადვოკატი ირმა ჭკადუა საქმეს იცნობს და პროცესის მსვლელობას ხელს არ შეუშლით. მიუხედავად ამისა, სასამართლო კოლეგიამ შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა. ეს აფრასიძეების საქმეში კიდევ ერთი კანონდარღვევაა. პროცესის გაჭიანურებას დაცვის მხარეს ნამდვილად ვერ დაგვაბრალებენ, რადგან მისი დასრულება ჩვენს ინტერესშია; პირიქით, აფრასიძეების საქმის განხილვა, ნახევარ წელზე მეტია, მიმდინარეობს და პროცესები, თითქმის, ერთთვიანი ინტერვალებით ინიშნება. ამ ხნის განმავლობაში კი მხოლოდ რამდენიმე მოწმეა დაკითხული",** - ამბობს მალხაზ ჯანგირაშვილი, რომელიც დარწმუნებულია, რომ აფრასიძეების საქმეზე ზეწოლა ხორციელდება. ადვოკატი იმასაც ამბობს, რომ სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარეს დავით კეკენაძეს უფლებამოსილება აფრასიძეების საქმის დასრულებამდე აქვს გაგრძელებული და იგი ყველაფერს აკეთებს, რომ პროცესის გაწელვით მოსამართლეობა გაიხანგრძლივოს.


ახალი, ყველაზე მაღალი საპროცენტო განაკვეთები პროკრედიტ ბანკში 30 ნოემბრამდე!

პროკრედიტ ბანკი ProCredit Bank

გახსენით ვადიანი ანაბარი პროკრედიტ ბანკში და მიიღეთ ვიზა ჩიპ კლასიკი საჩუქრად!

შემნახველი ანაბარი, ყველაზე ხელმისაწვდომი ანაბარი პროკრედიტ ბანკისგან!

- მიიღეთ ყველაზე მაღალი სარგებელი, ახლა უკვე 6% წლიური აშშ დოლარში და 8% ლარში გახსნილ ანაბრებზე
- გაიტანეთ და შემოიტანეთ თანხა ნებისმიერ დროს
- დაიწყეთ შეგროვება 5 ლარიდან

კამპანია 30.11.05 ძალაშია

ვადიანი ანაბარი, ყველაზე მაღალი საპროცენტო სარგებელი!

- მიიღეთ 10% წლიური დოლარში და 13,5% ლარში გახსნილ ანაბრებზე
- ვიზა ჩიპ კლასიკი საჩუქრად ანაბრებზე 500 დოლარიდან!

პროკრედიტ ბანკი, ბანკი რომელსაც ენდობიან მსოფლიოს სამ კონტინენტზე


# დისკუსია - ევროსასამართლო და საქართველო

*"ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციით გათვალისწინებული 14 უფლებიდან, საქართველოში, ძირითადად, სამართლიანი სასამართლოს უფლება ირღვევა", - აცხადებენ არასამთავრობო ორგანიზაცია "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" წარმომადგენლები.*

ორგანიზაციამ მოსამართლეთა სწავლების ცენტრში დისკუსია გამართა. დისკუსიის თემა გახლდათ "ევროსასამართლო და საქართველო". იგი სამწლიანი პროექტის – "ევროსასამართლოს სტანდარტების დანერგვა საქართველოში" ფარგლებში ჩატარდა. ღონისძიებას თბილისის საქალაქო სასამართლოს, პროკურატურის, იუსტიციის სამინისტროსა და სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლები, აგრეთვე, ადვოკატები ესწრებოდნენ.

როგორც პროექტის კოორდინატორმა მანანა კობახიძემ აღნიშნა, პროექტის მთავარი მიზანია ქართულ სამართალწარმოებაში ევროსასამართლოს გამოცდილების დანერგვა.

**"ჩვენი ინტერესია სამართლიანი სასამართლოს უფლება მოქალაქეს საქართველოშივე ჰქონდეს და შემცირდეს ევროსასამართლოში საქართველოდან გაგზავნილ განაცხადთა რაოდენობა",** - განაცხადა მან.

შეგახსენებთ, რომ ევროპულ კონვენციას საქართველო 1999 წელს შეუერთდა. ამ ხნის განმავლობაში საქართველოდან ევროსასამართლოში განსახილველად 75-მდე საქმე გაიგზავნა. ევროსასამართლომ ოთხი მათგანი უკვე განიხილა, მათგან ორი - "ასანიძე საქართველოს წინააღმდეგ" და ე.წ. ჩეჩნების საქმე "შამაევი და 12 სხვა საქართველოსა და რუსეთის წინააღმდეგ", მოსარჩელეთა გამარჯვებით დასრულდა. ამ ქვეყნებს მომჩივანი მხარის სასარგებლოდ სოლიდური თანხის გადახდა დაეკისრათ.

როგორც "კონსტიტუციის 42-ე მუხლში" აცხადებენ, საქართველოსთვის 75 საჩივარი ძალზე დიდი რიცხვია, არადა, ევროსასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ქვეყანას სერიოზული ფულადი ჯარიმა დაეკისრება. მისი გადაუხდელობის შემთხვევაში კი, ევროსაბჭოდან მისი გარიცხვის საკითხიც დადგება.

მხოლოდ "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" მიერ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში საქართველოდან 50-ზე მეტი საქმეა გადაგზავნილი.

*24 საათი*

*მოკლედ*

## მოსკოვში „კანონიერი ქურდების„ უმრავლესობა ქართველი ან აფხაზია

მოსკოვში "კანონიერი ქურდების" ყველაზე მეტი რაოდენობა ქართულ-აფხაზურ ორგანიზებულ დანაშაულებრივ ჯგუფებზე მოდის. ამ მონაცემებს რუსეთის ფედერაციის ორაგნიზებულ დანაშაულთან ბრძოლის დეპარტამენტი აქვეყნებს. გავრცელებული ინფორმაციით, დაჯგუფებების წევრები, ძირითადად, ქურდობით, ყაჩაღობით, გამოძალვითა და ფინანსური მაქინაციებით არიან დაკავებულნი. რაც შეეხება კავკასიის სხვა რესპუბლიკებს, ყველაზე მეტი - 30-მდე დანაშაულებრივი დაჯგუფება მოსკოვში აზერბაიჯანელებს ჰყავთ, რომლებიც აკონტროლებენ ნარკობიზნესს, ეწევიან აფერას ვალუტის გადაცვლისას, ავტომანქანების ქურდობას.

ამავე წყაროს ცნობით, მოსკოვში ყველაზე ძველი სომხური კრიმინალური დაჯგუფებაა. მათი წევრები აკონტროლებენ სათამაშო ბიზნესს, ასრულებენ შეკვეთილ მკვლელობებს. ყველაზე ოდიოზურად მოსკოვში ჩეჩნური დაჯგუფებები მიიჩნევა. მათი წევრები არ ცნობენ ე.წ. კონონიერ ქურდებს და ყოველთვის თავზეხელაღებულად მოქმედებენ.

ამასთან, რუსეთის სტატისტიკის დეპარტამენტი აქვეყნებს ოფიციალურ მონაცემებს, რომლის მიხედვითაც, მოსკოვში ცხოვრობს - 54 387 ქართველი, 3 687 აფხაზი, 95 563 აზერბაიაჯნელი და 124 425 სომეხი.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## "მერაბ კოსტავას საზოგადოება" ვაჟა ადამიას დაკავების დროს დაფიქსირებულ პროცესუალურ დარღვევებზე საუბრობს

"მერაბ კოსტავას საზოგადოება" ვაჟა ადამიას დაკავების დროს დაფიქსირებულ პროცესუალურ დარღვევებზე საუბრობს.

როგორც ორგანიზაციის გამგეობის წევრი დავით კუპრეიშვილი აცხადებს, გამოძიება ყველანაირად არიდებს თავს ობიექტური მოწმეების დაკითხვას, რადგან ამ დღეებში სააპელაციო სასამართლოში პროცესი უნდა გაიმართოს და გამოძიებას არ სურს, მოწმეების არგუმენტები წარადგინოს. კუპრეიშვილისვე თქმით, გამოძიების მიზანია, ვაჟა ადამია კვლავ წინასწარ პატიმრობაში დარჩეს. მისი განმარტებით, ადვოკატების მიერ შედგენილი სააპელაციო საჩივრით დასტურდება, რომ ადამიას ქმედებას არ შეიძლება მიეცეს ხულიგნობის კვალიფიკაცია, რადგან ეს იყო აუცილებელი მოგერიება.

"მერაბ კოსტავას საზოგადოების" გამგეობის წევრი ვაჟა ადამიას დაკავებას კიდევ ერთი მიზეზით ხსნის და აცხადებს, რომ "სხვა მრავალ პოლიტიკურ მოტივთან ერთად" ადამიას დაკავება საზოგადოების "საადგილმამულო, მოსახლეობის განსახლებისა და დახმარების ფონდის" კუთვნილი 470 ჰექტარი მიწის ფართობის ჩამორთმევის და გასხვისების სურვილს უკავშირდება.

"მერაბ კოსტავას საზოგადოება" ვაჟა ადამიას პოლიტპატიმარს უწოდებს და საქართველოში აკრედიტებულ ელჩებს ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტზე რეაგირებას სთხოვს.

ვაჟა ადამიას, რომელიც ბრალდებულია რამდენიმე დღის წინ "თელასის" თანამშრომლის ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრაში, სასამართლომ აღმკვეთ ღონისძიებად სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. "მერაბ კოსტავას საზოგადოებამ" საქალაქო სასამართლოს ბრძანება სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა.

*ინტერპრესნიუსი*

## მოსამართლე და ადვოკატი ერთად დააკავეს

სამტრედიაში სამართალდამცველებმა 3 ათასი დოლარის ოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე სამტრედიის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ნიკოლოზ ხაჟალია დააკავეს. დაკავებულია, ასევე, ადვოკატი გიორგი სიჭინავა, რომელსაც მოსამართლისთვის ფული უნდა გადაეცა.

როგორც სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის საოლქო პროკურორი როლანდ ახალაია აცხადებს, მოსამართლე განიხილავდა საქმეს სენაკის ყოფილი პოლიციელის ღვინჯილიას თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტებასთან დაკავშირებით და, ბრალდებულისთვის ბრალის შემსუბუქების მიზნით, მან, ქრთამის სახით, 3 ათასი დოლარი აიღო. მოსამართლე და ადვოკატი ფულის გადაცემის მომენტში დააკავეს.

*ინტერპრესნიუსი*

## საპატიმროს საკნებში ჩხრეკა ჩატარდა

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თბილისის №1 საპყრობილის ხუთ საკანში სარეჟიმო ღონისძიება ჩაატარა.

როგორც იუსტიციის სამინისტროში აცხადებენ, ჩხრეკის შედეგად საკნებში 5 მობილური ტელეფონი, 8 სამუხტი და 4 ცალი ე.წ. "შტირი" აღმოჩნდა. ანალოგიური ტიპის ღონისძიება ჩატარდა №5 საერთო და საპყრობილის არასრულწლოვანთა განყოფილებაში, საიდანაც სპეცრაზმის წევრებმა საკნებიდან ამოიღეს მობილური ტელეფონი სამუხტით, 8 ცალი ე.წ. „შტირი", აგრეთვე - მაკრატლისა და კოვზისაგან დამზადებული 13 ცალი ალესილი ნაჭერი.

*ინტერპრესნიუსი*

ჭადრაკი

## პირველი გამარჯვება



პონომარიოვი ბევრს ეცადა, მაგრამ უკრაინა მარცხს ვერ გადაარჩინა.

ისრაელში მიმდინარე მსოფლიოს გუნდურ პირველობაზე ვაჟთა შორის პირველი გამარჯვება მოიპოვა საქართველოს ნაკრებმა. ქართველმა დიდოსტატებმა მეექვსე ტურის შეხვედრაში კუბა დაამარცხეს - 3:1 და მყარად დამკვიდრდნენ მეშვიდე პოზიციაზე. თეთრი ფიგურებით თავისი პარტიები ზურაბ აზმაიფარაშვილმა პირველ დაფაზე და მიხეილ მჭედლიშვილმა მესამე დაფაზე. მათ შესაბამისად, საზარო ბრუზონი და ნურის დელგადო დაამარცხეს, ხოლო გიორგი გიორგაძე და მერაბ გაგუნაშვილი მეტოქეებს დაუზავდნენ.

ამრიგად, ექვსი ტურის შემდეგ საქართველოს ნაკრებმა 9,5 ქულა მოაგროვა და მყარად დამკვიდრდა სატურნირო ცხრილის მეშვიდე საფეხურზე. სამწუხაროა, რომ ქართველმა დიდოსტატებმა ცოტა გვიან მოიპოვეს პირველი გამარჯვება. ორი ტურით ადრე ჩვენებს აუტსაიდერი ჩინეთის ქალთა გუნდი რომ დაემარცხებინათ (2:2), ადვილი შესაძლებელია, პირველ ხუთეულშიც დაემკვიდრებინათ ადგილი. მომდევნო ტურში საქართველოს ნაკრები მასპინძელ ისრაელს გაეჯიბრება და გამარჯვების შემთხვევაში კიდევ ერთი საფეხურით დაწინაურდება. ბოლო შეხვედრას ჩვენი გუნდი გამართავს უკრაინის ნაკრებთან, რომელიც ტურნირზე მსოფლიოს ჩემპიონის სტატუსით ასპარეზობს.

გათამაშებას 16 ქულით ჩინეთის ვაჟთა გუნდი ლიდერობს. ჩინელებმა 2,5:1,5 დაამარცხეს უკრაინის ნაკრები. ლიდერს ნახევარი ქულით ჩამორჩება რუსეთი, რომელიც ამჯერად სომხებს გაუსწორდა - 2,5:1,5. ამერიკის ნაკრებმა კი გაანადგურა ჩინეთის ქალთა გუნდი - 4:0. ამრიგად, ექვსი ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილში ასეთი მდგომარეობაა: ჩინეთი (ვაჟები) - 16, რუსეთი - 15,5, აშშ - 11,5, სომხეთი - 11, უკრაინა - 10,5, ისრაელი - 10, საქართველო - 9,5, კუბა - 7, ჩინეთი (ქალები) - 5.

ფეხბურთი

# დარსაძემ ფეხბურთელები მოისაკლისა

მიხეილ აბაიშვილი

გუშინ საქართველოს ეროვნული ნაკრები ბულგარეთთან გასვლითი ამხანაგური მატჩისწინა საწვრთნელ შეკრებაზე გადავიდა. გაიოზ დარსაძემ დიდ დიღომში მდებარე ეროვნული ნაკრები გუნდების მოსამზადებელ ტექნიკურ ცენტრში შეკრიბა ფეხბურთელები. თუმცა, სიტყვა "შეკრიბა" ცოტათი გადაჭარბებულია. გამოძახებული 25 ფეხბურთელის ნაცვლად, "დინამოს" დიღმის საწვრთნელ ბაზაზე გამართულ ღია ვარჯიშში მხოლოდ ათმა ფეხბურთელმა მიიღო მონაწილეობა. ამას თავისი მიზეზები ჰქონდა. ზოგიერთმა ლეგიონერმა ჩამოსვლა ვერ მოასწრო და დღეს შეუერთდება გუნდს, ზოგი ტრავმირებულია და საერთოდ ვერ ჩამოდის, ზოგი კი, მაგალითად, ლევან კობიაშვილი, გაცივდა და გუნდის ხელმძღვანელობამ ვარჯიშიდან გაათავისუფლა. საწვრთნელი პროცესი მეკარეების გარეშე წარიმართა. ტორპედოელი ნუკრი რევიშვილი და დინამოელი ზვიად სტურუა დარსაძემ საპატიო მიზეზით გაათავისუფლა – მათ კლუბებს გუშინ დავით ყიფიანის თასის მატჩები ჰქონდათ გასამართი და, რა თქმა უნდა, მეკარეების გარეშე ვერ ითამაშებდნენ, ლომაიამ კი რუსეთიდან ჩამოსვლა ვერ მოასწრო.

ერთი სიტყვით, ვარჯიშში მონაწილეობა მიიღეს დემეტრაძემ, კალაძემ, ხიზანიშვილმა, აშვეთიამ, მუჯირმა, კანკავამ, გოგუამ, მარცვალაძემ, წინამძღვრიშვილმა და განუგრავამ. ბარემ დანაკლისზე ვიტყვი ბოლომდე: გახოკიძე, სალუქვაძე, ცქიტიშვილი და ქინქლაძე ტრავმების გამო ვერ ჩამოდიან. ყველაზე გულდასაწყვეტი კი ქინქლაძის ჩამოუსვლელობაა, რომელმაც აშკარად აღიდგინა ფორმა და თავის ახალ გუნდს, ყაზანის "რუბინს" უეფას თასის საგზურის მოპოვებაში დიდად დაეხმარა. ქინქლაძეს გასულ უქმეებზე გამართულ მატჩში კუნთი დაეჭიმა და, ყაზანელი ექიმების დიაგნოზით, დაახლოებით ათ დღეს ვერ ივარჯიშებს.

გუშინდელმა ვარჯიშმა ორ საათს გასტანა. დარსაძემ ფეხბურთელები სატრენაჟორო დარბაზში შეიყვანა და ნახევარი საათის განმავლობაში სხვადასხვა ტრენაჟორზე დატვირთა. შემდეგ გუნდმა მოედანზე გადაინაცვლა. 15-წუთიანი "კვადრატი", ვარჯიშები სასტარტო სისწრაფეში, ტაქტიკური ხასიათის ვარჯიში საერთო გუნდური მოძრაობის დასახვეწად... ვარჯიშს თვალს ადევნებდა დარსაძის ფრანგი ასისტენტი ფიზიკური მომზადების დარგში ჟაკ დე ვიმი, რომელიც დროდადრო რჩევებს აძლევდა მთავარ მწვრთნელსაც და ფეხბურთელებსაც. ვარჯიშის შემდეგ, რომლის ძირითადმა ნაწილმა უბურთოდ ჩაიარა, კახა კალაძის, ზურაბ ხიზანიშვილის, გიორგი დემეტრაძის და გაიოზ დარსაძის კომენტარი ჩავწერეთ.


"ალანიაში" დემეტრაძის მომავალი ბუნდოვანია.

კახა კალაძე: "საქართველოს ნაკრები მომდევნო შესარჩევი ციკლისთვის მზადების სტადიაშია. ამ ეტაპზე დიდი მნიშვნელობა აქვს ისეთ ამხანაგურ თამაშებს, როგორიც 12 და 16 ნოემბერს გველის. ნაკრებში გამოჩნდნენ ნიჭიერი ფეხბურთელები, რომლებსაც გამოცდილების დასაგროვებლად, საკუთარი ადგილის დასამკვიდრებლად, ნაკრებთან შესათამაშებლად დრო და პრაქტიკა სჭირდებათ. ვფიქრობ, ბულგარეთთან მატჩი ამ თვალსაზრისით ძალზე მნიშვნელოვანია. ბულგარელებს მაღალი კლასის გუნდი ჰყავთ. ასეთი დონის მეტოქესთან სპარინგი მხოლოდ სიკეთეს მოგვიტანს."

გიორგი დემეტრაძის კარგმა თამაშმა ვერ უშველა ვლადიკავკაზის "ალანიას" და ეს გუნდი რუსეთის პრემიერლიგას გამოემშვიდობა. "ალანიაში", მოგეხსენებათ, სხვა ქართველი ფეხბურთელებიც თამაშობენ. ამიტომ დემეტრაძეს ამ თემაზეც ვესაუბრე.

"სამწუხაროდ, "ალანია" პრემიერლიგას დატოვებს და პირველ ლიგაში გადაინაცვლებს. ასეთი პერსპექტივა ნამდვილად არ გვხიბლავს ოსურ კლუბში მყოფ ქართველებს და გუნდის დატოვება გვაქვს გადაწყვეტილი. "ალანიას" ხელმძღვანელობა, როგორც ვიცი, არ აპირებს ქართველ ფეხბურთელებს დაბრკოლება შეუქმნას სხვა გუნდში გადასვლასთან დაკავშირებით. არ არის გამორიცხული, თავისუფალი აგენტის სტატუსიც კი მოგვცენ. მე რამდენიმე კლუბის ვარიანტი მაქვს, თუმცა, დასახელებისგან თავს შევიკავებ. როცა ახალ კონტრაქტს გავაფორმებ, კონკრეტულად მერე ვილაპარაკოთ.

რაც შეეხება ნაკრებს, რაც უფრო მეტ სპარინგს ჩავატარებთ, მით უკეთესი იქნება ბრძოლისუნარიანი გუნდის ჩამოყალიბებისთვის. ნაკრებში ახალი ხელმძღვანელობაა, რომელიც საქმეს ახლებურად უდგება, ყველაფერს აკეთებს გუნდური სულისკვეთების, სასიამოვნო კლიმატის შესაქმნელად. ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთელი შეგვემატა, რომლებიც ეროვნულ გუნდში კონკურენციასაც ზრდიან და მაღალ დონეზეც თამაშობენ. ეს პროცესები, ჩემი აზრით, დადებით შედეგს მოგვიტანს."

ზურაბ ხიზანიშვილიც ახალ კლუბშია, თუმცა, "ალანიასგან" განსხვავებით, ინგლისური პრემიერლიგის ბინადარ "ბლექბერნ როვერსს" კარგად მისდის საქმეები და ამაში ჩვენებურსაც შეაქვს არცთუ უმნიშვნელო წვლილი.

"ბლექბერნში" არ გამჭირვებია, რადგან ამ გუნდში თამაშობენ ფეხბურთელები, რომლებსაც ადრეც ვიცნობდი. სათამაშო სტილით შოტლანდიური და ინგლისური ფეხბურთი დიდად არ განსხვავდება ერთმანეთისგან. მიუხედავად ამისა, მცირე საადაპტაციო პერიოდი მაინც მქონდა, რადგან მაინც ახალ ატმოსფეროში მოვხვდი. თუმცა, ვფიქრობ, სირთულეები მალე დავძლიე. ძირითად შემადგენლობაში სამი ახალწვეული ვართ – მე, "არსენალიდან" გადმოსული ბენტლი და კრეიგ ბელამი. სამივეს ძალზე კარგი პრესა გვაქვს, რაც განსაკუთრებით გვახარებს. "ბლექბერნი" ინგლისური საკლუბო ფეხბურთის გრანდი არ არის და საუბარი იმაზე, რომ ჩემპიონთა ლიგის ან თუნდაც უეფას თასის საგზურს მოვიპოვებთ, ნაადრევია. კლუბის ხელმძღვანელობა ასეთ მიზანს არც გვისახავს. თუმცა, არ გამიკვირდება, თუ სეზონს მოწინავე პოზიციებზე დავასრულებთ. ამჟამად "ბლექბერნი" სპორტული ფორმის პიკს უახლოვდება და გამართლების შემთხვევაში ნებისმიერი მეტოქის დამარცხებაც შეგვიძლია, რაც "მანჩესტერ იუნაიტედთან" გასვლით მატჩში გამარჯვებითაც დასტურდება.

რაც შეეხება მოახლოებულ ამხანაგურ თამაშებს, მათ საკმაოდ სერიოზული მნიშვნელობა აქვს. ასეთი სპარინგმატჩები იმითაც არის კარგი, რომ მწვრთნელს არ სჭირდება თამაშის "დამალვა", ყველა ფეხბურთელის გამოცდის საშუალება ეძლევა და ახალ ტაქტიკურ მონახაზებსაც ამუშავებს. საქართველოს ნაკრებს კი ეს ყოველივე ძალზე სჭირდება", - განუცხადა "24 საათს" ზურაბ ხიზანიშვილმა.

ქინქლაძის ჩამოუსვლელობა კი გაიოზ დარსაძეს "24 საათმა" შეატყობინა.

"გიორგი ვერ ჩამოდის? პირველად მესმის. ქინქლაძე არ დამკავშირებია და არც მისი ტრავმის თაობაზე ვიცი რამე. ცქიტიშვილმა დამირეკა და მითხრა თავისი ტრავმის შესახებ. ჩვენ ერთად გადავწყვიტეთ, რომ გარისკვა არ ღირს და ის სამკურნალოდ დარჩა გერმანიაში.

საერთოდაც, როგორც ნახეთ, არასრული შემადგენლობით შევიკრიბეთ. ჩემთვის ეს მიუღებელია. ევროპის ქვეყნებში ტური 5 ნოემბერს ჩატარდა და გამოძახებულებს წინ სამი დღე ჰქონდათ თბილისში ჩამოსასვლელად. დღეს 8 ნოემბერია და ნახევარი შემადგენლობით ვართ. საქართველოს ნაკრები ნებისმიერი ფეხბურთელისთვის უპირველესი საზრუნავი უნდა იყოს, ყველა უნდა ხვდებოდეს, რა დიდი პატივი და დაფასებაა ეროვნულ გუნდში გამოძახება. თითოეულ დღეს, თითოეულ ვარჯიშს ჩვენთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ასეთი მიდგომით საერთო საქმე ფუჭდება", - უკმაყოფილება გამოთქვა გაიოზ დარსაძემ ფეხბურთელების დაგვიანების გამო.




მოკლედ

### დესაის სამშობლო მოენატრა

ლონდონის "ჩელსისა" და საფრანგეთის ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა მარსელ დესაიმ ყატარული კლუბი დატოვა და სამშობლოში დაბრუნდა. 38 წლის ფეხბურთელმა გადაწყვიტა გაწყვიტოს მოქმედი კონტრაქტი. მას სამშობლო და ოჯახი მოენატრა. "მომენატრა ჩემი სამშობლო და ოჯახი, - განაცხადა დესაიმ, - მე შევხვდი კლუბის ხელმძღვანელობას და ვთხოვე სამშობლოში დაბრუნება".

### "რეალი" სარეკლამო კამპანიას იწყებს

კომპანია BenQ Mobile (ტაივანი) შეუთანხმდა მადრიდის "რეალის" ხელმძღვანელობას, რომ ის ფეხბურთელთა მაისურებზე საკუთარ ლოგოტიპს განათავსებდა. სააგენტო "როიტერსის" ცნობით, ახალი სპონსორული შეთანხმება მომავალი წლიდან შევა ძალაში და 2010 წლამდე გაგრძელდება. ადგილობრივი პრესის ინფორმაციით, კონტრაქტის ღირებულება 100 მილიონ ევროდ არის შეფასებული.

### საბერძნეთისა და თურქეთის გარდა

უეფამ შეამცირა ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის მასპინძლობის მსურველთა რიცხვი. უეფას ოფიციალური საიტის ინფორმაციით, ამ სიაში საბერძნეთი და თურქეთი აღმოჩნდნენ. ამრიგად, ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის მასპინძლობისთვის პრეტენზიას აცხადებენ: იტალია, ხორვატია და უნგრეთი, აგრეთვე პოლონეთი და უკრაინა. ამ საკითხთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილება 2006 წლის დეკემბერში მიიღება.

### შუმახერმა ტრავმა მიიღო

მსოფლიოს 7-გზის ჩემპიონმა ფორმულა 1-ში "ფერარის" გერმანელმა პილოტმა მიხაელ შუმახერმა ფეხბურთის თამაშის დროს ტრავმა მიიღო. გერმანელმა ტერფი შვეიცარიაში დაიზიანა, როცა ამ ქვეყნის ჩემპიონატის მესამე დივიზიონის კლუბ "ეხიხენსის" ღირსებას იცავდა. შუმახერი პირდაპირ მინდორზე შეამოწმა ექიმთა ადგილობრივმა ბრიგადამ. ექიმებმა დაასკვნეს, რომ სანერვიულო არაფერია და უბრალო, ცივი კომპრესი შუმახერს აღდგენაში დაეხმარება.

## განცხადება ვაკანსიაზე, ელექტრო ტექნიკოსი

bp

BP საქართველო იწვევს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირებს **სუფსის ტერმინალზე ელეტრო ტექნიკოსის** პოზიციის დასაკავებლად..

სამუშაოს ადგილმდებარეობა: სუფსის ტერმინალი

**ფუნქციები და პასუხისმგებლობები**

კონკრეტული ფუნქციები მოიცავს მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით:

- გამოხატული ერთგულება ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის პრინციპების მიმართ.
- მონაწილეობას მიიღებს ინციდენტებისა და უბედური შემთხვევების გამოძიებაში საჭიროებისამებრ, რათა უზრუნველყოს დადგენილი ქმედებების ზუსტი შესრულება.
- იმუშავებს ექსპლუატაციის ჯგუფთან ერთად, რათა კოორდინაცია გაუწიოს ყველა დაგეგმილ ტექნიკური მომსახურების საქმიანობებს.
- უზრუნველყოს მაღალი სტანდარტი უსაფრთხო და მიღებული ელექტრო ტექნიკური მომსახურების პრაქტიკის გამოყენებით, განახორციელოს პრევენციული ტექნიკური მომსახურების დავალებები, რაც ჩვეულებრივ გულისხმობს კონკრეტულ დისციპლინურ უნარ-ჩვევებს.
- აჩვენოს სრული და ძირფესვიანი ცოდნა სამუშაოების წარმოების ნებართვის სისტემისა და ელექტრო იზოლაციის პროცედურებისა. დახმარება გაუწიოს ექსპლუატაციის ჯგუფს თითოეული სამუშაო დავალების ნებართვის პირობების განვითარებაში.
- ჩანაწერების განხორციელება ტექნიკური მომსახურების Maximo სისტემაში, შესრულებულ სამუშაოზე ზუსტი და მნიშვნელოვანი ინფორმაციის უზრუნველყოფით.
- განახორციელოს ხელმძღვანელის მითითებით საგანგებო მდგომარეობაში დაკისრებული ფუნქციები და მოვალეობები.

**განათლება და მუშაობის გამოცდილება**

- სათანადო უნივერსიტეტის დიპლომი ტექნიკურ სფეროში (საინჟინრო).
- 3 წლის მუშაობის გამოცდილება სამრეწველო ობიექტებზე, მაგალითად, ელექტრო და ხელსაწყოებთან მუშაობის.
- ინგლისური ენის ცოდნა, როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი და შემდგომი განვითარების სურვილი
- მანქანის ტარების ცოდნა (სულ ცოტა B კატეგორია)
- კომპიუტერის ცოდნა
- პირადი უნარ-ჩვევების ადაპტაციის უნარი სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებთან ურთიერთობაში.

**განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია**

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იმავე მისამართზე მიიღებთ. განაცხადების მიღების საბოლოო ვადაა **22 ნოემბერი, სამშაბათი.**

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

საცხოვრებელის უზრუნველყოფა სუფსაში იქნება შერჩეული კანდიდატის პასუხისმგებლობა.

**ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.**

**სუფსის ტერმინალის ადმინისტრაცია**
სოფ. გრიგოლეთი,
ლანჩხუთის რაიონი
**ან**
**კადრების განყოფილება**
BP Explorations Caspian Sea Ltd.
საქართველო, თბილისი
საბურთალოს ქუჩა N38

# კომპლექსებით სიბნელეში და წრეზე

### სიტყვები იქ, სადაც გაგონება არ სურთ

*შეხვედრა შედგა, დაიწყო გარკვეული ენთუზიაზმით, თუმცა ზოგიერთისთვის, დასასრულს პესიმიზმი შეეპარა. "24 საათი" გამოჩენილ ხელოვნებათმცოდნეებს შეხვდა და კითხვებზე მკაფიო და საინტერესო პასუხებიც მიიღო. წესითა და კანონით უნდა ითქვას, რომ ღონისძიება წარმატებით განხორციელდა, თუმცა რას ნიშნავს წარმატება და მოვლენის განხორციელება ამ შემთხვევაში გაუგებარი და ღიმილის მომგვრელია. ითქვა ის, რაც ყველამ კარგად ვიცოდით, უბრალოდ, შევეცადეთ, ყოველივე სათქმელი იმაზე მეტად ხმამაღლა გამოგვეთქვა, ვიდრე აქამდე, გვეთქვა უზენაესთა გასაგონად, მედიისა და ჟურნალისტების საყურადღებოდ და საზოგადოების ინტერესების პროვოცირებისთვის, თუმცა არც ერთი და არც მეორე რომ არ გამოგვივიდოდა, საფუძველშივე ფაქტი იყო, როგორც ორგანიზატორთათვის ისე ღრმადპატივსაცემი სტუმრებისთვის. პროფესიონალმა კრიტიკოსებმა პოზიცია ნათლად დააფიქსირეს და საქმეც თითქოს და ერთი ნაბიჯით წინ წაიწია. როგორც გალერეა "კოპალაში" თავმოყრილმა ადამიანებმა აღნიშნეს, გაზეთმა საინტერესო პროექტი განახორციელა, მომავალ ნომერში კი ამ შეხვედრის ილუსტრირებით საინტერესო მასალაც გვექნება. შეხვედრით სტუმრებიც კმაყოფილნი დარჩნენ, ალბათ იმიტომ, რომ აზრთა და სურვილთა გაცვლა-გამოცვლა დიდი ხანია, არ მოუხდენიათ.*


*შეხვედრაზე.*

სოფო კილასონია

მრგვალი მაგიდის პრინციპი გუშინ საღამოს არტ-გალერეა "კოპალაში" 24 საათმა ლამაზად განახორციელა. საინტერესო ექსპოზიციის ფონზე საინტერესო ადამიანების გვერდით. მოწვეულთაგან რამდენიმემ ზუბალაშვილების ქუჩას თავი აარიდა, დასახული პრობლემები მობილური ტელეფონის გამორთვით გადაჭრა, თუმცა ეს არაფერი. კულტურის სამინისტროდან თუ არა, მერიის კულტურის სამსახურიდან მაინც გვესტუმრნენ. კიდევ ყოფილან ადამიანები, ვისაც ჭეშმარიტი, პროფესიული და არაპოლიტიზირებული, არაიდეოლოგიზირებული, არასწორხაზოვანი და არაპოპულისტური დიალოგების მოსმენის სურვილი ჰქონიათ. დისკუსიაში კი ხელოვნებათმცოდნეები: მიტო თუმანიშვილი, გოგი ხოშტარია, ლია ანთელავა, ანი კლდიაშვილი, სამსონ ლეჟავა, თეო ხატიაშვილი ჩაერთნენ. შეხვედრას თავისუფლების მონუმენტის რაობით და "ღრმადშინაარსობრივი" არსით შეშფოთებული რამდენიმე ცნობილი სახე, ახალგაზრდები და საპატრიარქოს კულტურის განყოფილების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

დისკუსია არაერთ საკითხს შეეხო - ჩვენი საზოგადოების ფობიებს, ერთმანეთისგან გამომდინარე კულტურულ კომპლექსებს. იმას, რომ ნებიმიერი პოლიტიკურ-იდეოლოგიური ცვლილება, მაინც წრეზე ტრიალია, თანაც მოძრაობა სიბნელეში, ამის მაგალითები კი ქალაქ თბილისში ძალიან ბევრია. თუნდაც ის, რომლის დადგმასაც თავისუფლების მოედანზე აპირებენ და რომელიც არ უნდა დაიდგას.

პოზიცია ნათელია, არ უნდა დაიდგას! ფაქტია და საწინააღმდეგოს ვერავინ დაამტკიცებს: კიდევ ერთი ანომალია არც ჩვენ და არც ჩვენს ქალაქს არ სჭირდება. ჯერ არჩამობრძანებული მონუმენტი, ქანდაკება. ძეგლი, მოკლედ სულ ერთია რას დავარქმევთ, როგორც გუშინ ითქვა და როგორც არაერთხელ დავწერეთ, ერთი დიდი ტყუილია და სხვა არაფერი. ტყუილი მომავალთან და არა აწმყოსთან, არა წარსულთან, რადგანაც "გუშინ და დღეს სწორედ ისეთები ვბრძანდებით თურმე, როგორადაც ბატონი წერეთელი და და ჩვენი ხელისუფლება გვაფასებს", ანუ სულით მახინჯები, უცოდინრები, ურწმუნოები, საცოდავები, უნიადაგონი, მართლაც ქაჯები და თან ამბიციურები.

შეხვედრაზე მრავალი ითქვა, თუმცა მის ილუსტრირებას მომდევნო ნომერში წაიკითხავთ. დისკუსია გუშინ საღამოს დაიწყო და არ დასრულებულა. გადაწყდა, რომ ის უნდა გაგრძელდეს, ყოველ ჩვენთაგანში ცალკე და კოლექტიურად. გაგრძელდეს იმიტომ, რომ 23 ნოემბერს არ შეგვრცხვეს და კიდევ ერთხელ არ დავმარცხდეთ.

FM ცნობი 98.0

# ეკა და რესპუბლიკელები

**ეკა კვესიტაძე**: დღევანდელი "დიალოგების" სტუმარი რესპუბლიკური პარტიის წევრი პაატა ზაქარეიშვილია. ბატონო პაატა, აქამდე საზოგადოება მხოლოდ სამოქალაქო საზოგადოების აქტიურ წევრად უფრო გიცნობდათ, ვიდრე საკრებულოს წევრად. რატომ პასიურობდით და რა შეიცვლება ახალი ფრაქციის დაარსების შემდეგ?

**პაატა ზაქარეიშვილი**: ახალი ფრაქცია პოლიტიკური ბერკეტებით მართვის საშუალებას იძლევა. თუმცა, გულახდილად გეტყვით, სამოქალაქო საზოგადოებაში თავს გაცილებით კომფორტულად ვგრძნობდი. მიუხედავად ამისა, დღეს ქვეყანა მონოპარტიული სისტემისკენ მიდის, ეს კი ძალიან საშიშია და მას თანადგომა სჭირდება. მმართველი პარტია ცდილობს, რომ ოპოზიცია ვერ შედგეს და ეს ნებისმიერ საქმეში იგრძნობა.

**ეკა კვესიტაძე**: ამას რა მეთოდებით ახერხებს?

**პაატა ზაქარეიშვილი**: სრულებით ვერაგული მეთოდებით. უნდა, რომ საზოგადოება ფსევდოდემოკრატიით გააბრუოს. მაგალითად, მიმდინარეობს მაჟორიტარული სისტემის დისკრედიტაცია. მაჟორიტარიზმის ისტორია მოსახლეობამ არ იცის და ხელისუფლება ამით სარგებლობს. უცოდინარი მოსახლეობის მოტყუება ადვილია. დღევანდელი კანონით არჩეული საკრებულო ძალიან სუსტია. მიუღებელია არჩევითობის მეთოდი. ევროპაში მაჟორიტარული არჩევნების დროს უმრავლესობა რჩეულს თავად ირჩევდა, მაგრამ მას შემდეგ პოლიტიკურ ცხოვრებაში ბევრი რამ შეიცვალა, რადგან, როგორც წესი, ასეთი არჩევნების დროს ყველა ხმა ერთ გამარჯვებულს "მიჰქონდა". ამიტომ ჩამოყალიბდა სხვა, ვთქვათ ორმოცდაათიანი მაჟორიტარული სისტემა. თუმცა, რა გასაკვირია, ნებისმიერ ხელისუფლებას აქვს მიდრეკილება იოლად მართვადობისკენ. გამონაკლისები არც ჩვენ ვართ, მაგრამ ასეთი პრინციპები დემოკრატიას ეწინააღმდეგება.

**ეკა კვესიტაძე**: რითია განპირობებული ოპოზიციის სისუსტე - მხოლოდ იმით, რომ ხელისუფლებას სურს, ჰყავდეს სუსტი ოპოზიცია თუ იმით, რომ ოპოზიცია თავისთვად სუსტია?

**პაატა ზაქარეიშვილი**: არა მგონია ამაში ხელისუფლება იყოს დაინტერესებული. უბრალოდ, ოპოზიცია სუსტია.

**ეკა კვესიტაძე**: რატომ არის სუსტი?

**პაატა ზაქარეიშვილი**: ქვეყანა ჯერ პოსტრევოლუციურ სინდრომს განიცდის და იქედან ვერ გამოსულა. რევოლუცია ჩვენთვის ქარიშხალი იყო და მან ყველა პოლიტიკური ძალა გადააადგილა. მანამდე გვყავდა სამი ძლიერი პოლიტიკური ფიგურა - აბაშიძე, შევარდნაძე და ჟვანია, რომელთა გარეშემოც ყველა ტრიალებდა. დღეს არც ერთი მათგანი აღარ არის. ამ ფონზე წარმოიქმნა უამრავი პარაზიტული ძალა, მათ შორის ოპოზიციურიც. თუმცა, პირველ რიგში, ეს უმრავლესობას ეხება. უმრავლესობა დღეს შედგება ერთობისგან, სადაც ცალკეულ პიროვნებებს თავიანთი ინტერესები ამოძრავებთ. ბუნებრივია, ამ ფონზე ოპოზიცია ვერ ჩამოყალიბდა. პატიოსანი პოლიტიკოსი კი ის არის, ვინც კეთილშობილურად ემსახურება თავის ხალხს და ამაში ხელფასს უხდიან.

**ეკა კვესიტაძე**: გამოდის, რომ ჯერჯერობით ოპოზიცია რეალობას ვერ მოერგო. იმასაც ამბობენ, რომ საზოგადოებაში არ არსებობს ოპოზიციური აზრის მოთხოვნილება. თუმცა, სალომე ზურაბიშვილმა სულ სხვა რამ დაამტკიცა - საზოგადოება ეძებს ლიდერს, მაგრამ არ არსებობს ლიდერობის კანდიდატი. პოლიტიკური ფიგურა ვერც რესპუბლიკურმა პარტიამ შემოგვთავაზა.

**პაატა ზაქარეიშვილი**: მადლობა ღმერთს, ქართული საზოგადოება დიფერენცირებულია და გეთანხმებით, რომ თავისი მოკლე მესიჯით სალომე ზურაბიშვილმა საზოგადოების გარკვეული ჯგუფის სიმპათია დაიმსახურა.

**ეკა კვესიტაძე**: იყო თუ არა ეს თბილისის ელიტარული ნაწილი?

**პაატა ზაქარეიშვილი**: რა თქმა უნდა, იყო, ეს იყვნენ თბილისელები, რომლებიც განსხვავებულ აზრს ელოდებოდნენ. სალომე ზურაბიშვილმა დააფიქსირა განსხვავებული აზრი ხელისუფლებაშივე და გამოეყო მას.

**ეკა კვესიტაძე**: ხელისუფლებას თქვენი რესპუბლიკური პარტიაც გამოეყო...

**პაატა ზაქარეიშვილი**: არა, რესპუბლიკური პარტია ყოველთვის ცალკე იყო. მას თავისი მიზნები და ამოცანები ჰქონდა. რაც შეეხება სალომე ზურაბიშვილს, სამი-ოთხი თვე დაველოდოთ და ვნახოთ, როგორ მოერგება მისი მოძრაობა რეალობას.

**ეკა კვესიტაძე**: რა როლს შეასრულებს ის ქართულ პოლიტიკაში?

**პაატა ზაქარეიშვილი**: ალბათ, ცალკე ყოფნა გაუჭირდება. ორგანულად ვიღაცასთან გაერთიანება აუცილებელი არ არის, მაგრამ მისი მსოფლმხედველობის მქონე პარტიებთან დაახლოება არ აწყენდა. ხელისუფლება ისეთ მსოფლმხედველობას აქცევს კანონებად, რომ ოპოზიციას იძულებით აერთიანებს. ის ცალკე, რომელიმე პარტიას წარმატების მიღწევაში ხელს უშლის. ამის ნათელი დასტურია საკრებულოსა და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები. ხელისუფლებას უჭირს ბრძოლა ისეთ პარტიებთან, რომლებთანაც ღირებულებითი კონფლიქტი აქვს (მაგალითად, ლეიბორისტულ და რესპუბლიკურ), მაგრამ მათ იძულებულს ხდის გაერთიანდნენ. ახლანდელი ხელისუფლება მიცხადებს, რომ ლიდერი მხოლოდ მაშინ გავხდები, თუ წარმატებას მივაღწევ. ამ წარმატებისთვის მზად ვარ გავერთიანდე იმასთან, ვინც მესიმპათიურება ან არ მესიმპათიურება.

**ეკა კვესიტაძე**: მიიღებთ თუ არა მონაწილეობას ადგილობრივ არჩევნებში როგორც ცალკე, დემოკრატიული ფრონტი თუ გაერთიანდებით პარტიებთან, რომლებიც ახლა ჩამოთვალეთ? როგორ აპირებთ პოლიტიკური ამინდის შეცვლას?

**პაატა ზაქარეიშვილი**: თქვენ თუ იცით მომავალ გაზაფხულზე რას ჩაიცვამთ? რა ამინდიც იქნება, ჩვენც იმისდა მიხედვით ვიმოქმედებთ. მთავარი მიზანი რაღაცის შეცვლაა, ძირითადი კი - პლურალისტული, კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა. ჩვენ სააკაშვილს ისეთი გარემო უნდა შევუქმნათ, სადაც სხვადასხვა ძალები ერთმანეთს ღირსეულ კონკურენციას გაუწევენ. რა თქმა უნდა, მირჩევნია, რომ არჩევნების დროს რესპუბლიკელებს ცალკე ფრონტი ჰქონდეთ, მაგრამ სიტუაციიდან გამომდინარე, ახლაც და სხვა დროსაც იძულებული ვხდებით სხვა პარტიას შევეკრათ.

**ეკა კვესიტაძე**: რესპუბლიკურ პარტიას ყოველთვის დაბალი რეიტინგი ჰქონდა. თავადაც აღიარებთ, რომ ის უფრო ელიტარული კლუბია, ვიდრე პოლიტიკური პარტია. ეს დავით უსუფაშვილმაც განაცხადა. რა ცვლილებებია პარტიაში უსუფაშვილის გათავმჯდომარების შემდეგ?

**პაატა ზაქარეიშვილი**: 9 აპრილის შემდეგ ამ პარტიის წევრი ვარ და ცვლილებები არ მინახავს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ უსუფაშვილმა შექმნა სტრუქტურა, რომელიც რეგიონულ მუშაობას მოიცავს. ის პარტიის მომხრეებს ადგილებზე ეძებს. ეს მისასალმებელია. შეიძლება ბევრი პარტიის წევრი არ გვყავს, მაგრამ სხვა პერიოდთან შედარებით აშკარად გაზრდილია. დღე არ გავა, რომ 10-15 ადამიანი არ შეგვემატოს. ხალხს იმედი ჩაესახა და არა მხოლოდ რესპუბლიკელების. სამაგიეროდ სააკაშვილს იმედი გაუცრუვდა. ასეთი საზოგადო უკმაყოფილება პრეზიდენტის მიმართ შევარდნაძის პერიოდშიც არ მახსოვს. გამსახურდიასაც კი, ზოგიერთი რიგითი ადამიანები დღემდე კბილებით იცავენ. სააკაშვილს მსგავსი დამცველები არ ჰყავს და ეს ნამდვილად გულდასაწყვეტია.

შემოთავაზება უსწრებს დროს!

უპროცენტო 3 წლიანი განვადება
ქალაქის ნებისმიერ უბანში

ტელ.: 23 25 36
25 30 80
25 32 16
91 25 07



ცენტრ პოინტი

## საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების შესახებ

"უმაღლესი განათლების შესახებ" კანონის 89-ე მუხლის მე-11 პუნქტისა და პრეზიდენტის 8 ივნისის ბრძანებულების (№ 473) მე-2 პუნქტის "ღ" ქვეპუნქტის განსახორციელებლად აკადემიურ თანამდებობაზე გადაყვანის წესის საფუძველზე (იხ. გაზეთი "24 საათი" 2005 წლის 28.09) ტარდება ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა კონკურსი.

აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის მონაწილე რექტორის სახელზე წერს განცხადებას, რომელსაც თან ერთვის უმაღლესი განათლების დიპლომის, სამეცნიერო აკადემიური ხარისხის, წოდების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები, ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, კადრების აღრიცხვის ფურცელი, ფოტოსურათი (1), კურიკულუმი.

1. პირადი მონაცემებისა და კონკურსის წესის საფუძველზე უნივერსიტეტის ხელოვნების ისტორიისა და თეორიის აკადემიურ თანამდებობაზე არჩეული იქნება: პროფესორი - 53, ასოცირებული პროფესორი - 18, ასისტენტ-პროფესორი - 15.

2. აკადემიური თანამდებობის დაკავებისას კომისია იხელმძღვანელებს შემდეგი კრიტერიუმებით:

- სამეცნიერო, აკადემიური ხარისხი;
- პედაგოგიური გამოცდილება (სტაჟი);
- გამოქვეყნებული შრომები საერთოდ და ბოლო ათი წლის განმავლობაში;
- წიგნი (სახელმძღვანელო, მონოგრაფია და სხვა);
- უცხოური სერთიფიკატი;
- სამეცნიერო, სამხატვრო საბჭოს წევრობა;
- სადისერტაციო საბჭოს წევრობა;
- უცხოეთის უნივერსიტეტებში ლექციების წაკითხვა;
- კანდიდატის, დიპლომატის, ასპირანტის, მაძიებლის საკურსო შრომის ხელმძღვანელობა, ოპონენტობა, ექსპერტი;
- სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა;
- სტუდენტთა სამეცნიერო წრის ხელმძღვანელობა;
- ჟურნალის, წიგნის რედაქტორობა;
- პროფესიული პრემია, გრანტი, სტიპენდია;
- არასამთავრობო გამოცდილება;
- უცხო ენების ცოდნა;
- დისციპლინის სწავლების სტრუქტურის მოკლე აღწერა (სილაბუსი).

კონკურსში დოკუმენტების წარმოდგენის ბოლო ვადაა 10 დეკემბერი.

შედეგები ცნობილი იქნება 2006 წლის 10 იანვარს.




## საჯარო სამართლის იურიდიული პირის - თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის

# ბრძანება

ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორ-მასწავლებელთა აკადემიურ თანამდებობებზე გადაყვანისათვის კონკურსის გამოცხადების შესახებ 2005 წლის 1 ნოემბრის N91-თ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 89-ე მუხლის მე-11 პუნქტის მიხედვით საჯარო სამართლის იურიდიულმა პირებმა - უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა 2006/2007 სასწავლო წლის დაწყებამდე უნდა უზრუნველყონ დაწესებულებაში დასაქმებული პროფესორ მასწავლებლებისა და მეცნიერ-თანამშრომლების გადაყვანა ზემოაღნიშნული კანონით გათვალისწინებულ შესაბამის აკადემიურ თანამდებობებზე. ამავე კანონის 34-ე მუხლის მიხედვით აკადემიური თანამდებობების დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკრსის წესით, შესაბამისად, უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 89-ე მუხლის მე-11 პუნქტის, საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 8 ივნისის N 473 ბრძანებულების მე-2 პუნქტის "ღ" და "შ" ქვეპუნქტებისა და ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის 2005 წლის 1 ნოემბრის წარდგინების საფუძველზე

## ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2005 წლის 1 ნოემბრის N91-თ ბრძანების მესამე მუხლში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

მედიის კვლევების მიმართულება შეიცვალოს ჟურნალისტიკის მიმართულებით. ნაცვლად მედიის კვლევების მიმართულებისა გამოცხადდეს კონურსი 1 პროფესორის, 1 ასოცირებული პროფესორის და 1 ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე ჟურნალისტიკის მიმართულებით.

ნინო ფირცხალავა
რექტორის
მოვალეობის
შემსრულებელი



# "თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი
თორნიკე ბერიშვილი

გამოკითხვა

## დანიელ წურწუმიას დაღუპვის გამო

### რას ფიქრობთ გალელი ქართველი ახალგაზრდის დანიელ წურწუმიას დაღუპვასთან დაკავშირებით?

**გოგი მაჭარაშვილი,** ისტორიკოსი, 52 წლის: "ეს ბიჭი არის გმირი და სწორედ მისნაირების საქციელზე და ვაჟკაცური თავგანწირვის მაგალითებზე უნდა აღიზარდოს მომავალი თაობა. ძალაუნებურად მახსენდება ცხინვალში ქართველი ჯარისკაცების მოედანზე დაჩოქების სამარცხვინო ამბავი. დანიელ წურწუმიას, ჩემი აზრით, საქართველოს გმირის წოდება უნდა მიენიჭოს. ამ ამბავმა სულით ხორცამდე შემძრა, მაგრამ გულიც გამიმაგრა იმიტომ, რომ საქართველოს კიდევ ჰყავს ასეთი ვაჟკაცები."

**ნატო შარვაძე,** ფილოლოგი, 45 წლის: "გალელი ქართველები იძულებულნი იყვნენ, ოფიციალური შეთანხმების გარეშე არალეგალურად დაბრუნებულიყვნენ, რადგან აქაც გაუსაძლისი ვითარება იყო მათთვის... და რა ხდება? ყოველდღიურად არის მათი დამცირების, შეურაცხყოფის და მკვლელობის ფაქტები. შარშაწნწინ ჩემი ნაცნობის მამას ფეხი გადაუცხრილეს იმის გამო, რომ აფხაზებს თხილის პლანტაციაში მონასავით სამუშაოდ არ გაჰყვა. ასეთი ფაქტი მრავალია, ჩვენი ხელისუფლება კი უძლურია ამ ხალხის დასაცავად. დროა, რაღაც იღონონ და ისინი საერთაშორისო ძალების ჩარევით მაინც დაიცვან, თორემ იმ ხალხისთვის ომი და სისხლისღვრა ისევ გრძელდება. ეს უნდა გაიგოს საერთაშორისო საზოგადოებამ ყოველდღიური ინფორმაციის და ფაქტობრივი მასალის მიწოდების გზით. რაღაც ელემენტარულს მაინც მივაღწიოთ, რომ ჩვენს მოქალაქეებს ასე ხელაღებით აღარ ხოცავდნენ."

**ლადო ფანცულაია**, სტუდენტი, 22 წლის: "ძალიან ძნელია, ალბათ, იმ სიტუაციაში, რაშიც დანიელ წურწუმია იყო, ასე ვაჟკაცურად მოიქცე, რადგან მან ხომ იცოდა, რომ ვერავინ დაიცავდა და უარს რომ ამბობდა, უკვე სიკვდილს ჩახედა თვალებში. მარტო მის ოჯახს კი არა, მთელ საქართველოს მინდა მივუსამძიმრო მისი დაღუპვის გამო, იმიტომ, რომ საქართველომ ამ ომში კიდევ ერთი ღირსეული შვილი დაკარგა."

**ნონა გელაშვილი,** მხატვარი, 29 წლის: "ეს არის კიდევ ერთი ნათელი მაგალითი, თუ ვინ ვინ არის. ეს არის აფხაზების კიდევ ერთი წარმოუდგენელი მხეცობა. დანიელ წურწუმია კი ცოტნე დადიანის ღირსეული შთამომავალია იმ განსხვავებით, რომ ცოტნეს გმირობა მტერმაც კი დააფასა. მაგრამ სხვისი გმირობა რომ დააფასო, თავად უნდა გქონდეს რაიმე ჭეშმარიტი ადამიანური ღირებულება."

**ბადრი სანთელაძე,** ინჟინერი, 63 წლის: "ძალიან ცუდი ფაქტია, მაგრამ ამ ფაქტმა არ უნდა გამოიწვიოს სიტუაციის დაძაბვა, რადგან მე არა მგონია, თვითონ აფხაზ ხალხს და მოსახლეობას, ჩვეულებრივ ადამიანებს ასეთი რამ მოსწონდეს. მათაც ურჩევნიათ მშვიდობიანი და წყნარი ცხოვრება. ასეთი რამ, სამწუხაროდ, თბილისშიც ხდება, რომ პოლიცია სცემს კაცს და ზოგჯერ ეს ამბავი სიკვდილსაც იწვევს. ჩემს ძმაკაცს, რომელიც ციხეში უბრალო რაღაცის გამო იჯდა, დაკითხვის დროს პოლიციამ თავში ურტყა. საწყალს თავში კიბო გაუჩნდა და 3 წლის წინათ გარდაიცვალა."

**ნათელა მშველიძე,** მასწავლებელი, 48 წლის: "ჩვენმა ხელისუფლებამ უნდა მოსთხოვოს საერთაშორისო ორგანიზაციებს ამ ფაქტის გამოძიება და დამნაშავეების დასჯა; და საერთოდ, ყველა მსგავს ფაქტზე უნდა ეცადოს, რომ სისხლის სამართლის საქმე აღიძრას. სხვა საქმეა, როგორ მოხერხდება დამნაშავეთა დასჯა, მაგრამ ჩვენ ყოველმხრივ უნდა ვეცადოთ. იმედია, ჩვენი მთავრობა დაღუპულის ოჯახს დახმარების ხელს გაუწვდის და გაჭირვებაში თანაგრძნობას მაინც გაუწევს."

## 2005 - დევნილთა ჯანმრთელობის წელი




ჰუმანიტარული აქცია დევნილებისათვის.

გალის რაიონში დაბრუნებული მოსახლეობის წინაშე მრავალი ყოფითი და სოციალური პრობლემა დგას. მათ შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია სამედიცინო მომსახურების საკითხი, რომელიც, გარკვეულ მიზეზთა გამო, სერიოზულ სირთულეებთანაა დაკავშირებული.

ბოლო წლებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ გარკვეული ღონისძიებები ხორციელდება აღნიშნული პრობლემების გარკვეულწილად დარეგულირებისათვის. რაიონის ენგურისპირა სოფლებში (საბერიო, ნაბაკევი, ოტობაია) გახსნილია საექიმო ამბულატორიები, რომელიც სახელმწიფო (ფედერალური) ჯანდაცვითი პროგრამების ფარგლებში დაფინანსების პირობებში, ადგილობრივ მოსახლეობას პირველად ამბულატორიულ-საკონსულტაციო დახმარებას უწევს.

მასშტაბური პროგრამის - "2005-დევნილთა ჯანმრთელობის წელი" - ფარგლებში მიმდინარე წლის მაისის ბოლოს ზუგდიდში ჩატარებული აქციის დროს დევნილ მოსახლეობასთან ერთად პროფილაქტიკური სამედიცინო გასინჯვებით მოცული იქნა გალის რაიონის ე.წ. ქვედა ზონის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილიც.

9 ოქტომბერს გალის რაიონის გამგეობის ჯანდაცვის სამსახურმა მიზნობრივი პრევენციული ღონისძიება ჩაატარა წალენჯიხის რაიონის სოფელ ლიაში, რისთვისაც ადგილზე მივლინებული იყო სხვადასხვა პროფილის ექიმ-სპეციალისტებით დაკომპლექტებული სამედიცინო ბრიგადა. ბრიგადა აღჭურვილი იყო თანამედროვე სადიაგნოსტიკო აპარატურით (ულტრაბგერითი სკანერი, ელექტროკარდიოგრაფი), აგრეთვე, ლაბორატორიული მოწყობილობით.

გაღრმავებული სამედიცინო გასინჯვების პროცესში, რომელმაც მოიცვა რაიონის ე.წ. ზედა ზონის (საბერიო და მიმდებარე სოფლები) სკოლების პედაგოგები და მოსწავლეები (სულ 300-მდე პირი) გამოვლინდა რიგი დაავადებებისა. გამოვლენილ ავადმყოფებზე გაიცა სათანადო მედიკამენტები. ამასთან, ცალკეულ შემთხვევებში, განისაზღვრა დამატებითი გამოკვლევებისა და მკურნალობის ტაქტიკა, გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია საერთაშორისო ორგანიზაცია "ამქორი" (ბატონი გიორგი გედევანიშვილი), რომელმაც აქციაში ჩართულ ყველა ბავშვს გადასცა წიგნები, ჰიგიენური დანიშნულების საგნების კომპლექტები.

აქციაში აქტიური მონაწილეობა მიიღო მისმა ერთ-ერთმა ინიციატორმა, ქართველ და აფხაზ შემოქმედთა კავშირმა "მიტევებამ" (ქალბატონი ლეილა თორია), რომელმაც ზედა ზონის 5 სკოლის პედაგოგებს სამომხმარებლო პროდუქცია დაურიგა.

აქცია ორგანიზებულად, მაღალპროფესიულ დონეზე ჩატარდა, რაშიც დიდი როლი შეასრულა გალის რაიონის გამგეობის (ბატონ ბადრი ბულისკირია) დიდმა დაინტერესებამ და მხარდაჭერამ, ჯანდაცვის სამსახურის უფროსის ქალბატონ ქეთევან კვარაცხელიას მონდომებამ, აქციის მონაწილე თითოეული სპეციალისტის პროფესიონალიზმმა და გულისხმიერებამ.

აღნიშნულ ღონისძიებას დადებითი რეზონანსი მოჰყვა დევნილებში და გალის რაიონში მცხოვრებთა შორის.

მოსახლეობა იმედს იტოვებს, რომ აფხაზეთის მთავრობა და გალის რაიონის ხელმძღვანელობა ანალოგიურ ღონისძიებებს შემდეგშიც განახორციელებს.

***აფხაზეთის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პრესსამსახური***

**პროექტი "თქვენი აფხაზეთი"**
ჩვენი პოვნა შეგიძლიათ: გაზეთი **"24 საათი",** ყოველ ოთხშაბათს
და საიტზე - www.yourabkhazia.ge;
www.forum.yourabkhazia.ge

პროექტის მხარდამჭერი conciliation resources

## დევნილი წვევამდელები

ზაზა ფაჩუაშვილი

*გალში მცხოვრები მიტოვებული ქართველები აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებისაგან მრავალი მიზეზის გამო განიცდიან ზეწოლას, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, განსაკუთრებული პრობლემები საგაზაფხულო და საშემოდგომო გაწვევის დროს აქვთ. დე ფაქტოელები ყოველ მხრივ ცდილობენ ქართველი წვევამდელების აფხაზურ ჯარში გაწვევას, ქართველები კი – უკანონო სამსახურის თავიდან აცილებას. ამ ფაქტთან დაკავშირებით გაეროს მისიის ხელმძღვანელს საქართველოში ჰაიდი ტალიავინის, როგორც მან განაცხადა, ინფორმაცია არ გააჩნია (იხილეთ ქვემოთ). რაც შეეხება გალის გამგებლის მოადგილეს გიორგი ლომიას და საზოგადოება "სამურზაყანოს" თავმჯდომარეს, გალელ მურმან ყოლბაიას, მათ ინფორმაცია საკმარისზე მეტი აქვთ.*

### მიტოვებული გმირის სიკვდილი

გვემისა და წამებისაგან მიყენებული დაზიანებების შედეგად სოხუმის საავადმყოფოში გარდაიცვალა გალში მცხოვრები, 21 წლის დანიელ წურწუმია, რომელიც 5 დღის წინათ იძულებით გაიწვიეს აფხაზურ ჯარში. წვევამდელმა თავი მაშინ გაწირა, როცა აუღიარებელი ქვეყნის სამხედრო ფიცის მიღებისაგან დემონსტრაციულად განაცხადა უარი. მერე რაც მოხდებოდა, ძნელი წარმოსადგენი არ არის. უგონო მდგომარეობაში მყოფი დანიელ წურწუმია საავადმყოფოში მიყვანიდან ორ საათში გარდაიცვალა. რა გაეწყობა, გალში მიტოვებული ქართული მოსახლეობისთვის გმირული ცხოვრება ერთადერთი გამოსავალია.

### გიორგი ლომია:

**- ბატონო გიორგი, მართალია, რომ გალში მცხოვრებ ქართველ წვევამდელებს დე ფაქტო ხელისუფლება აფხაზურ ჯარში წასვლას აიძულებს?**

- მართალია. და ვინც ახერხებს, ჩვენსკენ მორბის, ვინც არა, ისინი იძულებით მიჰყავთ აფხაზურ ჯარში. სამწუხაროდ, ჩვენ ამის წინააღმდეგ, ჯერჯერობით, ვერაფერს ვაკეთებთ. ერთი კი აქვე უნდა ითქვას – ის ბავშვები, რომლებიც იძულებით გაიწვიეს აფხაზურ ჯარში, მკაცრად არ უნდა განვსაჯოთ. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს ხალხი 12 წელია, იქ ცხოვრობს, სერიოზულ ზეწოლას განიცდის და, დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, ისინი საფრთხის ქვეშ აყენებენ ახლობლების სიცოცხლეს. რამდენი სახლი გადაწვეს, რამდენი ადამიანი მოკლეს. გალში ომის მერე 2000-მდე ადამიანია დაღუპული. ეს დღემდე ცეცხლოვანი ტერიტორიაა.

**- ბევრია იძულებით გაწვევის ფაქტები?**

- გალში, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, 88 ასეთი ფაქტი დაფიქსირდა. ორი ჯარისკაცი იქაურ ჯარს გამოექცა კიდეც. ისინი ახლა ქართულ ჯარში მსახურობენ.

### მურმან ყოლბაია:

**- ბატონო მურმან, რა მდგომარეობაა გალში ქართველი წვევამდელების აფხაზურ ჯარში გაწვევასთან დაკავშირებით?**

- ამასთან დაკავშირებით გალში ქართულ მოსახლეობას ძალიან ავიწროებენ. აძალებენ წასვლას, ეს ნამდვილია, მაგრამ წასვლის ფაქტები მე არ ვიცი. თუმცა, მრავალი ისეთი ფაქტი ვიცი, როცა გალელი წვევამდელები იძულებულნი არიან, დატოვონ გალის ტერიტორია. სხვათა შორის, ასეთ შემთხვევებში აფხაზები გაქცეული წვევამდელის მთელ ოჯახს აიძულებენ, რომ ასევე დატოვოს გალის ტერიტორია.

გალში მოკალათებულები არიან აფხაზი კრიმინალები, ვითომ კომისარიატია, და რაც უნდათ, იმას აკეთებენ.

**- ასეთი ვითარება მხოლოდ გაწვევის პერიოდშია თუ სხვა დროსაც?**

- საერთოდ, საგაზაფხულო და საშემოდგომო გაწვევის დროს ქართველი წვევამდელები გალის ტერიტორიას ტოვებენ, მაგრამ აფხაზებს ისინი აღრიცხული ჰყავთ და მათ კვალდაკვალ ოჯახებსაც ერეკებიან. ასეთი ფაქტი მრავლადაა.

**- გამოქცევის გარდა, სხვა საშველი არ არის?**

- ვისაც გამოსაქცევი არა აქვს, მის ოჯახს ფულს შეაწერენ ხოლმე, რაღაცას გააყიდინებენ და ასე...

**- მოქალაქეობის მიღებაზეც ხომ არ არის ზეწოლა?**

- პირდაპირი და კონკრეტული ზეწოლის ფაქტები არ არის, მაგრამ აფხაზეთის ტელევიზიით უკვე დაიწყეს იმაზე ლაპარაკი, რომ აფხაზეთის ყველა მცხოვრებმა უნდა მიიღოს მოქალაქეობა. ალბათ, ხალხს იმას აჩვევენ, რასაც მომავალში აპირებენ.

ერთი სიტყვით, გალში მდგომარეობა ისევ ისე დაძაბულია, როგორც იყო.

## შუამდგომლობა

საქართველოს პრეზიდენტს

ბატონო პრეზიდენტო, 2005 წლის 5 ნოემბერს ქალაქ სოხუმის საავადმყოფოში გვემისაგან გარდაიცვალა საქართველოს მოქალაქე, გალის რაიონის მკვიდრი, 1984 წელს დაბადებული დანიელ წურწუმია, რომელიც მისი ნების საწინააღმდეგოდ გაიწვიეს უკანონო შეიარაღებულ ფორმირებაში. ფორმირებაში, რომელიც ემსახურება იმ რეჟიმს, რომელმაც აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ძალაუფლება ჩაიგდო ხელში.

დანიელ წურწუმიამ, რომელმაც ბოლომდე შეასრულა საქართველოს მოქალაქის მოვალეობა, უარი განაცხადა უკანონო რეჟიმის "ფიცის" მიღებისაგან, რის შემდეგაც დაიწყო მისი მრავალსაათიანი წამება. ამის მიუხედავად, დანიელ წურწუმია ქართული სახელმწიფოს ერთგული დარჩა, რის გამოც იგი ცემით მოკლეს. მიგვაჩნია, რომ დანიელ წურწუმიამ გამოიჩინა სამაგალითო ვაჟკაცობა და ჩაიდინა "საქართველოს გმირის წოდების" ღირსი გმირობა.

გთხოვთ, დანიელ წურწუმია წარადგინოთ საქართველოს გმირის წოდებაზე.

*"საერთაშორისო საინიციატივო ჯგუფი – აფხაზეთი"*

*ალექს სიგუა, აშშ*
*დავით ბერიტაშვილი, რუსეთი*
*დავით თარხნიშვილი, თბილისი*
*გიორგი ზოიძე, ესპანეთი*
*გოჩა ლაგირვანიძე, უკრაინა*
*სოსლან ტაბუევი, ვლადიკავკაზი*

*თენგიზ ანჯაფარიძე, გერმანია*
*გუჯა მიქავა, ზუგდიდი*
*კახა ქვარაია, სანკტ-პეტერბურგი*
*ლადო ტაბატაძე, ნიდერლანდი*
*კონსტანტინე ბერიძე, ლოს ანჟელესი*
*გიორგი ჯინჯიხაძე, კანადა*
*დოდო ვადაკარიჯა, ლატვია*

*და სხვა, სულ 90 ხელმოწერა*

## იქ, სადაც ქართველები და აფხაზები საქართველოს სადღეგრძელოს ერთად სვამენ

ეკა ხორბუანი

*კოდორის ხეობა - აფხაზეთის სვანეთი 45 კმ-ზე ვრცელდება. აქ მდებარეობს სოფელი ქვაფშარა, უძველესი ქართული სოფელი. ქვაფშარაზე გადის პირობითი საზღვარი. დე ფაქტო ხელისუფლება ამ სოფელს ვერ აკონტროლებს, ამიტომაც ამბობენ, რომ ქვაფშარა აფხაზეთის დაბრუნების და აფხაზეთში დაბრუნების ერთ-ერთი საფუძველია.*

მას შემდეგ, რაც აფხაზეთში საომარი მოქმედებები დასრულდა, პირობითი ზღვარი კოდორის ხეობაზე გაიდო. მისი გადალახვა დღემდე ვერავინ მოახერხა და ამის მიზეზი ისიცაა, რომ ხეობაში უკანასკნელ პერიოდამდე ოფიციალურად მოქმედებდა ბატალიონი "მონადირე", რომელიც ოფიციალურად კი გაუქმებულია, მაგრამ ხეობის გულადი მოსახლეობა თეორიული აგრესიისგან მიწა-წყალს მაინც იცავს. ხეობის შენარჩუნების მიზეზი ისიცაა, რომ სვანებსა და აფხაზეთის დანარჩენი ტერიტორიის მკვიდრ აფხაზებს ოდითგან კეთილმეზობლური ურთიერთობა ჰქონდათ. ეს დამოკიდებულება დღემდე გრძელდება. დადასტურებული ფაქტია, რომ საუკუნეების მანძილზე ისინი ქართულ მიწას ერთად იცავდნენ.

ყოველ ხუთ დღეში ერთხელ ხის სახლი ქვაფშარაში ათ ჯარისკაცს სამორიგეოდ ელოდება. არა მხოლოდ ამ, სხვა პოსტებზეც ზამთარ-ზაფხულ ადგილობრივები დგანან, ყველაფერს აკვირდებიან. ადამიანები, რომლებიც პერიოდულად იცვლებიან, ამბობენ, რომ ხეობას არავის დაანებებენ.



ზურაბ ჭაჭვლიანი "მონადირეში" ყოფნის დროს.

ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

**"ჩვენ არა მარტო ჩვენს ოჯახებს, მთელ საქართველოს ვიცავთ. ჩვენ თუ დაგვიპყრობენ, ვითარება უკიდურესად გართულდება. რა თქმა უნდა, რთულია, როდესაც სიკვდილს თვალებში უყურებ, მაგრამ როდესაც იცი, რომ შენი სიკვდილით შეიძლება ქვეყანა, ოჯახი და შენი ხალხი იხსნა, საკუთარი თავი აღარ გადარდებს. აფხაზების თითქმის ყველა მესაზღვრეს ვიცნობთ. ისინი ხშირად არღვევენ საზღვარს, ჩვენთან გადმოდიან და ერთად ვსვამთ საქართველოს სადღეგრძელოს. სიკვდილის მოლოდინი არავის მოსწონს, ისინიც ოცნებობენ მშვიდობაზე,"** - ამბობს ქართველი ზურაბ ჯაჭვლიანი, ერთ-ერთი მათგანი, ვინც კოდორის ხეობაზე გამავალ პირობით და დროებით საზღვარს აკონტროლებს.

კოდორის ხეობა აფხაზეთის ერთადერთი ტერიტორიაა, რომელზეც საქართველოს იურისდიქცია ვრცელდება. უგზოობა, კომუნიკაციის საშუალებათა სიმწირე და დაუსაქმებლობა რეგიონის უმთავრესი პრობლემაა.

თბილისში იციან, რომ აუცილებელია ხეობის მოსახლეობაზე ზრუნვა და იქ წესრიგის დამყარება, თუმცა ისიც ფაქტია, რომ, რეგიონის რეაბილიტაციის, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების და წესრიგის დამყარებისთვის აქამდე განხორციელებულ არაერთ მნიშვნელოვან პროგრამას მხოლოდ უმნიშვნელო შედეგები მოჰყვა.

მიუხედავად იმისა, რომ ხეობას ელექტროენერგია არ მიეწოდება ან ცუდად მიეწოდება, მიუხედავად იმისა, რომ ხეობის სოფელთა უმრავლესობაში არც რადიო და ტელემაუწყებლობა ვრცელდება, ეს პრობლემები მაინც მეორეხარისხოვანია. ხეობაში ყველაზე მეტად იმაზე წუხან, რომ 9-10 თვის განმავლობაში ხეობამდე მისასვლელი ერთადერთი გზა ჩახერგილია, ხოლო ახალი – ჭუბერი-საკენის გზის მონაკვეთის მშენებლობა გაურკვეველი მიზეზების გამო არ დაწყებულა.

**"მოსახლეობის შედარებით შეძლებული ნაწილი რამდენიმე ქართულ არხს თვითნაკეთი ანტენებით ვუყურებთ. ბევრისთვის ესეც მიუწვდომელია, მაგრამ ტელევიზიის გარეშე გავძლებთ, აი, უგზოობა კი აუტანელია,** - ამბობს ხეობის მკვიდრი, 67 წლის ჯანო კვიციანი, – **სვანს არაფერი აქვს აფხაზთან გასაყოფი. ჩვენ ჩვენს მიწას ვითხოვთ, სხვისი არაფერი გვჭირდება. როგორც აფხაზები ამბობენ, არც მათ უნდათ ომი. ეს ყველაფერი სხვისი ბრალია, თორემ ჩვეულებრივი ხალხი ისევ ძველ დროს ნატრობს. აი, ზამთრდება უკვე და მაისამდე რამე რომ გაგვიჭირდეს, ვინ არის ჩვენი პატრონი? აქ ზამთარში ხალხი იმის გამო კვდება, რომ დროულად სამედიცინო დახმარებასაც ვერ უწევენ."**

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ინფორმაციით, კოდორის ხეობის მოსახლეობაზე სამედიცინო დახმარების მდგომარეობა მუდმივად კონტროლდება, რეგიონში 9 სამედიცინო პუნქტია და 32 მუშაკია დასაქმებული. მათ საკმარისად მიეწოდებათ მედიკამენტებიც და საჭირო ინვენტარიც.

კოდორის ხეობის საავადმყოფოს მთავარი ექიმი ლევან კორძაია: **"ყურადღებას გვაქცევენ, მაგრამ უგზოობის გამო სრულ ვაკუუმში ზამთრიდან მოვექცევით ხოლმე. წელს ბუნება გაგვიწყრა და ჩვენთან მოსასვლელი ყველა გზა უკვე ჩაიკეტა. დიდი იმედი მაქვს, ქვეყანა ყურადღებას არ მოგვაკლებს და ჩვენს გასაჭირს გულთან ახლოს მიიტანს. ჯანდაცვის სამინისტროდან თვეში 961 ლარის ოდენობის მედიკამენტი გვეძლევა, მაგრამ ამ მედიკამენტების ხეობამდე ჩატანას ხშირად ვერ ვახერხებთ. ჩვენს პრობლემას ვერტმფრენის რეისები მოაგვარებდა და იმედი გვაქვს, სახელმწიფო ამით დაგვეხმარება. ხელფასების გაცემა დროულად ხერხდება. ჩვენი ძირითადი და წლების მანძილზე მოუგვარებელი პრობლემა მიმოსვლის საშუალებათა პრაქტიკული არქონაა. ამ პრობლემის გადაჭრა ყველა დანარჩენს მოაგვარებდა. მომავალი წლისთვის საავადმყოფოს რეკონსტრუქციასაც დაგვპირდნენ."**

კოდორის ხეობის გამგებელი რევაზ კორძაია: "რა თქმა უნდა, ძალიან მძიმე მდგომარეობაში ვართ. ზამთარი ახლოვდება და ამ მდგომარეობას უფრო მწვავედ ვგრძნობთ. ბევრი პრობლემა მოგვარდა, მეტ-ნაკლებად სატელეფონო კავშირსაც ვამყარებთ დანარჩენ საქართველოსთან; მთავრობამ ზამთრის მომარაგების პროგრამაც განახორციელა, მაგრამ, მიმოსვლის აღდგენა აუცილებელია."

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საინფორმაციო პოლიტიკის დეპარტამენტში ამბობენ, რომ აფხაზეთის მთავრობამ მიმდინარე წელს უმნიშვნელოვანესი - ჯანდაცვის პროგრამა განახორციელა კოდორის ხეობაში. გარდა ამისა, ხეობა 520 ათასი ლარის ღირებულების პროდუქტით მომარაგდა.

## მოწოდებები და რეკომენდაციები გაეროს შესრულებით

ზაზა ფაჩუაშვილი

*საქართველოში გაეროს დამკვირვებელთა მისიის ხელმძღვანელმა ჰაიდი ტალიავინიმ პრესკონფერენცია გამართა, რომელზეც ისაუბრა ნიუ-იორკში უშიშროების საბჭოს სხდომის შესახებ, სადაც აფხაზეთის საკითხი განიხილეს. შემდეგ ქალბატონმა ჰაიდიმ ჟურნალისტთა შეკითხვებს უპასუხა.*

**ჰაიდი ტალიავინი:** "ყოველ სამ თვეში გაეროს გენერალური მდივანი კოფი ანანი უშიშროების საბჭოს მოახსენებს ანგარიშს ჩვენი მისიის საქმიანობის შესახებ. ბოლო მოხსენების დროს, დაახლოებით 10 დღის წინათ, უშიშროების საბჭოზე საუბარი იყო რკინიგზაზე, ეკონომიკურ რეაბილიტაციაზე, დევნილების დაბრუნებაზე და უსაფრთხოების გარანტიებზე. განსაკუთრებული ყურადღება ომის განუახლებლობის დეკლარაციაზე გამახვილდა. უშიშროების საბჭომ მოუწოდა ქართულ და აფხაზურ მხარეებს, თავი შეიკავონ ისეთი ქმედებებისა და განცხადებებისაგან, რაც სამშვიდობო პროცესს ხელს შეუშლის.

კოფი ანანმა მოუწოდა აფხაზურ მხარეს, შეასრულოს თავისი დაპირებები, რაც დაკავშირებულია გალის რაიონში ადამიანის უფლებების დაცვის ოფისის გახსნასა და სამოქალაქო პოლიციის კომპონენტის ამოქმედებასთან.



ჰაიდი ტალიავინი.

მოლაპარაკებების პროცესის განახლებას უშიშროების საბჭო ჩვენი მისიის მიღწევად აფასებს. დამაიმედებელია ორივე მხარის დაინტერესება ამ პროცესისადმი. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ამ მოლაპარაკებებზე თანდათანობით გაჩნდება ნდობის ფაქტორი და სამშვიდობო შეთანხმება და შესაბამისი დოკუმენტის ხელმოწერა მოხდება.

ევროკავშირთან ერთად ვაპირებთ 4 მილიონი ევროს ღირებულების ეკონომიკური პროექტების განხორციელებას გალის, ზუგდიდის, ოჩამჩირისა და ტყვარჩელის რაიონებში. ვიმედოვნებთ, რომ ეს პროექტები კონფლიქტის ორივე მხარის მოსახლეობის საცხოვრებელ პირობებს გააუმჯობესებს და გვინდა, რომ ამ პროექტებში ორივე – ქართული და აფხაზური მხარეების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. ეს თანხა პირველი საჭიროების ინფრასტრუქტურის აღორძინებას უნდა მოხმარდეს – საავადმყოფოები, წყლის მომარაგება, საკანალიზაციო გაყვანილობა, სკოლები და ა.შ არა მგონია, რომელიმე ჭკუათმყოფელი წავიდეს ამ პროექტების წინააღმდეგ, რომლებიც მიზნად ადგილობრივი მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას ისახავს."

**- სერგეი შამბამ ეკონომიკურ პროექტებში ქართული მხარის წარმომადგენლების მონაწილეობაზე უარი განაცხადა.**

- ეს, ალბათ, გაუგებრობაა. საქმე ისაა, რომ პროექტის ავტორებს ორივე მხარის თანხმობა სჭირდებათ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მხარეებმა მაინცდამაინც ერთად იმუშაონ, ან ერთმანეთის ტერიტორიაზე გადავიდნენ. ჩვენ ამას განვუმარტავთ მხარეებს და, მჯერა, ორივე მხრიდან თანხმობას მივიღებთ.

**- თუ არსებობს სამშვიდობოების გაყვანის შესაძლებლობა საქართველოდან და როგორ უყურებენ ამ საკითხს გაეროში?**

- ამ კერძო შემთხვევაში, გაერო ამ საკითხს არ განიხილავს. ყოველი ქვეყნის პარლამენტს აქვს უფლება, მიიღოს გადაწყვეტილება, წარმოადგინოს წინადადებები და მიიღოს რეზოლუციები, მაგრამ გაეროში იმ საკითხებს, რომლებიც მის კომპეტენციაში არ შედის, არ განიხილავს.

**- რა მდგომარეობაა დევნილების დაბრუნებასთან დაკავშირებით?**

- ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია. ჩვენ ამჟამად ვმუშაობთ დოკუმენტზე, რომლის თანახმად, ორივე მხარემ ვალდებულება უნდა აიღოს, რომ ხელს შეუწყობს დევნილების დაბრუნებას გალის რაიონში. იმედია, ამ დოკუმენტს ხელი მაღალ დონეზე მოეწერება. მეორე მნიშვნელოვანი საკითხია დევნილების რეგისტრაცია, რომელიც მალე დაიწყება.

**- გალში ადგილი აქვს ადამიანის უფლებების დარღვევის შემთხვევებს. მაგალითად, ქართულ მოსახლეობას აიძულებენ მიიღონ აფხაზეთის მოქალაქეობა და იმსახურონ აფხაზურ ჯარში. ბაგაფში პირდაპირ აცხადებს, რომ ვინც ამას არ გააკეთებს, მის წინააღმდეგ მიღებული იქნება შესაბამისი ზომები. თქვენი გალის ოფისი კი ამის შესახებ დუმს. რატომ?**

- მე ადამიანის უფლებების დარღვევის საკითხს მხარეებთან ყოველი შეხვედრის დროს ვაყენებ. ჩემი ღრმა რწმენაა, რომ არც ერთმა მხარემ არ უნდა გადადგას ისეთი ნაბიჯი, რომელიც ხელს შეუშლის კონფლიქტის სამართლიან და ღირსეულ მოგვარებას. რაც შეეხება თქვენ მიერ მოყვანილ შემთხვევას, მე მას საფუძვლიანად შევისწავლი და შესაბამის რეაქციას გავაკეთებ.

დედაქალაქი

# ძველ თბილისელთა სახლები

ნესტან თათარაშვილი
არქიტექტორ-რესტავრატორი

ამჟამად არქიტექტურულ-სამშენებლო სფეროში შექმნილი მძიმე ვითარებიდან გამომდინარე, კარგი იქნებოდა მოგვეხდინა ძველ და თანამედროვე თბილისელთა საცხოვრებელი სახლების შედარებითი ანალიზი, მაგრამ ახლანდელი მაგალითები იმდენად უსახურია და მათი ასეთი ფორმით განხილვა ისეთი შეურაცხმყოფელი იქნება ამ სახლების მფლობელებისთვის, რომ ვარჩიეთ ხელი აგვეღო ჩვენს განზრახვაზე. მით უმეტეს, რომ ცუდი საცხოვრისის პატრონს ჩვენი კომენტარი აღარ სჭირდება, რადგან ცუდი სახლი პირველ რიგში თავად მისი მფლობელისთვის არის უბედურება. ამიტომ ისედაც წაგებულ მდგომარეობაში მყოფი ადამიანისთვის თავისი უძრავი ქონების გაბიაბრუების საჯარო ჩვენება ეთიკურად არ მივიჩნიეთ.

რაც შეეხება ამ ნაგებობათა ავტორებს და ზოგადად, არქიტექტურულ კრიტიკას, დღეს ის ისეთი საჭირო და გადაუდებელია, როგორც არასდროს. ცხადია, ამის გარეშე ეს დარგი ვერ განვითარდება. ამიტომ ძალიან ცუდია და, ამასთან, შემაშფოთებელიც, რომ ასეთი მნიშვნელოვანი და საჭირო საქმე არა და არ ჩნდება ჩვენს სინამდვილეში.

ადამიანები, ვისაც იმის შეძლება აქვთ, რომ ააშენონ საკუთარი სახლები, თავიანთ თავზე, ეპოქასა და სახელმწიფოზეც სწორედ ამ სახლებით ლაპარაკობენ. ამიტომ დავუბრუნდეთ ჩვენს წარსულს და გავიხსენოთ საუკუნის წინანდელი ერთი თბილისელი მოქალაქე, მისი სახლი და ამ სახლის არქიტექტორი.



სახლი ჯავახიშვილის ქუჩაზე.



ჭიშკარი.

ძველი თბილისელი მეწარმე გიორგი ლაზარაშვილი პროფესიით თერძი იყო და ქართული ჩოხების ოსტატად ითვლებოდა. იგი დაიბადა თბილისელი მოქალაქის ანდრია ლაზარაშვილისა და ნინო შიოშვილის ოჯახში 1858 წელს. ანდრია წარმოშობით გორის რაიონში მდებარე სოფელ ხვითიდან იყო. ოთხი შვილის მამას მეუღლე ადრე გარდაეცვალა. მამამ 12 წლის დაობლებული გიორგი აზიური ტანსაცმლის მკერავს მიაბარა. 18 წლისა ის უკვე ისეთი ოსტატი იყო, რომ თავისმა მასწავლებელმა მეწილედ აიყვანა საქმეში. ნიჭიერი და საოცრად მუყაითი გიორგი მეორე გილდიის ვაჭარი ხდება. ცოლად ირთავს ეკატერინე ჯირაშვილს და XX საუკუნის დასაწყისში ქალაქის ცენტრალურ უბანში დიდი სახლის აგებას გადაწყვეტს. სახლი ყოფილი ნიკოლოზისა და ხიდის ქუჩების (ახლანდელი ივანე ჯავახიშვილისა და მოსე გოგიბერიძის) გადაკვეთაზე უნდა აშენებულიყო.

გიორგი ლაზარაშვილს ერთადერთი ქალიშვილი ჰყავდა - ოლღა. მან თბილისის წმინდა ნინოს სასწავლებელში მიიღო განათლება და ცოლად გაჰყვა სიმონ გრძელიშვილს, რომელიც სახელმოხვეჭილი მათემატიკის მასწავლებელი იყო. გიორგი ლაზარაშვილის სიძეს, სიმონ გრძელიშვილს, XIX-XX სს-ის მიჯნაზე ბევრი ცნობილი ახლობელი ჰყავდა. მოგვარეების გარდა (იურისტი გიორგი გრძელიშვილი, ექიმები კონსტანტინე და ირაკლი გრძელიშვილები, მცხეთის ქალთა მონასტრის წინამძღვარი გიორგი გრძელიშვილი, მხატვარი კოტე გრძელიშვილი, არქეოლოგი იოსებ გრძელიშვილი), მას ენათესავებოდნენ მსახიობები ელისაბედ ჩერქეზიშვილი და დავით გამრეკელი, პოეტი მარიჯან ტყემალაძე, ანა ხახუტაშვილი, იროდიონ სონღულაშვილი, ისტორიკოსი ნიკო ბერძენიშვილი. ამ ოჯახში ხშირად იკრიბებოდა იმდროინდელი მოწინავე ქართული საზოგადოება. გიორგი ლაზარაშვილის შთამომავლობა, ნოდარ და სიმონ გრძელიშვილები ახლაც ამ სახლში ცხოვრობენ ოჯახებითურთ. სწორედ მათი დამსახურებაა, რომ მოხერხდა თქვენთვის ამ მშვენიერი სახლის ისტორიის წარდგენა.

რაც შეეხება შენობის ავტორს: გიორგი ლაზარაშვილი საკუთარი სახლის პროექტს სახელოვან ოსტატს გრიგოლ ქურდიანს უკვეთავს. 1898 წელს ხარკოვის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებული ინჟინერი გრიგოლ ქურდიანი (1873-1957) წარმოშობით სოფელ საგარეჯოდან იყო. საშუალო განათლება თბილისის რეალურ სასწავლებელში მიიღო. მთელი მისი პროფესიული მოღვაწეობაც თბილისთან არის დაკავშირებული. ჯერ თვითმმართველობაში მოეწყო საქალაქო ტექნიკოსად, 1901 წლიდან კი საბჭოური ხანის დადგომამდე თბილისის წყალსადენს ხელმძღვანელობდა. 1924-38 წწ-ში მუშაობდა თბილისის კომუნალური მეურნების საქალაქო სამმართველოში.

საფუძველი ჩაუყარა ნატახტრისა და ბულაჩაურის წყალსადენების საკვლევაძიებო სამუშაოებს. მონაწილეობდა თბილისის ქუჩების რეკონსტრუქციაში. გარდა ამისა, პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწეოდა თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში. მის სახელს უკავშირდება პირველად ქართულ ენაზე ტექნიკური სახელმძღვანელოების გამოცემა. ასეთ მრავალმხრივ მოღვაწეობასთან ერთად გრიგოლ ქურდიანი არქიტექტორადაც მუშაობდა. აპროექტებდა ინდივიდუალურ საცხოვრებელ სახლებს. საქართველოს ისტორიულ არქივში მის მიერ შესრულებული ბევრი პროექტია დაცული. აღსანიშნავია მოდერნის სტილში შესრულებული საცხოვრებელი სახლის პროექტი (1904წ.) ეგნატე ნინოშვილის ქ.N28, რომელიც წარმატებით განხორციელდა და, მართალია, დაზიანებებითა და გადაკეთებებით, მაგრამ დღემდე მაინც შემოგვრჩა.

გიორგი ლაზარაშვილის სახლის პროექტი 1904 წელს არის შესრულებული და, გრიგოლ ქურდიანის სხვა პროექტთა მსგავსად, მაღალი ოსტატობითა და დახვეწილი გემოვნებით არის შესრულებული. პროექტის ასლი ლაზარაშვილის შთამომავლებთან ინახება. შენობა სამსართულიანია. სახლის ფასადი ევროპულ სტილთა ნაზავს, ეკლექტიკურ ხასიათს ატარებს. ორი ქუჩის გადაკვეთაზე აგებული შენობის ფასადები ქუჩების შესაყარზე სწორკუთხა ერკერით ერთდება. გოცირიძის ქუჩაზე გამომავალი ფასადი ჯავახიშვილის ფასადზე გრძელია. აქედან გამომდინარე, განსხვავება შეინიშნება ღიობთა რაოდენობასა და განლაგებაში, აგრეთვე პარაპეტის კომპოზიციაშიც. თუმცა, ლითონის ცხაურით შემკული აივანები ორივე ფასადზე ორ-ორია. ერკერის დამაგვირგვინებელ მაღალ, პროფილირებულ კარნიზზე აღმართულია დიდი ზომის ელიფსური გუმბათი, რომელზეც თითქმის თავისი სიმაღლის ლითონის შპილია დამაგრებული.

მეორე და მესამე სართულები პარაპეტითურთ შელესილი და შეღებილია, მათი შელესილობაც და დეკორიც განსხვავდება ერთმანეთისგან, მაგრამ ყველაფერი ეს ისეთი მხატვრული ოსტატობით არის შესრულებული, რომ სახლი უფრო აზიდული და შთამბეჭდავი გამოჩნდეს. ეზოს ალაყაფი და სადარბაზოს შესასვლელი ჯავახიშვილის ქუჩის მხარეს არის განთავსებული. სამწუხაროდ, სადარბაზოს კარი დაკარგულია, ალაყაფისა კი დღემდე შემოგვრჩა. ის ძველებურად ატყვევებს გამვლელებს თავისი ნატიფი და სრულყოფილი დახვეწილობით.

ამ ლამაზი ალაყაფით მოხვდებით სახლის უკანა ეზოში, რომელიც ზომით ძალზე პატარაა. ალბათ ამიტომ ვერ მოხერხდა აქ თბილისური სახლებისთვის დამახასიათებელი პატარა შადრევნის მოწყობა, თუმცა, სულ უწყლოდაც არ დარჩენილან: გალავნის კედელზე მაშინდელი ტექნოლოგიური სიახლე - წყალსადენის ძველი ონკანი დღემდე კარგად არის შემონახული. ეზოს მხარეს გამომავალი ფასადები ტრადიციული ხის ჭვირული აივნებით არის მორთული, რომელიც, სამწუხაროდ, თავდაპირველი სახით მხოლოდ მეპატრონის შთამომავლების ამჟამინდელ ბინაშია შემორჩენილი. უკანა ფასადების კუთხეში სპირალური ფორმის ლითონის კიბეა განთავსებული, რომელსაც სხვენში ავყავართ. ჭაობისფრად შეღებილი აივნების ფონზე ლამაზი დეკორით შესრულებული, წითელი ფერის ლითონის ვიწრო კიბის მოხდენილი ხვეული მნახველზე დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ახდენს.

სახლის გარეგნული ღირსებების გარდა, ყურადღებას იქცევს მისი მოხერხებული და ფუნქციურად გამართული გეგმარება, სადარბაზო შესასვლელი, კიბე. ცალკე აღნიშვნის ღირსია სახლის მეპატრონის სასტუმრო ოთახის მოხატულობა. ამ ოთახის ყველაზე ფართო, უღიობო კედელი სამ ნაწილად არის დანაწევრებული სტილიზებული ჩარჩოებით. განაპირა, შედარებით ვიწრო ნახატებზე, გამოსახულია ზღვისპირა პეიზაჟები, კედლის შუაში, ყველაზე მოცულობით ნაწილზე კი შესრულებულია სცენა "ვეფხვისტყაოსნიდან", რომელიც ასახავს ტარიელის, ავთანდილისა და ფრიდონის თათბირს ქაჯეთის ციხის აღების წინ.

შემაღლებულ ფლატეზე ზურგით მდგარი გმირები თამამად გასცქერიან სივრცეში გაფერმკრთალებულ, ზეცამდე ატყორცნილ ქაჯეთის ციხის ზვიად კონტურებს. "ვეფხისტყაოსნის" თემა XX საუკუნის სახლებისა და სადარბაზოების (ერასტი ჭავჭანიძის სახლის სადარბაზო. თბილისი, დავით აღმაშენებლის 36) მოხატულობაშიც გაჟღერდა. ეს კი ამ დიადი ქმნილებისადმი ქართველთა მუდმივი მოწიწებისა და მხურვალე სიყვარულის კიდევ ერთი შესანიშნავი დადასტურებაა. სხვა კედლებზე არსებული ნახატებიდან აღსანიშნავია დარიალის ხეობის პეიზაჟები, რაც აგრეთვე საყვარელი თემა იყო იმდროინდელი ოსტატებისთვის. დარიალის ხეობის შთამბეჭდავი სურათებია გადმოცემული აგრეთვე მოდერნის სტილის შენობების (დავით აღმაშენებლის 18 და მიხეილ წინამძღვრიშვილის 39) სადარბაზოების მოხატულობაშიც. ეს - რაც ჩვენთვის ცნობილია, მაგრამ ვინ იცის, ჩვენს ქალაქში კიდევ რამდენი და ამაზე უკეთესი ძეგლი იმალება, თბილისის კულტურული მემკვიდრეობა ამ მიმართებით ხომ ჯერ კიდევ შესასწავლია. შენობათა სადარბაზოებსა და ინტერიერში დაცული მხატვრობის გამოვლენა, აღნუსხვა და სათანადო კვლევა დღეს განსაკუთრებით საშურია, რადგან ჩვენამდე მოღწეულ ამ ნიმუშთა განადგურება და უკვალოდ გაქრობა კვლავ დაუბრკოლებლად გრძელდება.

დასასრულ გვინდა ჩვენს თანამოქალაქეებს, ბიზნესმენებსა და არქიტექტორებს ისეთივე შესანიშნავი არქიტექტურულ-სამშენებლო ოსტატობა, დახვეწილი გემოვნება და საკუთარი თუ სხვა კულტურის ისეთივე დიდი სიყვარული ვუსურვოთ, როგორც ეს გიორგი ლაზარაშვილსა და ზაქარია ქურდიანს ჰქონდათ და რომელთა ერთობლივმა შემოქმედებამაც - ორი ქუჩის გადაკვეთაზე აშენებულმა შესანიშნავმა საცხოვრებელმა სახლმა ყველაზე დიდ გამომცდელს, დროს გაუძლო და ქართულ-ევროპული კულტურის თვალსაჩინოო ნიმუშად იქცა.



ეკატერინე ჯირაშვილი, გიორგი ლაზარაშვილი და ოლღა.



სცენა "ვეფხისტყაოსნიდან."



კიბე ეზოს მხრიდან.

Kuzanov Clinic კუზანოვის კლინიკა

1. ლაზერული ეპილაცია
2. ლაზეროთერაპია (ტყლიპების, პიგმენტიზმების, ხალების, სვირინგების მოცილება)
3. მეზოთერაპია
4. დერმოაბრაზია
5. ქიმიური პილინგები
6. სხეულის ლაზერული კორექცია
7. ენერგეტიკული ქოქონი (ნერვული დაძაბულობა, დეპრესია, რევმატიზმი, ოსტეოქონდროზი, კუნთების დაძაბულობა)
8. პედიკური
9. ნარბების კორექცია
10. კოსმეტოლოგია
11. მანიკური
12. სტომატოლოგია
13. თვალის სრული დიაგნოსტიკა და ქირურგია

თქვენი არჩევანი - ჩვენი პროფესიონალიზმია
გამსახურდიას გამზ. N5
ტელ: 424-005, 8(99) 703-703
www.kuzanov.com

## რესტორნებისა და სასტუმროების მენეჯმენტ-კოლეჯი გაიხსნა

*"ემ ჯგუფი", პირველად საქართველოში, სასტუმროებისა და რესტორნების მენეჯმენტ-კოლეჯს ხსნის, რომლის პრეზენტაციაც გუშინ გაიმართა. ჯგუფის ხელმძღვანელის, დავით ნათაძის განცხადებით, მათი მიზანი საქართველოში სერვისის დონის ამაღლებაა. "ემ ჯგუფის" მიერ დაარსებულ კოლეჯში სწავლა თვენახევარს გასტანს, ხოლო სწავლის ღირებულება 150 დოლარი იქნება. შეიქმნება 15-კაციანი რამდენიმე სასწავლო ჯგუფი, სწავლა კი 14 ნოემბრიდან დაიწყება.*

თამარ ქორიძე

**"ტურიზმის განვითარებასთან ერთად საქართველოში ამ სერვისზე მოთხოვნილებამ მოიმატა. საჭირო გახდა, რომ ობიექტები კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტდეს, რომლებიც მომხმარებლებს მაღალ დონეზე მოემსახურებიან. სწორედ ამ კოლეჯის საშუალებით შესაძლებელი იქნება კვალიფიციური კადრების მომზადება,"** - აღნიშნა "ემ ჯგუფის" აღმასრულებელმა დირექტორმა დავით ნათაძემ.

უნდა აღინიშნოს, რომ "ემ ჯგუფის" მმართველობაში კარგად ცნობილი რესტორნებისა და სასტუმროების ობიექტების ნუსხაა ("მეტეხის ჩრდილში", "მეიდანი", "ჩაინა თაუნი", სასტუმროები ბაკურიანში "ვილა პარკი", "ვარსკვლავი", და გუდაურში - "პანორამა"). უახლოეს მომავალში ჯგუფი გეგმავს ახალი რესტორნის "ტუ საიდის" გახსნას, რომელიც ორი კონცეფციის მატარებელი იქნება, ანუ 30-იანი წლების ამერიკისა და თანამედროვე სტილის თანხვედრა მოხდება. გარდა ამისა, ვაკის პარკში ყოფილი რესტორან "ბუდაპეშტის" ადგილას ახალი კომპლექსის მშენებლობა დაიწყება. **"სასტუმროებისა და რესტორნების სწორი მენეჯმენტით, რომელსაც ჩვენ საქართველოში ჩამოსულ სტუმრებს შევთავაზებთ, ტურიზმის განვითარების დონე მოიმატებს,"** - განაცხადა "ემ ჯგუფის" ხელმძღვანელმა.



## „ქართულმა სასწავლებელმა" საერთაშორისო ორგანიზაციების მოწონება დაიმსახურა

კაცობრიობის განვითარების პროცესში ადამიანის გარემოსადმი პრაგმატული დამოკიდებულების შედეგად დაირღვა ჰარმონია ადამიანსა და გარესამყაროს შორის, რამაც საფრთხე შეუქმნა თავად ადამიანს. სწორედ ამიტომ, გაჩნდა აუცილებლობა ყოველმხრივ განათლებული, სოციალურად აქტიური პიროვნების ფორმირებისა, რომელიც გაანალიზებს იმ მოვლენებსა და პროცესებს, რაც საზოგადოებასა და ბუნებაში მიმდინარეობს. ამის განხორციელება კი შეუძლია განათლებას მდგრადი განვითარებისათვის. ის ხელს შეუწყობს ადამიანთა შეხედულების ცვლას, მისცემს მათ საშუალებას, სამყარო გახადონ უფრო უსაფრთხო და ჯანსაღი, რაც თავისთავად მათი და მომავალი თაობის ცხოვრების ხარისხსაც აამაღლებს.



ვილი სლეურსი „ქართული სასწავლებლის" სახელმძღვანელოებს ეცნობა.

თემას "განათლება მდგრადი განვითარებისათვის" მიეძღვნა "კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრის" REC Caucasus მიერ ჩატარებული მეხუთე ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია. აღსანიშნავია, რომ საქართველოსა და სომხეთის გარემოს დაცვის მინისტრებთან და განათლების მინისტრის მოადგილესთან ერთად ამ შეხვედრას ევროკავშირის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

კონფერენციის ფარგლებში განიხილეს გარემოსდაცვითი განათლების და მდგრადი განვითარებისათვის განათლების პრობლემები და პერსპექტივები. 2005-2014 წლები გაეროს მიერ გამოცხადდა დეკადა "განათლება მდგრადი განვითარებისათვის". შეხვედრისას განიხილეს UNECE-ს სტრატეგია "განათლება მდგრადი განვითარებისათვის" და "ვილნიუსის ჩარჩოები", რომლის თანახმადაც, UNECE-ს რეგიონის ყველა ქვეყანა ვალდებულია, "განათლება მდგრადი განვითარებისათვის" თავის განათლების სისტემებში დანერგოს. ამ კონფერენციაზე სკოლებიდან მონაწილეობა მხოლოდ "ქართულმა სასწავლებელმა" მიიღო.

"ქართული სასწავლებელი" მიიჩნევს, რომ ღირებულებათა სისტემა, ცხოვრების სტილი ყალიბდება ადრეულ ასაკში, ამიტომ განსაკუთრებულ მნიშვნელობას დაწყებითი და საშუალო განათლების სრულყოფა იძენს. ამის გათვალისწინებით, "ქართული სასწავლებელი" უკვე ათი წელია მოღვაწეობს როგორც სისტემა, რომლის საქმიანობაც მიმართულია მდგრადი განვითარების მიზნის მისაღწევად. "ქართულ სასწავლებელს" ხელმძღვანელობს სასწავლო პროგრამების ავტორი, ბიოფიზიკის მეცნიერებათა კანდიდატი ქალბატონი ეთერ სვანიძე.

"ქართულმა სასწავლებელმა" კონფერენციაზე სასწავლო პროგრამის მოდელი წარმოადგინა. მასში მოცემულია სწავლების სამი ეტაპის მოკლე დახასიათება. სასწავლებლის მიზნებიდან გამომდინარე, გარემოს დაცვა-ეკოლოგიის, საბუნებისმეტყველო, ეკონომიკისა და სოციალური საგნების სწავლება "ქართული სასწავლებლის" პრიორიტეტული მიმართულებებია. ამასთან ერთად, დიდი ყურადღება ექცევა ეთნოლოგიის შესწავლას, როგორც უნივერსალურ ფენომენს, რომელიც სახელმწიფოებრივი კულტურის, პოლიტიკის, სამართლებრივი და ეკონომიკური სისტემების გაგების, გათავისებისა და სწორად ჩამოყალიბების საფუძველს წარმოადგენს. მოხსენება წაიკითხა დირექტორის მოადგილემ სასწავლო დარგში, ბიოქიმიის მეცნიერებათა კანდიდატმა ლია რუსიამ. "ქართული სასწავლებლის" მოხსენებამ საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელთა საყოველთაო ყურადღება და მოწონება დაიმსახურა. კონფერენციაზე სკოლის საქმიანობით დაინტერესდა ფლამანდიის მიწების სამინისტროს მრჩეველი განათლების დარგში ბატონი ვილი სლეურსი. მეორე დღეს იგი "ქართულ სასწავლებელს" ეწვია სურვილით, უფრო ღრმად გასცნობოდა მის საქმიანობასა და სასწავლო პროგრამას. გთავაზობთ ხანმოკლე საუბარს ვილი სლეურსთან.

**- რატომ გადაწყვიტეთ "ქართულ სასწავლებელში" სტუმრობა?**

- ჩვენი სემინარის თემას წარმოადგენდა "სკოლამდელი და სასკოლო განათლება მდგრადი განვითარებისათვის." აღმოჩნდა, რომ ერთადერთი სკოლა, რომელიც ამ კონფერენციაში იღებდა მონაწილეობას, იყო "ქართული სასწავლებელი", მათი მოხსენების მოსმენის შემდეგ სურვილი გამიჩნდა, მათ საქმიანობას და სასწავლო პროგრამებს უფრო დაწვრილებით გავცნობოდი.

**- თქვენი შთაბეჭდილება სკოლის შესახებ?**

- ეს ინოვაციაა! აღფრთოვანებული ვარ! ჩემი პროფესიის გამო, ევროპის ბევრ ეკოლოგიურ სკოლის პროგრამებს გავცნობივარ და შემიძლია ვთქვა, რომ ასეთი მასშტაბური საგანთაშორისო ინტეგრაცია გარემოს დაცვის კუთხით ერთდროულად ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ ჭრილში, ფაქტობრივად, არსად მინახავს. ჩემი აზრით, "ქართული სასწავლებლის" გამოცდილებას ევროპის ქვეყნების სკოლებიც უნდა გაეცნონ. ამიტომაც გადავწყვიტე, მომავალ კვირას შვეიცარიაში ჩვენი ორგანიზაციის ENSI (ევროპული ქვეყნების გარემოსა და სკოლების ინიციატივის ქსელი) სამუშაო შეხვედრაზე "ქართული სასწავლებლის" შესახებ მოხსენება გავაკეთო.

*24 საათი*

სსიფ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

### განცხადება ტენდერის შესახებ (KFW)

საქართველოსა და გერმანიის მთავრობებს შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის (სსიფ) პროექტისათვის გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისაგან **(KFW)** მიიღო კრედიტი ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის დამხმარე ზონაში დასაქმების ღონისძიებების გასატარებლად და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით **ხაშურის რაიონის ცოცხნარის საკრებულოს გაზიფიცირება.**

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება **ხაშურის რაიონის ცოცხნარის თემის საკრებულოს განვითარების კომიტეტთან**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, **ცოცხნარის თემის საკრებულოს განვითარების კომიტეტი** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

**საქართველო ხაშურის რაიონი, ცოცხნარის გამგეობის შენობა**

**საკონტაქტო პირი:ჯოტო ლაბაძე, საკრებულოს განვითარების კომიტეტის თავმჯდომარე**

**2005 წლის 16 ნოემბრიდან,** ყოველ დღე (შაბათ-კვირის გარდა) **10-დან 18 საათამდე.** საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20** (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 30 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **5 300** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

**საქართველო ხაშურის რაიონი, ცოცხნარის გამგეობის შენობა**

**საკონტაქტო პირი:ჯოტო ლაბაძე, საკრებულოს განვითარების კომიტეტის თავმჯდომარე**

**2005 წლის 15 დეკემბრის 14:00 საათამდე.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **14:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

სსიფ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

### განცხადება ტენდერის შესახებ (KFW)

საქართველოსა და გერმანიის მთავრობებს შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის (სსიფ) პროექტისათვის გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისაგან **(KFW)** მიიღო კრედიტი ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის დამხმარე ზონაში დასაქმების ღონისძიებების გასატარებლად და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით **ხაშურის რაიონის დაბა სურამის გაზიფიცირება.**

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება **ხაშურის რაიონის დაბა სურამის თემის საკრებულოს განვითარების კომიტეტთან**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, **დაბა სურამის თემის საკრებულოს განვითარების კომიტეტი** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

**საქართველო ხაშურის რაიონი, დაბა სურამის გამგეობის შენობა**

**საკონტაქტო პირი:პაატა ლალუაშვილი, საკრებულოს განვითარების კომიტეტის თავმჯდომარე**

**2005 წლის 16 ნოემბრიდან,** ყოველ დღე (შაბათ-კვირის გარდა) **10-დან 18 საათამდე.** საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20** (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 30 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **5 300** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

**საქართველო ხაშურის რაიონი, დაბა სურამის გამგეობის შენობა**

**საკონტაქტო პირი:პაატა ლალუაშვილი, საკრებულოს განვითარების კომიტეტის თავმჯდომარე**

**2005 წლის 15 დეკემბრის 13:00 საათამდე.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **13:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

სსიფ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

### განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო სესხი და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით კასპის რაიონის სოფელ კოდისწყაროს და ზემო რენეს გაზიფიცირების პროექტი.

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება სათემო კავშირ "კოდისწყაროსთან", რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, სათემო კავშირი "კოდისწყარო" იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

საქართველო, კასპის რაიონი,
სოფელი კოდისწყარო, კოდისწყაროს გამგეობის შენობა.
საკონტაქტო პირი ნელი ბიძინაშვილი სათემო კავშირი "კოდისწყაროს" თავჯდომარე.

2005 წლის 14 ნოემბრიდან 14 დეკემბრამდე 10-დან 17 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს 20 (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით 4400.00 ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

საქართველო, კასპის რაიონი
სოფელი კოდისწყარო, კოდისწყაროს გამგეობის შენობა.
საკონტაქტო პირი ნელი ბიძინაშვილი. სათემო კავშირი "კოდისწყაროს" თავჯდომარე

2005 წლის 14 დეკემბრის 12 საათამდე.

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **12:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

სსიფ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

### განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო სესხი და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით ახალგორის რაიონის სოფელ ლარგვისი-დორეთკარის (მდ.ქსანზე მდებარე) ხიდის სარეკონსტრუქციო სამუშაოები.

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება

სოფელ ლარგვისის თემის განვითარების კომიტეტთან, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, თემის განვითარების კომიტეტი იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

საქართველო, ახალგორის რაიონი,
სოფელ ლარგვისის, თემის საკრებულოს შენობა
საკონტაქტო პირი მურაზ შერმადინი, თემის განვითარების კომიტეტის თავმჯდომარე

2005 წლის 14 ნოემბერი 10-დან 17 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს 20 (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით 1000.00 ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

საქართველო, ახალგორის რაიონი
სოფელ ლარგვისის, თემის საკრებულოს შენობა
საკონტაქტო პირი მურაზ შერმადინი, თემის განვითარების კომიტეტის თავმჯდომარე

2005 წლის 15 დეკემბრამდე 13 საათამდე.

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **13:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აცხადებს ღია ტენდერს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატის, საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვის პროგრამის "ირმის ნახტომის" და ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სახლების, სკოლა-ინტერნატების და განსაკუთრებული რეჟიმის ბაგა-ბაღებისა და სკოლა-ინტერნატების დახმარების ალტერნატიული ფორმების პროგრამების დაფინანსების ფარგლებში საწვავის შესაძენად იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**2. ა)** შესყიდვის ობიექტი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ სტანდარტებს ამ სახეობის პროდუქტზე. **მიწოდების ადგილი და ფორმა:** საქართველოს მასშტაბით (არანაკლებ 10 ბენზინგასამართი სადგური საქართველოს ტერიტორიაზე); ტალონური ან საბარათო მომსახურება.

**ბ)** საწვავი: 1. ბენზინი პრემიუმი - 1000 ლიტრი, რეგულარი - 5000 ლიტრი; 2. დიზელი - 5000 ლიტრი. **საქონლის გადაცემა**: მიღება-ჩაბარება და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა მხარეებს შორის ფორმდება შემსყიდველის მიერ შესყიდვის ობიექტის მოხმარებაზე უფლების მიღების შემდეგ, ამ უფლების შესაბამის თანხაზე. **თანხის გადახდა:** ხდება მიღება-ჩაბარების აქტის და შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერიდან 30 კალენდარულ დღეში.

**გ)** შესასყიდი საქონლის მიწოდების და მომსახურების გაწევის ვადაა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის იანვრის ბოლომდე.

**3.** დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ **ქართულ** ენაზე სამ ეგზემპლარად (1 -დედანი და 2 ასლი), **24.11.05.** დან **28.11.05.** ჩათვლით შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. .N52 ოთახი N222**

**4.** საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1** იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია **(ცნობა წარმოადგინონ საგადასახადო ინსპექციიდან რეგისტრაციის მიხედვით);**

**ბ)** ცნობა, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (**ცნობა წარმოადგინონ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან**);

გ) ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის **(ცნობა წარმოადგინონ შს სამინისტროდან).**

**4.2** ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას, რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა **(ცნობა წარმოადგინონ სასამართლოდან რაიონის მიხედვით);**

ბ) ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (**ცნობა წარმოადგინონ შს სამინისტროს ინფორმაციული უზრუნველყოფა და ანალიზის სამმართველოდან).**

4.3 როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე **(ცნობა წარმოადგინონ სასამართლოდან);**

ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შესახებ;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან დღგ-ს რეგისტრაციის შესახებ.

დ) შესყიდვის ობიექტზე შესაბამისი ხარისხის სერთიფიკატი;

ე) წესდება და დადგენილება რეგისტრაციის შესახებ, ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

**5**. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემული ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

**6.** სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, **500 ლარის** ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, 2005 წლის **30.11.05-დან 02.12.05 ჩათვლით** შეეძლებათ მისამართზე:

**ქ. თბილისი, დ.უზნაძის ქ.N52 ტ. 95-65-91, ოთახი N222**

**7.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: დ. ბარაბაძე, ა. გაგნიძე, მ. ბუზალაძე.

მისამართზე: **ქ. თბილისი, დ.უზნაძის ქ. N52 ტ. 95-65-91, ოთახი N222**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტროს სატენდერო კომისია

ენერგოსექტორის მონიტორინგი

***გაზეთი „24 საათი", „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრთან" ერთად, აწარმოებს ღია დისკუსიას საქართველოს ენერგოსექტორის მოწყობის, რეფორმირების, დარგში კორუფციის აღმოფხვრის გზების ძიების საკითხებზე. დარგის სპეციალისტებს და დამოუკიდებელ ექსპერტებს, ეკონომისტებს და იურისტებს ვეპატიჟებით ჩვენს ღია დისკუსიაში მონაწილეობისთვის. შეგიძლიათ მასალები (აგრეთვე, ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც დარგისთვის მნიშვნელოვნად მიგაჩნიათ) მოგვაწოდოთ გაზეთ „24 საათის" რედაქციის ეკონომიკის განყოფილებაში economics@24hours.ge (tel: 20-24-24) ან „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრის" ელექტრონულ ფოსტაზე energy@ecm.ge, ან დაუკავშირდით პროექტის ხელმძღვანელს ელექტრონულ მისამართზე maya_u@gol.ge.***

ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი
Center of Economic Corruption Monitoring

The Eurasia Foundation
Georgia Office

ენერგეტიკაში მიმდინარე პროცესების მონიტორინგისა და ენერგორეფორმების საზოგადოებრივი მხარდაჭერის პროექტს „ენერგეტიკა – კორუფციის გარეშე" „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი" ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური დახმარებით, ფონდ „ევრაზიისგან" მიღებული გრანტის მეშვეობით ახორციელებს. მიუხედავად ამისა, პროექტის ფარგლებში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარმომადგენლობის (USAID) ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალურ პოზიციას. მასალების შინაარსზე პასუხს „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი" აგებს.

# შეღავათიანი სესხი მცირე ჰესებისთვის

*მცირე ჰესების მშენებლობა და არსებულის რეაბილიტაცია საქართველოს მთავრობის ენერგოპოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტია. თუმცა, ამ საკითხს, როგორც ჩანს, მთავრობაში ნაკლები ინტერესით ეკიდებიან. [illegible] „განახლებადი ენერგიების ათვისების ხელშეწყობის პროგრამის" [illegible] გერმანიის განვითარების ბანკს (KFW) [illegible] 5,11 მილიონი ევროს [illegible] მცირე ჰესების მშენებლობისა და არსებულის რეაბილიტაციისთვის უნდა მოხმარდეს. „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი" შეეცადა, დეტალური ინფორმაცია მოეპოვებინა იმის თაობაზე, თუ რა ბედი ელის ჰესების რეაბილიტაციის პროგრამას.*

გერმანიის განვითარების ბანკის (KFW) მიერ გამოყოფილი 5,11 მილიონი ევროს [illegible] "საქართველო - განახლებადი ენერგიების [illegible]" [illegible] მილიონი დოლარი - გლობალური გარემოს დაცვის ფონდის (GEF) გრანტი, რომელიც გაერო-ს განვითარების პროგრამის (UNDP) მეშვეობით გაიცემა.

**"ეს საკმაოდ დიდი პროგრამაა, რომელსაც ორი პარალელური დაფინანსების წყარო გააჩნია. KFW-ს მხრიდან გამოყოფილი გრანტი მცირე ჰესების რეაბილიტაციას მოხმარდება, ხოლო UNDP-ს მხრიდან [illegible] UNDP-ს [illegible],"** - განმარტავს "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრთან" საუბარში KFW-ს წარმომადგენელი მაია გიქოშვილი.

მცირე ჰესების რეაბილიტაციის [illegible] 5,11 მილიონი ევრო [illegible] ებს წინასწარ შერჩეულ ბანკებს გადაასესხებს. ისინი კი, თავის მხრივ, თანხას საბოლოო მიმღებს, ანუ მცირე ჰესების მფლობელებს გადაასესხებენ. ჯამში, პროექტი 39 თვეში უნდა დასრულდეს.

ბანკების შერჩევის პროცესი უახლოეს მომავალში უნდა დაიწყოს. გერმანელი კონსულტანტების მიერ მომზადებული [illegible] ჩეული ბანკები "საკმაოდ შეღავათიანი პირობებით" გასცემენ კრედიტებს მცირე ჰესების მფლობელებზე. კერძოდ, **"ბანკები კრედიტს შვიდ წელზე მეტი ვადით გასცემენ, მაქსიმალური წლიური განაკვეთი კი 7-8 პროცენტი იქნება. თუმცა, თუ მსესხებლის მხრიდან იქნება მოთხოვნა, რომ მას თავისი ფინანსური [illegible]**

[illegible] მოადგილე შემდეგ კომენტარს აკეთებს: პრიორიტეტი მიენიჭება იმ ჰესს, რომელიც ყველაზე მეტ ეფექტს მისცემს ქვეყნის ენერგოსისტემას. **"ობიექტის შერჩევის ერთ-ერთი კრიტერიუმი შემდეგი იქნება: ვთქვათ, ობიექტს ერთი მილიონი დოლარი სჭირდება, რეაბილიტაციის შემდეგ კი სადგურისგან თხუთმეტ მეგავატ ენერგიას მივიღებთ. მეორე ობიექტი ითხოვს ერთ მილიონ დოლარს და ათი მეგავატი ენერგიის მიღების გარანტიას გვაძლევს. ჩვენ, ბუნებრივია, უპირატესობას პირველ პროექტს მივანიჭებთ. ასევე, ჰესების შერჩევისას გათვალისწინებული იქნება, თუ რა ვადაში განახორციელებს სამუშაოებს ობიექტი და რამდენი წელი იქნება ამ ობიექტის საექსპლუატაციო ვადა. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ ობიექტმა კრედიტის უკან დაბრუნება შესძლოს,"** - დასძინა მამათელაშვილმა.

კითხვაზე, თუ რამდენი ჰესი საჭიროებს ქვეყანაში რეაბილიტაციას ენერგეტიკის სამინისტროში ზუსტი პასუხი არ აქვთ. ცნობისათვის, მცირე ჰესების კატეგორიაში ისეთი ჰესები შედის, რომელთა 10 მეგავატზე ნაკლები დადგმული სიმძლავრე აქვთ.

პროექტით განსაზღვრულია, რომ უნდა შეიქმნას პროგრამის აღმასრულებელი სააგენტო, სადაც ფუნქციები ენერგეტიკის, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის და ფინანსთა სამინისტროებს შორის გადანაწილდება. კერძოდ, ენერგეტიკის სამინისტრო პროგრამის ფინანსურ კომპონენტზე იქნება პასუხისმგებელი, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო ტექნიკურ კომპონენტზე, ხოლო ფინანასთა სამინისტრო მონაწილე ბანკების შერჩევაზე.

ასევე, პროექტში მითითებულია, რომ პროგრამის კონტროლი სამეთვალყურეო კომიტეტს დაევალება, რომელიც საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, KFW-სა და UNDP-ს წარმომადგენლებისგან დაკომპლექტდება.

**"პროგრამის თანხების აკუმულირება განახლებად ფონდში მოხდება. თუმცა ის თუ ვის ბაზაზე შეიქმნება ეს ფონდი და ვინ გააკონტროლებს მას გადაწყვეტილი არ არის. შესათანხმებელია კიდევ სხვა პირობებიც,"** - განაცხადა KFW-ს წარმომადგენელმა მაია გიქოშვილმა.

თავად ენერგეტიკის სფეროს ექსპერტები აღნიშნულ პროგრამას დადებითად აფასებენ, თუმცა აქვთ გარკვეული შენიშვნები, რომლებსაც პროექტის განმახორციელებლებს ურჩევენ, რომ გაითვალისწინონ.

ინსტიტუტ "ჰიდროპროექტის" დირექტორი, ექსპერტი ანზორ ჭითანავა მცირე ჰესების რეაბილიტაციის პროგრამას მიესალმება, თუმცა პროგრამის მიმართ რამდენიმე კითხვა აქვს. **"წარიმართება კი ეს თანხები მიზნობრივად? რა კრიტერიუმებით მოხდება შერჩევა? სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს მკაფიოდ წარმოდგენილი კრიტერიუმები, მიდგომები და შედარებები იმისთვის, რომ დაასაბუთოს, თუ რატომ არის ამა თუ იმ ჰესის რეაბილიტაცია სხვებთან შედარებით უფრო პრიორიტეტული ვარიანტი. ამისათვის უნდა არსებობდეს სათანადო დოკუმენტაცია, დასაბუთება, ექსპერტიზა და დასკვნა. სხვა შემთხვევაში, ვიღაცის მიერ ერთპიროვნულად მიღებული გადაწყვეტილება, რომ ვიღაცას მიუსადაგონ ეს თანხა, ჩემთვის სრულიად მიუღებელია. თუმცა კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ თუ ყველაფერი სწორად წარიმართება, ეს ძალიან მისასალმებელი პროექტი იქნება,"** - აცხადებს ექსპერტი.

მცირე ჰესების აშენებიდან და არსებულის რეაბილიტაციიდან მიღებულ შედეგს ექსპერტი ირაკლი შეყრილაძე "ქვეყნის ელექტრომომარაგებისთვის მოკრძალებულ წვლილს" უწოდებს. **"მაინც რას მოგვცემს მცირე ჰესების აშენება და არსებულის რეაბილიტაცია? მცირე ჰესების რეაბილიტაცია და აშენება ჩვენს ელექტრომომარაგებას დაახლოებით ერთ პროცენტს შემატებს. თუმცა, როდესაც პროცესი უშუალოდ ამ ჰესების გარშემო ეკონომიკურ სიტუაციას აუმჯობესებს, ეს ერთი პროცენტიც მნიშვნელოვანია,"** - აღნიშნავს ირაკლი შეყრილაძე და იქვე იმასაც დასძენს, რომ ამ ეტაპზე ქვეყნის ენერგოპოლიტიკის ძირითადი მიმართულება არსებული საშუალო და დიდი ენერგოსადგურების რეაბილიტაციაა. **"ამ სფეროში კი ჩვენ უახლოესი ათი წლის მანძილზე არსებულის რეაბილიტაციის გარდა დამატებითი არანაირი წყაროები არ გვესაჭიროება. თუმცა, მეორეს მხრივ, მცირე ჰესების მიმართ ეს მიდგომაც სწორია. სახელმწიფომ არც ერთ სფეროს არ უნდა მოაკლოს ყურადღება, ამიტომაც ამ სიახლესაც, მიუხედავად მისი არც თუ ისე კარგი ეკონომიკური მახასიათებლებისა, გარკვეული დატვირთვა აქვს,"** - დასძინა ექსპერტმა "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრთან" საუბრისას.

პროგრამას მიესალმება კიდევ ერთ ექსპერტი თემურ გოჩიტაშვილიც, რომელიც ხაზს სესხის დაბალ განაკვეთს უსვამს. **"7-8 პროცენტი საქართველოს ბაზრისთვის გასაოცრად დაბალია. თუ ვინმეს მართლა უნდა ჰესის აშენება, ეს პროექტი ამისთვის საუკეთესო საშუალებაა, მითუმეტეს, რომ კრედიტი შვიდწლიანია. აუცილებელია, რომ ხალხმა ამ შესაძლებლობის შესახებ შეიტყოს,"** - აღნიშნა თემურ გოჩიტაშვილმა.

# ვალების მომსახურება - ელექტროენერგეტიკის განვითარების უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა

*ვალების მომსახურების სააგენტოს ჩამოყალიბება საგრძნობლად გაჭიანურდა. დაინტერესებული საზოგადოებისთვის უცნობია თუ როდის და რა ფორმით ჩამოყალიბდება აღნიშნული სააგენტო. ამიტომ დღემდე გაურკვეველი რჩება, რა ბედი ელის ელექტროენერგეტიკულ სექტორში წლების მანძილზე დაგროვილ ვალებს. მოახლოებული ენერგოპრივატიზაციის ფონზე, ეს საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. კერძოდ, თუ ხელისუფლებამ დროულად არ იზრუნა ამ ვალებზე, შესაძლოა, პრივატიზაციის პროცესზე მათი არსებობა მკვეთრად უარყოფითად აისახოს და ენერგოობიექტების შესყიდვის მსურველები განსაკუთრებულად პრიორიტეტულ მდგომარეობაში ჩააყენოს. არ არის გამორიცხული მეორე ვარიანტიც: კერძოდ, შესაძლებელია შედგეს გარიგება, მოხდეს პრივატიზაცია და მოვალეები საკმაოდ ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ - გარკვეს, რომ ვალის გადახდაზე პასუხისმგებლობა აღარავის აკისრია. "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრს" ენერგოეფექტურობის ფონდისა და ელეტროენერგიის მწარმოებელთა ასოციაციის თავმჯდომარემ, საინფორმაციო-ანალიტიკურ ჟურნალ "ენერგეტიკის რეგულირების მაცნეს" მთავარმა რედაქტორმა ვახტანგ ზარქუამ ამ საკითხის დარეგულირების საკუთარი ვარიანტი შესთავაზა. ეს ვარიანტი რამდენიმე ორგანიზაციისა და ექსპერტის თანამშრომლობის შედეგია. დღეს მას უცვლელად გთავაზობთ.*

*აქ წარმოდგენილი პროექტების ავტორებს მიაჩნიათ, რომ ელექტრობაზრის მონაწილეობით დაგროვილი დავალიანების გასტუმრება უნდა მოხდეს ელექტრობაზრის მეშვეობით, ხოლო ყველა სხვა სახის დავალიანებათა (მაგალითად, "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" და ყოფილი "საქენერგოს" ძველი ვალები) გასტუმრება კი ჩამოსაყალიბებელი "ვალების მომსახურების სააგენტოს" მეშვეობით, რადგან ამ ვალებთან დაკავშირებული მოქმედი სტრუქტურა ამჟამად არ არსებობს. ელექტროენერგიის მწარმოებელთა ასოციაციამ ენერგოეფექტურობის ფონდთან ერთად, მოამზადა "დებიტორული დავალიანების მქონე ელექტრობაზრის მყიდველების განსაზღვრის, ვალების დაგროვების აცილების და ვალების გასტუმრების წესების," შესაბამისი განმარტებითი ბარათისა და სემეკის სათანადო დადგენილების პროექტები, აგრეთვე წინადადება "გადაცემის და განაწილების ელექტრულ ქსელებზე ელექტრომწარმოებლების თავისუფალი დაშვების წესების" შესახებ.*

პროექტების მომზადებაში მონაწილეობდნენ ენერგოეფექტურობის ფონდის, ელექტროენერგიის მწარმოებელთა ასოციაციის, შპს "აბჰესი-ელექტროს", შპს "ენტოს", სს "ქინძმარაულის", შპს "სქურიჰესის" სპეციალისტები. სამუშაო ჯგუფს ხელმძღვანელობდა ენერგოეფექტურობის ფონდისა და ელეტროენერგიის მწარმოებელთა ასოციაციის თავმჯდომარე, საინფორმაციო-ანალიტიკურ ჟურნალ "ენერგეტიკის რეგულირების მაცნეს" მთავარი რედაქტორი ვახტანგ ზარქუა. დებიტორული დავალიანების მქონე ელექტრობაზრის მყიდველების განსაზღვრის, ვალების დაგროვების აცილების და ვალების გასტუმრების წესების" შესახებ პროექტის თავდაპირველი ვარიანტი, რომელიც წარდგენილი იყო საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარსა (ელექტრობაზარი) და საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში (სემეკი), 4-ჯერ გადამუშავდა. პროექტების საბოლოო ვარიანტი შეტანილია ელექტრობაზარში, სემეკში, ენერგეტიკის სამინისტროში და სახელმწიფო მინისტრის კახა ბენდუქიძის აპარატში. წარმოდგენილი პროექტები მზადაა საყოველთაო განხილვისათვის. ამიტომ პროექტების ავტორები სიამოვნებით განიხილავენ შემოსულ შენიშვნებსა და წინადადებებს. ისინი შეიძლება წარდგენილ იქნეს ელექტრონული ფოსტის, ფაქსის ან ტელეფონის მეშვეობით. უნდა აღინიშნოს, რომ პროექტები მოწონებულია ექსპერტებისა და ელექტრობაზრის სხვა წევრების მიერაც.

პროექტების ავტორებს მიაჩნიათ, რომ აღნიშნული დოკუმენტების მოწონებითა და სათანადო გადაწყვეტილების მიღებით ელექტრობაზარი და სემეკი გადადგამენ პირველ სერიოზულ ნაბიჯებს სექტორში რეალური კონკურენციის განვითარებისა და დერეგულაციის მიმართულებით, რაც დღეს ძალზე სჭირდება სექტორსაც და ელექტრობაზარსაც საკუთარი კეთილსასურველი სახელის აღსადგენად და დასამკვიდრებლად.

### განმარტებითი ბარათი

*დებიტორული დავალიანების მქონე ელექტრობაზრის მყიდველების განსაზღვრის, ვალების დაგროვების აცილების და ვალების გასტუმრების წესების" შესახებ*

საბაზრო ეკონომიკის განვითარებაში კერძო საკუთრებას უდიდესი როლი აკისრია. სწორედ ამის გამოა სახელმწიფოს პოლიტიკა სახელმწიფო ქონების განკერძოებისაკენ მიმართული. წარმოდგენილი წესები და შესაბამისი დადგენილება სწორედ ამ პროცესის ხელშემწყობი აქტია. იგი ითვალისწინებს ელექტრომწარმოებლების უმძიმესი პრობლემების მოგვარებისა და სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი საპრივატიზაციო ენერგოობიექტების პრივატიზაციის პროცესის ხელშეწყობას მოქმედი კანონმდებლობის დაცვით.

წარმოდგენილი წესების ზოგიერთი მუხლის განმარტებამდე უნდა აღინიშნოს ერთი მნიშვნელოვანი გარემოება. წარმოების ლიცენზიატების მიმართ ელექტრობაზრის მყიდველების საერთო დავალიანების ძირითადი წილი (დაახლოებით 85 %-ზე მეტი) სწორედ სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფ კომპანიებზე მოდის - წარმოების ლიცენზიატების მიმართ დავალიანება დაახლოებით განაწილების ლიცენზიატების დავალიანების ტოლია. აქედან გამომდინარე, სასურველია, სახელმწიფომ წარმოდგენილი წესების ძალაში შესვლამდე მოახდინოს მის საკუთრებაში მყოფი წარმოების ლიცენზიატების მიმართ განაწილების ლიცენზიატების დავალიანებათა რესტრუქტურიზაცია. ამის შემდეგ, კერძო საკუთრებაში მყოფი ელექტრომწარმოებელი კომპანიების მიმართ დავალიანების გასტუმრება, მისი ხვედრითი წილის (10-15%) სიმცირის გამო, ძალზე გაადვილდება. ასევე გაადვილდება სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი ენერგოობიექტების პრივატიზაციის პროცესიც. ცალკე მსჯელობის საგანია, თუ როგორ განხორციელდეს სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი წარმოების ლიცენზიატების მიმართ განაწილების ლიცენზიატების დავალიანებათა რესტრუქტურიზაცია.

წესების პირველ მუხლში მოცემულ ტერმინთა განმარტებები ვრცელდება მხოლოდ აღნიშნულ დადგენილებაზე.

ეს წესები ითვალისწინებს თითოეული ელექტრომწარმოებელი კომპანიისათვის ელექტრობაზრის მიერ განსასაზღვრი დებიტორული დავალიანების მქონე ელექტრობაზრის მყიდველების რაოდენობის შეზღუდვას, რაც ნაკარნახებია შემდეგი გარემოებებით: ელექტრობაზრის მყიდველთა უზომოდ დიდ, არაგონივრულ რაოდენობასთან ურთიერთობა პრაქტიკულად შეუძლებელია ნებისმიერი ელექტრომწარმოებლისათვის, მით უფრო მცირე და საშუალო სიმძლავრის კერძო ელექტრომწარმოებელთათვის. ეს მათთვის შრომის, დროისა და ფინანსური რესურსების უაზრო ხარჯვის ტოლფასია საქართველოში არსებული დღევანდელი მძიმე ეკონომიკური ვითარებისა და ბიზნესგარემოს გათვალისწინებით. მაგალითად, თუ ელექტრომწარმოებელი კომპანიის მიმართ არსებობს დავალიანება 500 ლარი და ის გაიწერა 50 მყიდველზე, მაშინ ელექტრომწარმოებელ კომპანიას საშუალოდ თითოეულ მყიდველთან 10 ლარის გამო მოუწევს ურთიერთობა, რაც არაგონივრულია (10 ლარის ღირებულების ელექტროენერგიის მყიდველი ცხადია, ვერ ჩაითვლება საბითუმო მყიდველად). გარდა აღნიშნულისა, ტექნიკურ-ეკონომიკური და პრაქტიკული მოსაზრებებიდან გამომდინარე, ფაქტობრივად, მცირე ელექტრომწარმოებელ კომპანიას ურთიერთობა აქვს მის ახლო მდებარე რამოდენიმე მყიდველთან - ტექნიკურადაც და ეკონომიკურადაც გამართლებულია ლოკალურად წარმოებული ელექტროენერგიის უდიდესი ნაწილი მოხმარებულ იქნეს შესაბამის ლოკალურ ქვესისტემაში, რადგან სხვა შემთხვევაში იზრდება ტექნიკური და, შესაბამისად, ფინანსური დანაკარგები, რომ არაფერი ვთქვათ ადმინისტრირების სხვა დანახარჯების ზრდაზე. ელექტრობაზრის მიერ ელექტრომწარმოებლისთვის განსასაზღვრი მყიდველის რაოდენობის შეზღუდვით მარტივდება როგორც ელექტრობაზრის, ისე ელექტრომწარმოებელთა მიერ საკუთარ საქმიანობათა ადმინისტრირება, უფრო გამჭვირვალე და კონტროლირებადი ხდება ელექტრობაზრისა და ელექტრომწარმოებელი კომპანიების საქმიანობები. სამსჯელო შეიძლება გახდეს მხოლოდ ელექტრობაზრის მიერ ელექტრომწარმოებელი კომპანიისთვის განსასაზღვრი მყიდველის მაქსიმალური რაოდენობა. ეს მაჩვენებელი უნდა შეესაბამებოდეს მწარმოებლის პოტენციალს. მაგალითად, თუ ქარხანა აწარმოებს წელიწადში 10 ტრაქტორს, შეუძლებელია, მას 100 მყიდველი ჰყავდეს წელიწადში. პრაქტიკულად, მცირე ელექტრომწარმოებლის პროდუქციას შეიძლება 1-დან 5-მდე საბითუმო მყიდველი ჰყავდეს. ჩვენს მიერ აღებულ იქნა საშუალო ოდენობა - სამი. სწორედ აღნიშნულ გარემოებებს ითვალისწინებს წესების პროექტის მე-4 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტები.

შუამავალ ან ნებისმიერ სხვა პირს არა აქვს უფლება, სხვისი პროდუქცია რეალიზაციის მიზნით გადასცეს ისეთ მესამე პირს, რომელიც, წინასწარ ცნობილია, ან სავარაუდოა, რომ ვერ გადაიხდის მის საფასურს დროულად და სრულად. ასეთი მოქმედება საქართველოს კანონმდებლობით შეიძლება დაკვალიფიცირდეს, როგორც გაუფრთხილებელი ან წინასწარ განზრახული საზიანო მოქმედება პროდუქციის მფლობელი პირის მიმართ. მაშასადამე, აღნიშნული მოქმედება არ არის ნებადართული. ამ პრინციპს ემყარება წესების პროექტის მე-4 მუხლის მე-3 და მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტები.

კერძო ელექტრომწარმოებელი კომპანიები არ უნდა იზიარებდნენ პასუხისმგებლობას სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი ენერგოკომპანიების, პირდაპირი მომხმარებლების, ენერგეტიკული დაწესებულებების არასწორი მართვის, სახელმწიფოს არასწორი პოლიტიკური და სოციალური მოტივაციებისა და მოქმედებების გამო, რომლებსაც, ძირითადად, ადგილი ჰქონდა 2004 წლამდე საქართველოში და რისი უშუალო შედეგიცაა მიწოდებულ ელექტროენერგიაზე ვალების დაგროვება. ამიტომ სახელმწიფო ვალდებულია მისი მიზეზით შექმნილ ვალებზე თავად აგოს პასუხი. ამ პრინციპს ეფუძნება წარმოდგენილი წესების პროექტის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტი.

საქმიანი პარტნიორის, გამყიდველისა ან/და მყიდველის თავისუფალი არჩევანის უფლება თავისუფალი მეწარმეობისა და ვაჭრობის ფუნდამენტალური პრინციპია. ეს უფლება უფრო მეტად შეუვალია კერძო მეწარმის შემთხვევაში. არავის არა აქვს უფლება კერძო მეწარმეს თავს მოახვიოს საქმიანი პარტნიორი ან/და პროდუქციის მყიდველი. სახელმწიფოს მიერ კონტროლირებად საწარმოებში შესაძლოა პრინციპული მნიშვნელობა არ ჰქონდეს აღნიშნული უფლების რეალიზაციას, ვინაიდან ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ერთ მესაკუთრესთან - სახელმწიფოსთან. აღნიშნული ერთი მესაკუთრის საწარმოებს - ელექტროენერგიის მწარმოებელ, გადამცემ, გამანაწილებელ კომპანიებსა და პირდაპირ მომხმარებლებს - შორის ურთიერთობა თავად ამ მესაკუთრის ანუ სახელმწიფოს საქმეა, ხოლო სხვადასხვა მესაკუთრის კომპანიებს, მაგალითად, კერძო კომპანიასა და იმ კომპანიას შორის ურთიერთობა, სადაც სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობა 50 პროცენტზე მეტია კი აუცილებლად უნდა ემყარებოდეს თავისუფალ ნებას და არა იძულებას. ამ პრინციპს ეფუძნება მე-4 მუხლის მე-5 და მე-5 მუხლის მე-3 პუნქტები.

ელექტრობაზარი მოქმედი საბაზრო წესების მიხედვით ელექტრობაზრის მყიდველის განსაზღვრას ახდენს მხოლოდ ელექტრომწარმოებელი კომპანიის (წარმოების ლიცენზიატის) ოფიციალური მოთხოვნის შემდეგ. წარმოდგენილი წესების თანახმად კი ელექტრობაზარი ვალდებულია, მოთხოვნის გარეშე, დადგენილ ვადაში განსაზღვროს კრედიტორ-დებიტორი. ამ ვალდებულების დაკისრება ელექტრობაზრისათვის განპირობებულია იმით, რომ პასუხისმგებელი პირი ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ყიდვაზე შეუფერხებლად და დროულად განისაზღვროს და ელექტრობაზრის მყიდველმა, საჭიროების შემთხვევაში, ასევე დროულად და შეუფერხებლად დაიცვას თავისი უფლებები სამოქალაქო კანონმდებლობის შესაბამისად.

ვალების დაგროვების აცილებისა და მათი გასტუმრებისაკენ მიმართული ყველა ზომა ფუჭი იქნება, თუ არ განხორციელდა ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტა არგადამხდელი ელექტრობაზრის მყიდველებისათვის. არგადამხდელების მიმართ გამკაცრებულ ზომებს ითვალისწინებს მე-4 მუხლის მე-7 და მე-8 და მე-5 მუხლის მე-5 პუნქტები.

ძირითად დებულებებში მოცემული ვადები მოქმედი საბაზრო წესებით დადგენილ ვადებთან თანხვედრაშია.

წესებში მოცემული ვადები აღებულია საფოსტო შეტყობინებათა მაქსიმალური ხანგრძლივობისა (7 დღე) და ელექტრობაზრის რესურსების და ადმინისტრირების შესაძლებლობათა გათვალისწინებით.

მე-5 მუხლში (გარდამავალ დებულებებში) აღნიშნული ვადები შედგენილია შემდეგნაირად:

პირველი 7 დღე ამ წესების ძალაში შესვლამდე - ელექტრობაზრის მიერ ელექტრობაზრის წევრებისთვის შეტყობინებების დაგზავნა ამ წესების მე-5 მუხლის მე-2 პუქტში მოცემული ელექტრომწარმოებელი კომპანიებისა და ელექტრობაზრის მყიდველების უფლების თაობაზე;

მეორე 7 დღე - ელექტრობაზრის მიერ ელექტრობაზრის მყიდველებისა და გამყიდველების სათანადო მონაცემების დაზუსტება (მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი);

მესამე 7 დღე - დაზუსტებული მონაცემების ელექტრობაზრის წევრებისათვის შეტყობინება (მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი);

მეოთხე 7 დღე - ელექტრომწარმოებელ კომპანიებსა და ელექტრობაზრის მყიდველებს შორის შეთანხმების გაფორმება;

მეხუთე 7 დღე - ელექტრომწარმოებელ კომპანიებსა და ელექტრობაზრის მყიდველებს შორის გაფორმებული შეთანხმების ელექტრობაზრისთვის გაგზავნა;

მეექვსე 7 დღე - ელექტრობაზრის მიერ კრედიტორ-დებიტორების განსაზღვრა (მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი);

მეშვიდე 7 დღე (წესების ძალაში შესვლიდან 36-ე დღიდან 42-ე დღის ჩათვლით) - ელექტრობაზრის მიერ კრედიტორ-დებიტორების განსაზღვრის თაობაზე შეტყობინებების დაგზავნა (მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი);

42 დღე (წესების ძალაში შესვლიდან) - დებიტორული ძველი დავალიანების მქონე ელექტრობაზრის მყიდველების გამორთვების პროგრამის ელექტრობაზრის მიერ შემუშავება (მე-5 მუხლის მე-5 პუნქტი);

მერვე 7 დღე (წესების ძალაში შესვლიდან 43-ე დღიდან 49-ე დღის ჩათვლით) - ელექტრობაზრის მიერ თავისი წევრების გაფრთხილება გამორთვების პროგრამის განხორციელების შესახებ (მე-5 მუხლის მე-5 პუნქტი);

მე-60 დღე (წესების ძალაში შესვლიდან) - ელექტრობაზრის მიერ გამორთვების პროგრამის განხორციელების დაწყება (მე-5 მუხლის მე-5 პუნქტი);

73-ე დღე (წესების ძალაში შესვლიდან) ანუ მე-14 დღე გამორთვების პროგრამის დაწყებიდან - გამორთვების მთლიანად დასრულება (მე-5 მუხლის მე-5 პუნქტი).

ელექტრომწარმოებელ კომპანიებსა და ელექტრობაზრის მყიდველებს ეძლევათ 42 დღე ძველი დავალიანების თაობაზე ურთიერთშეთანხმების მისაღწევად.

### დებიტორული დავალიანების მქონე ელექტრობაზრის მყიდველების განსაზღვრის, ვალების დაგროვების აცილების და ვალების გასტუმრების წესების პროექტი

**მუხლი 1. წესების მიზანი**

1. ამ წესების მიზანია:

ა) ელექტრობაზრის მყიდველების მიერ შესყიდული ელექტროენერგიის (სიმძლავრის) საფასურის ელექტრომწარმოებელი კომპანიების მიმართ გადაუხდელობით წარმოშობილი ვალების სრულად დაფარვა და ვალების დაგროვების თავიდან აცილება;

ბ) ელექტრობაზრის წევრებს შორის გარანტირებული და თავისდროული ანგარიშსწორების, ეკონომიკური მიზანშეწონილობისა და სამართლიანობის პრინციპების დაცვისათვის ხელის შეწყობა.

**მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები**

1. წინამდებარე წესებში გამოყენებულ ტერმინებს გააჩნიათ იგივე მნიშვნელობა, რაც "ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ" საქართველოს კანონსა (1997 წლის 17 ივნისი, N183) და "ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის (ელექტრობაზრის) საბაზრო წესებში" (2001 წლის 10 სექტემბრი, სემეკის N11 დადგენილება) გამოყენებულ ტერმინებს, გარდა ქვემოთ ჩამოთვლილი ტერმინებისა:

ა) ელექტრომწარმოებელი კომპანია - ინდივიდუალური მეწარმე ან იურიდიული პირი, რომელიც ფლობს წარმოების ლიცენზიას, შექმნილია და ფუნქციონირებს სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობის გარეშე ან სადაც სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობა 50 პროცენტზე ნაკლებია;

ბ) კონფლიქტური ზონები - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიები;

გ) ძველი ვალი (ძველი დავალიანება) - ბოლო საანგარიშო თვემდე მოხმარებული ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ღირებულების გადაუხდელობით წარმოშობილი ვალი;

დ) მიმდინარე ვალი (მიმდინარე დავალიანება) - ბოლო საანგარიშო თვის ვალი.

**მუხლი 3. რეგულირების სფერო**

1. ეს წესები არეგულირებს ელექტრომწარმოებელ კომპანიებსა და ელექტრობაზარს, ელექტრომწარმოებელ კომპანიებსა და ელექტრობაზრის მყიდველებს, ელექტრობაზარსა და ელექტრობაზრის მყიდველებს შორის ელექტრომწარმოებელი კომპანიების მიმართ დებიტორული დავალიანების მქონე ელექტრობაზრის მყიდველების განსაზღვრის, ვალების დაგროვების აცილების და ვალების გასტუმრების საკითხებთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, გარდა, ელექტრომწარმოებელ კომპანიებსა და ელექტრობაზრის მყიდველებს შორის დადებული პირდაპირი კონტრაქტებით განსაზღვრული ურთიერთობებისა.

**მუხლი 4. ძირითადი დებულებები**

1. კრედიტორ-დებიტორის განსაზღვრისას ელექტრობაზარი ვალდებულია იხელმძღვანელოს ელექტრობაზრის მყიდველისა და ელექტრომწარმოებელი კომპანიის დამაკავშირებელი ელექტროხაზით სიახლოვისა და ელექტრობაზრის მყიდველის გონივრული რაოდენობის პრინციპებით.

2. ელექტრობაზრის მიერ განსაზღვრული ელექტრობაზრის მყიდველის რაოდენობა თითოეული ელექტრომწარმოებელი კომპანიისათვის არ უნდა აღემატებოდეს სამს.

3. დაუშვებელია, ელექტრომწარმოებელი კომპანიების ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ელექტრობაზრის მიერ კონფლიქტურ ზონებში მიწოდება აღნიშნული ელექტრომწარმოებელი კომპანიების თანხმობის გარეშე.

4. ელექტრობაზარი აზუსტებს ელექტრობაზრის მყიდველებისა და გამყიდველების მიმდინარე დავალიანებებს, საფოსტო მისამართებს და ტელეფონის ნომრებს საანგარიშო თვის დასრულებიდან 8 დღის ვადაში და აღნიშნულ მონაცემებს ატყობინებს ელექტრობაზრის ყველა წევრს საანგარიშო თვის 16 რიცხვამდე.

5. საანგარიშო თვის მომდევნო თვის 23 რიცხვამდე ელექტრომწარმოებელ კომპანიებსა და ელექტრობაზრის მყიდველებს ურთიერთშორის დებიტორ-კრედიტორის განსაზღვრის შესახებ შეთანხმების უფლება აქვთ ელექტრობაზრის მიერ დადგენილი დავალიანების ფარგლებში. აღნიშნული შეთანხმება წერილობით უნდა ეცნობოს ელექტრობაზარს. ელექტრობაზარი ვალდებულია დაამტკიცოს მიღწეული შეთანხმება, თუ არ არსებობს უარის თქმის კანონიერი საფუძველი.

6. ელექტრობაზარი ვალდებულია განსაზღვროს ელექტრომწარმოებელი კომპანიის მიმართ დებიტორული დავალიანების მქონე განაწილების ლიცენზიატი ან/და პირდაპირი მომხმარებელი(მომხმარებლები) ყოველი საანგარიშო თვის მომდევნო თვის 30 რიცხვამდე ამ მუხლის მე-5 ნაწილის გათვალისწინებით და შესაბამის კრედიტორებსა და დებიტორებს აცნობოს სათანადო ინფორმაცია 7 დღის ვადაში.

7. ელექტრობაზარი ვალდებულია დაუყოვნებლივ უზრუნველყოს ელექტრომწარმოებელი კომპანიის მიმართ არსებული ბოლო საანგარიშო თვის დავალიანების მქონე ელექტრობაზრის მყიდველის გამორთვა (მომსახურების შეწყვეტა) აღნიშნული დავალიანების სრულ დაფარვამდე, თუ ელექტრობაზრის მყიდველს ანგარიშსწორება არ მოუხდენია ბოლო საანგარიშო თვის მომდევნო თვის 30 რიცხვამდე.

8. დაუშვებელია დავალიანების მქონე ელექტრობაზრის მყიდველისათვის ელექტროენერგიის (სიმძლავრის) მიწოდების განახლება მიმდინარე ვალის სრულად დაფარვამდე ან კრედიტორ ელექტრომწარმოებელ კომპანიასთან შესაბამისი შეთანხმების მიღწევამდე.

**მუხლი 5. ძველი ვალების დაფარვა (გარდამავალი დებულებები)**

1. დაუშვებელია კონფლიქტურ ზონებში მოხმარებული ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ღირებულების გადაუხდელობით წარმოშობილი ძველი ვალების ელექტრომწარმოებელ კომპანიებზე გაწერა აღნიშნულ ელექტრომწარმოებელ კომპანიათა თანხმობის გარეშე, აგრეთვე ელექტრომწარმოებელი კომპანიებისთვის ელექტრობაზრის მყიდველებად იმ განაწილების ლიცენზიატისა ან/და პირდაპირი მომხმარებლის (მომხმარებლების) განსაზღვრა, რომელთა მიმართაც აღსრულება შეჩერებულია კანონისა და სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

2. ელექტრობაზარი აზუსტებს ელექტრობაზრის მყიდველებისა და გამყიდველების ძველ დავალიანებებს, საფოსტო მისამართებს, ტელეფონის ნომრებს და საბანკო რეკვიზიტებს ამ წესების ძალაში შესვლიდან 7 დღის ვადაში და აღნიშნულ მონაცემებს ატყობინებს ელექტრობაზრის ყველა წევრს შემდეგი 7 დღის განმავლობაში.

3. ელექტრომწარმოებელ კომპანიებსა და ელექტრობაზრის მყიდველებს ურთიერთშორის კრედიტორ-დებიტორის განსაზღვრის შესახებ შეთანხმების უფლება აქვთ ელექტრობაზრის მიერ დადგენილი ძველი დავალიანების ფარგლებში. ელექტრობაზარი ვალდებულია ამ წესების ძალაში შესვლამდე 7 დღით ადრე აცნობოს ელექტრობაზრის წევრებს ამ უფლების შესახებ და დაამტკიცოს დადგენილ ვადაში მიღწეული წერილობითი შეთანხმება თუ არ არსებობს უარის თქმის კანონიერი საფუძველი.

4. ელექტრობაზარი ვალდებულია ამ მუხლის მე-3 ნაწილის გათვალისწინებით განსაზღვროს ელექტრომწარმოებელი კომპანიის მიმართ დებიტორული ძველი დავალიანების მქონე განაწილების ლიცენზიატი ან/და პირდაპირი მომხმარებელი (მომხმარებლები) ამ წესების ძალაში შესვლიდან 35-ე დღის გასვლამდე და აცნობოს სათანადო ინფორმაცია განსაზღვრულ კრედიტორებსა და დებიტორებს ამ წესების ძალაში შესვლიდან 42-ე დღის გასვლამდე.

5. ელექტრობაზარი ვალდებულია, წინამდებარე წესების ძალაში შესვლიდან 42-ე დღის გასვლამდე შეიმუშაოს გამორთვების სპეციალური პროგრამა, 49-ე დღის გასვლამდე გააფრთხილოს ელექტრობაზრის წევრები ამ პროგრამის განხორციელების შესახებ და მე-60 დღეს დაიწყოს ძველი ვალების მქონე ელექტრობაზრის წევრების გამორთვა არსებული კანონმდებლობის დაცვით. გამორთვები მთლიანად უნდა დასრულდეს 14 დღის ვადაში.

### წინადადება ელექტროენერგიის გადამცემ და გამანაწილებელ ქსელებზე ელექტრომწარმოებლების თავისუფალი დაშვების წესის შესახებ

დებიტორული დავალიანების მქონე ელექტრობაზრის მყიდველების განსაზღვრის, ვალების დაგროვების აცილების და ვალების გასტუმრების წესებმა რომ ეფექტურად იმუშაოს, აუცილებელია, რომ ელექტრომწარმოებლებს შეექმნათ ელექტროენერგიის (სიმძლავრის) პირდაპირი მომხმარებლებისათვის და ელექტრობაზრისათვის ელექტროენერგიის შეუფერხებელი მიწოდების პირობები, რაც შესაძლებელი გახდება შემდეგი წესის შემოღებით:

**გადამცემ და გამანაწილებელ ქსელებზე ელექტროენერგიის მწარმოებლებს აქვთ თავისუფალი დაშვების უფლება ამ ქსელებში ელექტროენერგიის გატარებისათვის შესაბამისი თანხის გადახდის პირობით.**

**არგუმენტაცია:** გადამცემი და გამანაწილებელი ქსელები უმთავრესად სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი ენერგოკომპანიების ხელშია (მაგალითად, სახელმწიფო ელექტროსისტემა და გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია). სწორედ მათ გააჩნიათ დიდი დავალიანებები და სხვა პრობლემები ელექტრომწარმოებელი კომპანიების მიმართ. მცირე ელექტრომწარმოებელი კომპანიების მნიშვნელოვანი ნაწილი ლოკალური დანიშნულებისაა, თუმცა ისინი ვერ ახერხებენ ელექტროენერგიის ლოკალური მომხმარებლებისათვის მიწოდებას იმის გამო, რომ გადამცემი და გამანაწილებელი ქსელები არასაიმედო პარტნიორების ხელშია, ხოლო თავად კი არ გააჩნიათ აღნიშნულ ქსელებზე დაშვებისა და ლოკალური მომხმარებლებისათვის პირდაპირი მომსახურების გაწევის უფლება. ყოველივე ამის შედეგი კი ძალზე სავალალოა: ელექტრომწარმოებლები განწირულები არიან გაკოტრებისათვის, ხოლო მომხმარებლები კი პერმანენტული ელექტროკრიზისისათვის. ეს პრობლემები მარტივად გადაწყდება აღნიშნულ ქსელებზე თავისუფალი დაშვების უფლების შემოღებით. საკითხის სიმარტივე იმაში მდგომარეობს, რომ აღნიშნული ქსელები ჯერაც სახელმწიფოს საკუთრებაშია, და თუ ხელისუფლებას ნამდვილად სურს პრობლემების მოგვარება, კერძოდ, მცირე ენერგოკომპანიებისა და ადგილობრივი მომხმარებლებისათვის ხელშეწყობა, მაშინ მან დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება თავის ქსელებზე ელექტრომწარმოებლების თავისუფალი დაშვების შესახებ. ეს გადაწყვეტილება ხელს არ შეუშლის შემდგომში ხსენებული ქსელების გასხვისების პროცესს. ქსელებს მყიდველი იყიდის თავიუფალი დაშვების პირობის გათვალისწინებით. ქსელებზე თავისუფალი დაშვების წარმატებული პრაქტიკა არსებობს დიდ ბრიტანეთსა და სხვა მოწინავე ქვეყნებში.

**ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სესბის აღმასრულებელ საბჭოსა და გენერალურ დირექტორს ვთხოვთ, ოფიციალურად შეიტანოს სემეკის უახლოეს სხდომაზე განსახილველად ელექტროენერგიის გადამცემ და გამანაწილებელ ელექტრულ ქსელებზე ელექტრომწარმოებლების თავისუფალი დაშვების საკითხი. ჩვენ მზად ვართ ამ მიმართულებით აქტიურად ვითანამშრომლოთ სესბ-თან.**

# ჰარმონია და ნატიფი ხელოვნება

## ქართულ-ინგლისური კულტურული ურთიერთობები

ნათია ვადაჭკორია

საქართველოს კულტურის ბრიტანეთის საზოგადოებისთვის გაცნობა ცნობილი ქართველოლოგების მარჯორი და ოლივერ უორდროპებიდან იღებს სათავეს.

უორდროპების მიერ საქართველოს კულტურისა და ენის შესწავლამ ბრიტანეთს მყარი საფუძველი შეუქმნა შემდგომში პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების დამყარებისთვის. სწორედ ეს კულტურული ურთიერთობები დაედო საფუძვლად ინგლისსა და საქართველოს შორის პოლიტიკურ ურთიერთობას, როდესაც 1919 წელს ლორდ კერზონმა ოლივერ უორდროპი ბრიტანეთის პირველ მთავარ რწმუნებულად დანიშნა ამიერკავკასიაში.

ბოდლიანის ბიბლიოთეკის წიგნებისა და ხელნაწერების უორდროპების კოლექცია კი ქართველოლოგიური მასალების ერთ-ერთი ყველაზე ვრცელი კოლექციაა საქართველოს ფარგლებს გარეთ.

ჩვენს ეპოქაში ბრიტანეთის დიპლომატიური წარმომადგენლობა საქართველოში საბოლოოდ 1995 წლის ოქტომბერში აღდგა, როცა თბილისში გაიხსნა ბრიტანეთის საელჩო. ოლივერ უორდროპის შემდეგ, ბატონი სტივენ ნეში ბრიტანეთის პირველი ელჩია საქართველოში.

ამ ორმხრივი ურთიერთობების გაგრძელება გახლდათ "თი-ბი-სი" ბანკის საკონცერტო დარბაზში გამართული ქართულ-ინგლისური კულტურისა და ხელოვნების საერთაშორისო ასოციაციის (Georgia – Anglo International Association for Culture and the Arts - Gaiaca) საშემოდგომო პრეზენტაცია-კონცერტი. ამ ასოციაციის დამფუძნებლები არიან – კრისტოფერ ჯარვისი (პრეზიდენტი), მაია მშველიძე (ვიცე-პრეზიდენტი), ლალი ბაქრაძე (მუსიკოსი) მაია ყიფშიძე (ბრიტანეთის საელჩოს პრესის და საზოგადოებასთან ურთიერთობების განყოფილებების უფროსი), მანანა დავითაშვილი (ლიანა ისაკაძის ფონდის მენეჯერი) და გურამ მოსაშვილი (კომპიუტერის სპეციალისტი).



*დონალდ მაკლარენი ეროვნულ სამოსში.*

2003 წლიდან მოყოლებული Gaiaca-ს ეგიდით, სხვადასხვა დროს საქართველოსა და ბრიტანეთში კონცერტები და კულტურული ღონისძიებები იმართებოდა, თუმცა, იმდღევანდელი საღამო-კონცერტი მისი ოფიციალური პრეზენტაციის თარიღად შეიძლება ჩაითვალოს.

"თი-ბი-სი" ბანკის საკონცერტო დარბაზში პრეზენტაცია მაყურებელთა შორის შოტლანდიის ნაციონალურ ტანსაცმელში გამოწყობილი ბრიტანეთის ელჩის – დონალდ მაკლარენის გამოჩენით დაიწყო, რომელიც სტვირით ხელში შოტლანდიურ ხალხურ მუსიკას ასრულებდა, რამაც მქუხარე ტაში გამოიწვია. გარდა ამისა ბრიტანელი კომპოზიტორების: ბიორდის, დელიუსის, ბრიჯის, ელგარის და აშბრიჯის ნაწარმოებებს მშვენივრად ასრულებდნენ ხატია და გვანცა ბუნიათაშვილები, თამარ კვარაცხელია, დევიდ აშბრიჯი, ქეთევან თუშმანიშვილი, მაია მშველიძე, მიხეილ ხომტარია და ია კენკებაშვილი. ყველაზე ფანტასტიკური შესრულება კი, გოგა შავერზაშვილის მიერ კომპოზიტორ ალექსანდრე შავერზაშვილის სამი საფორტეპიანო სუიტა – "სკრენადა", "დოლჩე ვიტა" და "პასაკალია" გახლდათ.

გარდა ამისა, საკონცერტო დარბაზში ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო კოლეჯის მოსწავლეთა ნამუშევრები იყო გამოფენილი.

ქართულ-ინგლისური კულტურისა და ხელოვნების საერთაშორისო ასოციაციის შექმნის ისტორია კი 1999 წლიდან იღებს სათავეს, როცა პროფესიით ეკონომისტი ბიზნესის და მენეჯმენტის დარგში – კრის ჯარვისი თსუ-ს ეკონომიკის ფაკულტეტზე "ტასის ტემპუსის" პროექტის განსახორციელებლად საქართველოს ეწვია. ამ პროექტის კოორდინატორი საქართველოს მხრიდან გახლდათ ეკონომისტი ელგუჯა მექვაბიშვილი, ხოლო მენეჯერი – მისი მეუღლე მაია მშველიძე.

გარდა იმისა, რომ კრის ჯარვისი ეკონომისტია, იგი აგრეთვე მუსიკის ფანია, თავად გადასარევად მღერის და უკრავს, სხვათა შორის, პოლ მაკარტნისთან ერთადაც უმღერია. მაია მშველიძე კი თბილისის კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორია კამერული ანსამბლის კათედრაზე. სწორედ მუსიკის და ხელოვნების სიყვარულმა დააკავშირა ეს ორი ადამიანი და გაჩნდა იდეა ერთობლივი კულტურული ასოციაციის შექმნისა.

ამასთანავე კრის ჯარვისმა მოისმინა ქართველი მუსიკოს შემსრულებლები, რამაც აღაფრთოვანა და თანდათან გაღრმავდა ერთობლივი პროექტების განხორციელების იდეა, თუნდაც ახალგაზრდებისთვის გზის გაკვალვა ხელოვნების რთულ სამყაროში.

ბრიტანეთის ელჩის – დონალდ მაკლარენის თქმით – ამ საღამოს დიდი წარმატება ჰქონდა. "მე მივესალმები ამ ასოციაციის შექმნას, რომელიც ილვაწებს ბრიტანელი და ქართველი ხალხის დაახლოებისთვის კულტურის სფეროში" – აღნიშნა მან.

პრეზენტაციაზე წარმოდგენილი იყო კომპაქტ-დისკი – "ინტერმეცო", რომელზეც ჩაწერილია ქართველი მუსიკოსების მიერ შესრულებული ბრიტანული მუსიკა.

Gaiaca-ს დამფუძნებლები კი დიდ მადლობას უძღვნიან "თი-ბი-სი" ბანკის პრეზიდენტს და მის თანამშრომლებს საკონცერტო დარბაზის დათმობისთვის და იმ დიდი ინტერესისთვის, რაც მათ გამოავლინეს საშემოდგომო პრეზენტაციისთვის.

# Caucasus International-ი ქართულ მედიასივრცეში




ქართულ მედიაბაზარზე ახალი კავკასიური, ორენოვანი ჟურნალი გამოჩნდა. ინგლისურ და ფრანგულენოვანი ყოველთვიური Caucasus International-ი ჟურნალ Georgia +-ის მემკვიდრეა. განახლებული ჟურნალის გამომცემელია "ემ ფაბლიშინგი", რომელიც ამავდროულად ჟურნალ "ცხელი შოკოლადის" გამომცემელიცაა. წინამორბედის მსგავსად, Caucasus International-ი თემატურად მრავალფეროვანია - მკითხველს საშუალება ეძლევა პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ სფეროში მომზადებულ ანალიტიკურ სტატიებთან ერთად საზოგადოებასა და კულტურაში მიმდინარე მოვლენებსაც გაეცნოს.

როგორც აღმოჩნდა, Caucasus International-ი ყოველთვიური სტატიების გარდა, სპეციალურად შერჩეულ თემებზეც მუშაობს პოლიტიკის, ეკონომიკისა და სოციალურ სფეროებში, რაც დაინტერესებულ მკითხველს საშუალებას აძლევს კონკრეტული საკითხის ღრმა ანალიზს გაეცნოს.

აი, მკითხველს რაც შეეხება, მიზნობრივი აუდიტორია, მართლაც რომ მასშტაბურია. როგორც ჟურნალის მთავარმა რედაქტორმა კლერ დელესარმა აღნიშნა, ჟურნალი კავკასიაში, ევროპაში, ამერიკასა და რუსეთში ვრცელდება. Caucasus International-ი პირველია რეგიონში, რომელიც მოიცავს არა მარტო სომხეთს, აზერბაიჯანსა და საქართველოს, არამედ ჩრდილოეთ კავკასიასაც. თანაც, უცხოელების გარდა, კავკასიაში მიმდინარე მოვლენების გაცნობის საშუალება ამ ჟურნალის მეშვეობით ხომ უცხოეთში მცხოვრებ ქართველებსაც შეეძლებათ.

**"ვფიქრობ, ახალი ჟურნალი წინამორბედთან შედარებით არანაკლებ დაინტერესებას გამოიწვევს, პირველ რიგში, საფრანგეთში მცხოვრებ ქართულ დიასპორაში"**, - აღნიშნა კლერ დელესარმა.

Caucasus International-ის ხილვა საზოგადოებას ყოველი თვის პირველ ორშაბათს შეეძლება თბილისის სუპერმარკეტებში, წიგნის მაღაზიებსა თუ ბიბლიოთეკებში.

# რამაზ ჩხიკვაძე თეატრს დაუბრუნდა და წარმოდგენებისთვის ემზადება



რუსთაველის თეატრსა და ქართული თეატრის მოყვარულ საზოგადოებას ნამდვილად აქვს სასიხარულო მიზეზი. ავსტრიაში ჩავლილი წარმატებული ოპერაციის შემდეგ, ყველასთვის საყვარელი მსახიობი რამაზ ჩხიკვაძე თავს კარგად გრძნობს და სულ მალე მას შოთა რუსთაველის სახელობის განახლებული თეატრის სცენაზე ვიხილავთ. უკვე რამდენიმე დღეა, რაც მსახიობი დასთან ერთად თეატრში რეპეტიციებს გადის. ასე რომ, "კავკასიური ცარცის წრე" უახლოეს ხანებში შედგება, თეატრის ახალ სეზონს რამაზ ჩხიკვაძე ისევე დაამშვენებს, როგორც ყოველთვის.

*24 საათი*

# ოლივერ სტოუნის 11 სექტემბერი



რეჟისორმა ოლივერ სტოუნმა ნიუ იორკში ახალ ფილმზე მუშაობა დაიწყო, რომელიც 11 სექტემბრის ტერაქტს ეხება. რეჟისორი აღნიშნავს, რომ ფილმი არ არის პოლიტიკური და დამყარებულია მხოლოდ და მხოლოდ რეალურ ფაქტებზე, რომელიც მთავარ გმირებს და მათ ოჯახებს გადახდა.

ფილმში მოთხრობილი იქნება ოფიცრების ჯონ მაკლაფლინისა და უილიამ ხიმენოს ისტორია. ეს პოლიციელები იყვნენ უკანასკნელი გადარჩენილი ხალხი, რომლებიც მაშველებმა ცათამბჯენის ნანგრევებიდან ამოიყვანეს.

ფილმში ჯონ მაკლაფლინს ნიკოლას კეიჯი განასახიერებს, ხოლო უილიამ ხიმენოს - მაიკლ პენა.

ვარაუდობენ, რომ ფილმის პრემიერა 2006 წლის 11 აგვისტოს შედგება.

# კენეტ ბრანა "ჯადოსნურ ფლეიტას" იღებს



მსახიობი და რეჟისორი კენეტ ბრანა აპირებს გადაიღოს მოცარტის "ჯადოსნური ფლეიტის" კინოვერსია. ლიბრეტოს ავტორი იქნება მისი მეგობარი, მსახიობი სტივენ ფრაი. გადაღებები იანვარში დაიწყება დიდ ბრიტანეთში და მასში მონაწილეობას მიიღებენ ახალგაზრდა საოპერო ვარსკვლავები.

კენეტ ბრანა ნომინირებული იყო ოსკარზე საუკეთესო რეჟისორისა და მსახიობის ნომინაციაში ფილმისთვის "ჰენრი 5". ასევე ოსკარზე იყო წარდგენილი საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი ფილმის კატეგორიაში მისი ნამუშევარი "გედის სიმღერა" 1993 წელს, ხოლო 1997 წელს ამავე ჯილდოზე ნომინირებული იყო, როგორც საუკეთესო ადაპტირებული სცენარის ავტორი ფილმისთვის "ჰამლეტი". ასე რომ, დიდი შანსია, მისი ბოლო პროექტიც საინტერესო გამოვიდეს. აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ მომავალ წელს შესრულდება 250 წელი მოცარტის დაბადებიდან.







ყურადღება!
რესტორანი
"დაკარგული სამოთხე"
რუსთაველზე (კინოს სახლში) 12-დან 18 საათამდე გთავაზობთ სადილის მენიუს, სადაც ყოველი კერძის ფასი 3 ლარია. სამზარეულოში ყოველი 15 ლარის შეკვეთაზე მოგართმევენ 0,5 ლ ღვინოს (რქაწითელი) უფასოდ. გპირდებით კერძების ფართო არჩევანს და შესანიშნავ გარემოს.
ტელ. 999-207